

www.24hours.ge

24საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

გაზეთი, 22 თებერვალი, 2003 წელი. №51 (263)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

“ვარსკვლავი” და ბრივის პირასით გათხელება

თავმჯდომარე

ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით წერებამოიღო, მერიის ფოიეში ნაშინილარმა გურამ შარაძემ, როგორც იქნა, საკუთარი თავისთვისაც მოიცალა და ფილარმონიაში პატარა “ზეიმი” მოიწყო.

A2

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A3

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A4

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A5

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A6

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A7

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

პოლიტიკა	
აშშ დოლარი	2.1900
ევრო	2.3878
გირვანქა	3.4876
რუბლი	0.0693

პანკისი იკეტება



თედო ჯაფარიძის ბრიფინგი.

„ნათელავილი ცრუობს“

“ლეიბორისტებმა” ადამიანის უფლებებისთვის გათვალისწინებული ფული პოლიციის არგუნეს

„ქალაქის ადვოკატის შესახებ პროექტის განხორციელება, შეიძლება ითქვას, ერთადერთი რეალური ნაბიჯი იყო, რომელიც წინა მონვევის თბილისის საკრებულომ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გადადგა“, - განაცხადა გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა თინათინ ხიდაშელმა “ლამის კურიერის” ეთერით მაღვა ნათელავილის მიერ გაკეთებული

A7

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო



“ვენეციელი ვაჭარი” ახალ “სარდაფში”.

ხალისუფლება რუსლან ბელაევის დასახვედრად თადარიგს იჭარს

საქართველოს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, მომავალ კვირას, პანკისში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის მეორე ფაზა დაიწყება. ბოლომდე დაუმორჩილებელ ხეობაში შეყვანილი იქნება შინაგანი ჯარის დამატებითი ნაწილები, გაძლიერდება სასაზღვრო საგუშაგოები, პანკისის სიახლოვეს განლაგდებიან თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ნაწილები. ხეობა ოფიციალურად დაიკეტება ჟურნალისტებისთვისაც. ოპერაციას ისევ შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩქიშვილი უზღოვმძღვანელებს. “ოპერაციის მეორე ფაზა გაგრძელდება მანამ, სანამ საჭირო იქნება,” – განაცხადა გუშინ თედო ჯაფარიძემ. უშიშროების საბჭოს მდივანმა პირველად დაადასტურა, რომ სამხედრო-პოლიციური ოპერაციის გააქტიურება, ხეობაში იჩქერის შვიარადებული ძალების მთავარსარდლის რუსლან (ხაშუატი) გელაევის შესაძლო დაბრუნებასაც უკავშირდება.

A3

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A3

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A4

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

A2

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ ურეაქციოდ დატოვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და რუსთავეთი გამართული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების რევიზია გაურკვეველი ვადით გადადო. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-მ კვლავ ნაცად ხერხს მიმართა – გუშინდელ სხდომაზე კვორუმი არ იყო

რუსეთის მოთხოვნა ბონიარების ფარგლებს გადააჭარბა

რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხზე მოლაპარაკებებში რეალური წინსვლა არ არის – ასე შეიძლება შეჯამდეს ამ დღეებში ბაზებთან დაკავშირებით მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის შედეგები. გუშინ, საქართველოს საგარეო სამინისტროში, ამ მოლაპარაკებების დეტალებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა.

“ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების ლიკვიდაციის სანაცვლოდ, რუსული მხარე რუსეთის ტერიტორიაზე 260 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო ბაზის მშენებლობის დაფინანსებას ითხოვს,” – განაცხადა გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა რეზო ბეშიძემ.

მისი თქმით, ახლახან მოსკოვში, რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო საკითხებზე გამართულ მოლაპარაკებებზე რუსეთმა საქართველომ არსებული რუსული ბაზებიდან არა მხოლოდ ტექნიკის გაყვანის დაფინანსება, არამედ – რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის მშენებლობის დაფინანსებაც მოითხოვა.

“პროცესის დასაჩქარებლად, თბილისმა მოსკოვს, რუსი სამხედროებისათვის, საქართველოში საბინაო ფონდის შენარჩუნება შესთავაზა, მაგრამ რუსული მხარე აცხადებს, რომ რუსეთში ბაზის ამჟამინდელი მდგომარეობის მოცილებამდე მისთვის მიუღებელია ყოველგვარი სანაცვლო გადაწყვეტილებების განხილვა,” – განაცხადა მან.

A3

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

ამერიკელ სამხედროებსა და სამოქალაქო პირსონალს საქართველოში ფორმალურად ადარ შეანახებენ

ბიორაბი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე გუშინ ის კანონპროექტები განიხილეს, რომლებზე მსჯელობაც მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე არის ნაგარადგევი. მეტად მშვიდი და აკადემიური ატმოსფერო მხოლოდ ერთმა საკითხმა დაარღვია: ზემოთ ნახსენები კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრანკო “ალორინების” წევრი ჰამლეტ ჭიპაშვილი წინააღმდეგია, რომ “საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების” რატიფიცირება იმ ფორმით მოხდეს, როგორცაა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა 2002 წლის 10 დეკემბერს მოაწერა ხელი. “ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგე არა ვარ, ჩემთვის ის ფორმად მოუღებელი, რომლითაც აღნიშნული შეთანხმება დაიდო”, – აღნიშნავს ბათუმური ალიანსის წარმომადგენელი.

ჰამლეტ ჭიპაშვილის გაღიზიანებას იწვევს ორმხრივი სათავრობო-თავრობის შეთანხმების ის მუხლი, რომლის მიხედვითაც, “აშშ-ს მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და მისი დატოვება პასპორტებისა და ვიზების გარეშე, პირადობის დამადასტურებელი მონუმით და ინდივიდუალური ან კოლექტიური ბრძანებით.”

A3

პოლიტიკა

ნაცადი ხარხი

„ელექტროკავშირს“ ლიცენზიის გააქმებით ემაქრებინა

გუშინ, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირში“ შექმნილი მდგომარეობა, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა, პირველად განიხილა.

პარლამენტარების წინაშე მოხსენებით წარდგენე ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გენო მალაზონია და მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პაატა ჭავჭავიძე.

მათი ინფორმაციით, სანარმოოს ძირითადი პრობლემა პარტნიორებთან და მომხმარებლებთან ანგარიშსწორებებში არსებული შეფერხებებია, რის გამოც „ელექტროკავშირის“ დეიტორულმა დავალინებამ 11.1 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მეორე მწვავე პრობლემაა ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება, რაც უარყოფითად მოქმედებს მომსახურეობის ხარისხზე. აღინიშნა, რომ „ელექტროკავშირის“ ხარჯების ზრდა, ბოლო წლებში, შემოსავლების ზრდას აღემატებოდა, რის გამოც სანარმოო 900 ათას ლარზე მეტი იზარალა. ასევე აღინიშნა, რომ შემცირდა ხარჯები კაპიტალურ შეკეთებებზე და გაიზარდა სხვა ხარჯების წილი; მათ შორის - მიწლინებების, მობილური ტელეფონების შეძენის, ქველმოქმედების და არამიზნობრივი სახის ხარჯები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სანარმოოს ფინანსურ მდგომარეობას.

ქონების მართვის სამინისტროს ინფორმაციით, „ელექტროკავშირის“ პრივატიზებზე არაერთხელ გამოცხადებული ტენდერი უშედეგოდ დასრულდა, ამიტომ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით შემუშავდა სანარმოოს მართვის გაუმჯობესების გეგმა, რომლის უსრულებლისთვის არ გამოიცხადვენ ტენდერები კომპანიის მონაწილეობას. მათ შორის დაასახელეს ნორეგვიკო კომპანია „ტელენორი“, რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში შეისწავლა „ელექტროკავშირის“ საქმიანობა და შეიმუშავა თავისი ბიზნეს-გეგმა.

ამ მოსაზრებაზე ყოფილი კავშირგაბმულობის მინისტრის, კომიტეტის წევრის ფრიდო იხეიას წინააღმდეგობა გამოიწვია. იხეიას განცხადებით, „ელექტროკავშირის“ მართვის გაუმჯობესებისთვის სულაც არ არის საჭირო უცხოური კომპანიის შემოყვანა და ყველაფერი ეს ქართული კომპანიის გასხვისების მცდელობაა.

ქონების მართვის და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროების წარმომადგენლების განცხადებით, „ელექტროკავშირის“ გასხვისება არავის აქვს მიზნად დასახული.

„საქართველოს ელექტროკავშირი“ დიდი ორმაზი, რომლის ამოცნება უახლოეს პერიოდში რეალურად შესაძლებელია, - განაცხადა

ოქრაპეტილი კონტროლის პალატას „ლუკმას აცლის“

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისია, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის დავით სულაძისგან ითხოვს, პირველ მარტამდე, ქვედგებარებით მოადგილეებისა და სამსახურების ხელმძღვანელების გათავისუფლებას. როგორც კომისიის თავმჯდომარე არსაკო ოქრუაშვილმა განაცხადა, ამის თაობაზე მათ სულაძეს წერილობით მიმართეს.

ოქრუაშვილის ინფორმაციით, ვაკე-საბურთალოს რაიონის საციხის სამსახურის გათავისუფლება მერიის საფინანსო სამსახურის პრეოტეკცია, დანარჩენი სამსახურები კი გამგებელს ექვემდებარება.

თავად დავით სულაძის პასუხისმგებლობის საკითხი, გამგებობაში არსებული უაზრად დარღვევის გამო, კომისიამ პრეზიდენტის წინაშე ერთი თვის წინათ დააყენა; თუმცა, პრეზიდენტმა საკრებულოს შემადგომლობა არ დააკმაყოფილა.

ოქრუაშვილის ინფორმაციით, ამგამ-

მოკლედ

თბილისი. საქართველოს "იტერას" წარმომადგენლობაში, "თბილგაზის" ხელმძღვანელების დაუღვერობით აღფრთოებულნი არიან და დედაქალაქში ბუნებრივი აირის წნევის ვარდნის გამო კომპანიის ხელმძღვანელებს ადანაშაულებენ. "იტერას" წარმომადგენლობაში განაცხადეს, რომ "თბილგაზმა" "იტერას", აირის მიწოდების შესახებ განაცხადი, მცირე მოცულობის აირზე წარუდგინა. **"ინტერ-პრესი"**

თბილისი. თბილისის ვიცე-პრემიერი თემურ ქერსულარი ამ გამორიცხავს, რომ მერიაშ დედაქალაქში არსებული ავტოსადგომები გაყიდოს და პარკირებაზე ტენდერი გამოაცხადოს. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ ამ სფეროშიც ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღების პრობლემა დღემდე მოუგერავებელია. **მედია-ნოუსი**

თბილისი. კომპანია BP-მ გუშინ გამოავლინა ორი გამარჯვებული კონსორციუმი, რომლებიც ნავთობსადგნის და გაზსადგნის პროექტების სახელით განახორციელებენ "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას" საქართველოში მილსადგნის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისათვის. პირველ კონსორციუმში გაერთიანებული არიან - Mercy Corps (ლიდერი), "ელკანა". მეორე კონსორციუმში კი - CARE International (ლიდერი), კონფლიქტების და მოლაპარაკებათა საერთაშორისო ცენტრი. ფონდი "კონსტანტა", ტექნიკური დახმარების ჯგუფი", Curatio International Foundation ორივე კონსორციუმში მონაწილეობენ.

გარდა ამისა, გამოვლინდა ინვესტიციების განხორციელების 4 სფერო - ინფრასტრუქტურის აღდგენა, სტაბილური შემოსავლის წყაროების შექმნა, წყალმომარაგება, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართებული ენერგომომარაგება."საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის" ფარგლებში საქმიანობა დაიწყება მიმდინარე წლის მარტში და სამი წელი გაგრძელდება. **კავკას-პრესი.**

ლარის ოფიციალური გაყვლითი კარს ახვ დოლარის მიხადი
 2003 16 - 22 თებერაღის ადგომარეობით

საფუძვლის ნაშყვანი	ლიკე	დოლარი	დოლარი	დოლარი	დოლარი
ლიკე		0.6267	0.6791	0.0053	
დოლარი	1.5957		1.083	0.0084	
დოლარი	1.4725	0.9234		0.0078	
დოლარი	188.63	118.37	128.23		

რამსფელდი: ომისათვის მზად ვართ!

აქა კვანძი

ამერიკას სპარსეთის ყურეში უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარები ჰყავს და საბრძოლო აღჭურვილობა აქვს იმისათვის, რომ ერაყზე შეტევა ნებისმიერ მომენტში დაიწყოს, – ამის შესახებ გუშინ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს, თავდაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს სტრატეგია და მზად არის ომის დასაწყებად, – განაცხადა მან ტელევიზიით გამოსვლისას. სპარსეთის ყურეში ამ ეტაპზე, დაახლოებით, 150 ათასი ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცი განლაგებული.

რამსფელდის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოქმედებები დაიწყება, ამერიკულ და ბრიტანულ ჯარებს ზურგს ფართო კოალიცია გაუმაგრებს, რომელშიც ბევრი ქვეყანა იქნება.

სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, რამდენიმე დღეა, ამერიკა თურქეთის საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება.


თურქეთისა და ამერიკის ოფიციალურ პირებს შორის, რამდენიმე კვირის განმავლობაში, მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის დახმარებას შესთავაზებს ამერიკა თურქეთს სამხედრო ბაზების გამოყენების სანაცვლოდ.

გუმბინ, თურქეთის საინფორმაციო არხებმა გაავრცელეს ქვეყნის მმართველი პარტიის ხელმძღვანელის რეჯებ ერდოღანის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ ამ საკითხზე მისი პარტიის მხრიდან თავისუფალ კენჭისყრას ექნება ადგილი, თუმცა ისიც არ გამოირიცხა, რომ გადაწყვეტილების პროექტს, შესაძლოა, პარლამენტმა მხარი არ დაუჭიროს.

თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობა ერაყში ომის წინააღმდეგ გამოდის, შესაბამისად, დეპუტატებს გაუჭირდებათ იმის ახსნა, თუ რატომ მისცეს ამერიკელ სამხედროებს თურქული ბაზების გამოყენების უფლება.

ერდოგანმა განაცხადა, რომ მისი პარტიის წევრები არჩევანს თვითონ, მათი პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე გააკეთებენ და გჯუფურ გადაწყვეტილებას ადგილი არ ექნება. მაგრამ მან განაცხადა, რომ თუ ეს პროექტი პარლამენტში გავა, იმედი აქვს, მისი მეგობრების სანქციის გაცემას დაუჭერენ მხარს.

ოპოზიციის ლიდერის დენიზ ბაიკალის თქმით, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე ამერიკული ჯარების განლაგებას ეწინააღმდეგება, ერდოგანის განცხადება უკვე მიაჩნს-



ებს იმაზე, რომ პარლამენტი ამ პროექტს მხარს არ დაუჭერს. ამასობაში, ნატო-მ განაცხადა, რომ სადაზვერვო თვითმფრინავები გერმანიიდან, გაილანკირდნენ თურქეთის ქალაქ კონიში რამდენიმე დღეში ჩაფრინდებიან. ეს თვითმფრინავები ნატო-ს სამხედრო დახმა-

რების ნაწილია, რომელიც შესაძლო ერაყული საფრთხისაგან თურქეთის დაცვას ისახავს მიზნად. რამსფელდის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც, თუ თურქეთმა საბოლოო ჯამში უარი თქვა მისი ტერიტორიის გამოყენებაზე, ამერიკა შეძლებს ოპერაციის წარმატებით გან-

ხორციელებას - "ჩვენ ამას სხვა გზით გავაკეთებთ". "ყველა თანხმდება იმაზე, რომ ომი ყველაზე ბოლო არჩევანია, მაგრამ, რაღაც მომენტში დრო ამოიწურება და მერე უკვე გვიან იქნება," - განაცხადა აშშ თავდაცვის მინისტრმა.

ავღანეთის უსაფრთხოებას ნატო დაიცავს?



მოთა უპიკაზილი

თუ ნატო-მ მართლაც აიღო თავის თავზე "უსაფრთხოების საერთაშორისო დამხმარე ძალების" სარდლობა ავღანეთში, მაშინ ეს ალიანსის პირველი მისია იქნება თავისი პასუხისმგებლობის ზონის, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ.

მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა ერაყის საკითხი, ავღანეთის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი სწრაფად გაიზარდა. დღეს უკვე ნათელია, რომ ქვეყანა შეპირებული მრავალმილიარდონი დახმარების მცირე ნაწილს თუ მიიღებს. მართალია, ყველა ერთხმად აცხადებს, რომ არ დაუშვებს ავღანეთის ხელახლა თაღლითის ხელში ჩაგვრდას, მაგრამ, პრაქტიკულად, ამ მხრივ არცთუ ისე ბევრი კეთდება. ყარზაის უსაფრთხოების დაცვა აშშ-ს სპეციალურმა ქვედანაყოფებმა კერძო კონტრაქტორ კომპანიას მიანდეს. აისაფ-ის (უსაფრთხოების საერთაშორისო დამხმარე ძალების ანტიკორუპცია) მისია ქაბულისა და ბაგრამის საჰაერო ბაზის იქით არ ვრცელდება. ანტი-თალიბანური კოალიცია, რომელსაც ჩრდილოეთის ალიანსი ედგა სათავეში, უკვე დაიშალა. ავღანურ პროვინციებს კვლავინდებურად ცალკეული ტომებისა თუ შეიარაღებული რაზმების ბელადები აკონტროლებენ. პრაქტიკულად ერთადერთი, რისი გაცემაზეც მათ ეკრძალებათ, ალ-ქაიდასა და ტალიბანთან თანამშრომლობაა, სხვა მხრივ კი, თავს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობენ. ავღანეთში სწრაფად იკრება ძალებს ქვეყნის მთავარი ზონების: ოპიუმის ყაყარის წარმოება. ხელისუფლება უძლურია, ახალი "ფეოდალების" წინააღმდეგ რამე იღონოს. სულ ახლახან, შეერთებულმა შტატებმა საერთაშორისო ტერორისტად გამოაცხადა ავღანეთის ყოფილი პრემიერი, პეშვარიზადი.

დასავლეთის ქვეყნები სულ უფრო ნაკლები ხალხით მოხანძრობენ ქაბულის დაცვას. აისაფ-ს ამჟამად ერთადერთად ორი ქვეყანა, გერმანია და პოლანდია ხელმძღვანელობს (უფრო ადრე ამ მისიას ჯერ ბრიტანეთი ასრულებდა, შემდეგ - თურქეთი). როგორც ჩანს, ორივე ქვეყანას ერთი სული აქვს, დროზე დასრულოს ეს მისია. პოლანდიამ უკვე განაცხადა, რომ ახ-

ლი მომავალში თავის ფუნქციებს კანადას გადააბარებს. რაც შეეხება გერმანიას, როგორც ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა შტრუკმა განაცხადა, თუ ავღანეთში ვითარება დაიძაბა, თავის ჯარისკაცებს იქიდან გამოიყვანს.

პრესამ გაავრცელა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხედრო ძალებისათვის ვითარება სულ უფრო მძიმე ხდება. მათ წინააღმდეგ გააჩნდნენ ელემენტები, არამედ სულ უფრო ხშირად - ყარზაის ხელისუფლების კონტროლს ქვეყნის მყოფი ჯარებიც. სამხედროებებს განსაკუთრებული საფრთხეს ჩრდილოეთის ალიანსი უქმნის.

გერმანიას, ამჟამად, 4800 ჯარისკაცი ჰყავს ავღანეთში დისლოცირებული. სულ კი საზღვარგარეთულ მისიებში 10 ათასი გერმანელი სამხედრო იმყოფება, რაც აშშ-ს შემდეგ მეორე უდიდესი მაჩვენებელია.

ბერლინი შიშობს, რომ ერაყში ომის დაწყების შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გაართულებება. ხსენებული მოხსენების თანახმად, არსებობს იმის საფრთხეც, რომ ავღანელი მებრძოლები ქაბულის ბლოკირებას მოახდენენ. შტრუკის განცხადებით, მან უკვე მოამზადა გერმანელი ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების ევაკუაციის გეგმა.

ამ ფონზე, ჩნდება იმის რეალური საშიშროება, რომ აისაფ-ის ხელმძღვანელობის საკუთარ თავზე აღებას არც ერთი ქვეყანა აღარ მინდოვს. ამიტომ, ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება, რომ ეს მისია არა რომელიმე ქვეყანამ, არამედ ნატო-მ იყოს. თუ იგი მართლაც განხორციელდება (ანუ, თუ საფრთხეშია ვერც არ დადო), ეს იქნება ნატო-ს პირველი მისია ევროატლანტიკური სივრცის გარეთ.

ამ ინიციატივის ავტორია ნატო-ს გენერალური მდიანი, ლორდი რობერტსონი. მას იმედი აქვს, რომ ავღანეთში სამხედრო ოპერაციების განხორციელება, ჯერ ერთი, გააფართოვებს ორგანიზაციის სამოქმედო არეს, და მეორეც, თურქეთთან დაკავშირებული "სამარცხენო" დაპირისპირების შემდეგ, საკუთარი ერთიანობისა და საჭიროების დემონსტრირებას მოახდენს. ამ იდეას ნატო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ არაოფიციალურად უკვე დაუჭირა მხარი.

ყაზარდო-ბალყარეთი: საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს სასამართლოში ასარიკობა

იხარაჟი ბაჟაშვილი
ნაღიშობა, იმპრ

გასულ წელს, ყაზარდო-ბალყარეთის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ორი კანდიდატი, ორივე იურისტი, აპირებს არჩევნების შედეგების სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივროს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ორი ადამიანის საჩივრი წარუმატებელი იქნება, მათ იმედი აქვთ, საზოგადოებას უფრო მეტად დაინტერესდება ყაზარდო-ბალყარეთის ავტორიტარული პრეზიდენტის, კოკოვის მმართველობის სტილით.

კოკოვის წარმომადგენელმა მოსარჩევეების, ოშაჟ კურუკოვისა და რუსლან მურაჩევის შესახებ განაცხადა, რომ ამ ორ ადამიანს, უბრალოდ, არ შეუძლია გამანადგურებელ დამარცხებასთან შეგუება.

კოკოვი, რომელიც ყაზარდო-ბალყარეთის 1992 წლიდან მართავს, გასული წლის 13 იანვარს მესამედ აირჩიეს. ამ არჩევნებში მას პირველად ჰყავდა კონკურენტები.

ოფიციალური შედეგების თანახმად, კოკოვმა ხმების 88 პროცენტი მიიღო, მისმა მთავარმა კონკურენტმა, გენერალ-ლეიტენანტმა მუჰამედ ბატიროვმა კი - მხოლოდ 7 პროცენტი.

დანარჩენი კანდიდატებიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო ხმების 1,5 პროცენტზე მეტის მოგროვება, მათ შორის - ვერც კურუკოვმა და მურაჩევმა, რომლებიც ახლა კოკოვის ანტიდემოკრატიულ ქმედებებში ადანაშაულებენ. კურუკოვი წარმოშობით ბალყარელია. ბალყარელები კი რესპუბლიკაში ეთნიკურ უმცირესობას შეადგენენ. ამიტომ, მისი წარმატების შანსი თავიდანვე მინიმალური იყო.

ორივე აცხადებს, რომ აქვს იმის უამრავი დამაბტკიცებელი საბუთი, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედება რუსეთის ფედერაციის კანონებს ეწინააღმდეგებოდა და მათ უფლებებს არღვევდა. "ჯერ ერთი, საარჩევნო ბიულეტენები არ

იყო ისე დაბეჭდილი, როგორც უნდა ყოფილიყო. მეორეც, არჩევნებზე მიმართული ხმების საერთო რიცხვი ორჯერ აღემატებოდა რესპუბლიკაში ამომრჩეველთა რაოდენობას. კურუკოვი და მურაჩევი თავად პრეზიდენტსაც ადანაშაულებენ. მათი თქმით, პრეზიდენტმა საარჩევნო კამპანიისათვის ნებადართულ თანხაზე, 100 ათას რუბლზე (დაახლოებით, 3300 დოლარი) მეტი დახარჯა.

მოსარჩევეებს მხარს უჭერს ორი დამოუკიდებელი დამკვერვებელი, რომლებიც არჩევნებს ესწრებოდნენ. აზერბაიჯანელი ტლდარ ზეინალოვი და სომეხი ჟანა გრიგორიანი არჩევნებზე არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება "კავკასიურმა ფორუმმა" მიაგლინა.

"მე მეგონა, მსოფლიოში ყველაზე არადემოკრატიული არჩევნები აზერბაიჯანში ტარდებოდა, – განაცხადა ზეინალოვმა, – მაგრამ იმის შემდეგ, რაც ყაზარდო-ბალყარეთში ვნახე, ნამდვილად ვამაყობ ჩემი ქვეყნით".

გრიგორიოვას განცხადებით, კოკოვის საარჩევნო შტაბი არ ჰქონია. "ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შტაბი პრეზიდენტის ოფისში იყო განლაგებული, ანუ, არსებული კანონმდებლობის დარღვევით, იგი დამინისტრაციულ რესურსს პირადი მიზნებით იყენებდა".

საარჩევნო კამპანიის დროს ნალჩიკის საზოგადოებრივ დაწესებულებებში გამოჩნდა პლაკატები: "კოკოვი – ჩვენი პრეზიდენტი". როდესაც სხვა კანდიდატებმა ამის გამო იჩივეს, პროკურატურამ მათ განუცხადა, რომ ეს იყო არა საარჩევნო კამპანიის ნაწილი, არამედ ფაქტის კონსტატაცია.

კურუკოვმა და მურაჩევმა არჩევნების შედეგები ჯერ რუსულ სასამართლოებში გაასაჩივრეს, თუმცა არც ნალჩიკის და არც ფედერალურმა სასამართლომ მათი საჩივარი არ მიიღო.

ახლა ისინი სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ ჩივილს. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთმა დაარღვია ადამიანის უფლებათა კონვენ-

ციის მეექვსე მუხლი, რომელიც ყველას აძლევს მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას და 1952 წლის დამატებითი პროტოკოლოს მესამე მუხლი, რომელიც თავისუფალი არჩევნების უფლებას გულისხმობს.

ყაზარდო-ბალყარეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი, ვლადიმირ კუდაევი ყველა ბრალდებას უარყოფს: "დროა, ეს ხალხი დაწყნარდეს და დამარცხებას შეურიგდეს,- განაცხადა მან, – ისინი მაინც ვერაფერს შეცვლიან. მხოლოდ ხალხს მოუშლიან ნერვებს".

რესპუბლიკაში ბევრი მხარს უჭერს კოკოვს, რომელმაც რესპუბლიკას სტაბილურობა მოუტანა. 1992

წელს მის არჩევამდე, ყაზარდო-ბალყარეთი ეთნიკური წინააღმდეგობების გამო დაშლის პირას იდგა.

მაგრამ, მომჩივნები ფიქრობენ, რომ სტრასბურგი აიძულებს რუსეთის პრეზიდენტს, პირადად ჩაეროს რესპუბლიკაში მომდინარე მოვლენებში. "ჩემი აზრით, ევროპული სასამართლო აღიარებს ჩვენს სიმართლეს და რეკომენდაციას მისცემს პრეზიდენტს, ყურადღება მიაქციოს ყაზარდო-ბალყარეთში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სისტემას".

"რუსეთის პრეზიდენტიც, თავისი პრესტიჟის გადსაარჩენად, იძულებული იქნება, რესპუბლიკაში არჩევნების ახალი რაუნდი დაიწმოს".



ბოლო წლის განმავლობაში ადგილობრივი ოპოზიციის მუდმივად გამოითქვამს უკმაყოფილებას მისი წარმომადგენლების გახშირებული დევნის გამო.

ვალერი ხატაფუკოვი, ოპოზიციონერი ჟურნალისტი და გაზეთ "ადილე ზეკუ" მთავარი რედაქტორი ამბობს, რომ მოუღონდნელად, იმ შენობის მეპატრონემ, სადაც მისი რედაქცია განთავსებული, ქირის გაგრძელებაზე უარი უთხრა. მან სხვაგანაც ვერ შეძლო ოფისის დაქირავება.

მუჰამედ ბატიროვი, რომელიც ასევე იღებდა მოწაწილობას გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ამბობს, რომ კენჭისყრის შემდეგ მისი შვილი

ადგილობრივი მილიციიდან დაითხოვეს.

ცნობილი ყაზარდოელი პოლიტიკოსი და აქტივისტი ზაურ ბოროვი ამბობს, რომ ნაკლებად საეარაუდოა, რომ სარჩელს რაიმე შედეგი მოჰყვეს, მაგრამ იგი მაინც მიესალმება ამ ნაბიჯს.

"არა მგონია, ამან რამე შეცვალოს, – ამბობს იგი, – და მაინც, ის, რომ ხალხი ცდილობს, თავისი პრეტენზია კანონის მეშვეობით მოაგვაროს, უკვე მისასალმებელია. ისლა დაგვიჩვენია, იმედი ვეკონიოთ, რომ ეს სარჩელი სთავებს დაუდებს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროცესს"

შეაგროვეთ თანხა თქვენი შვილის სწავლის, მოგზაურობის დასაფინანსებლად, ან დახმარეთ დამოუკიდებელი სხოვარების დაწყებაში.

ანაბარის ძირითადი უპირატესობები:

- მაღალი შემოსავლიანობა;
- ანაბარზე თანხის შებენის მოქმედი სისტემა - შენაძნეობის მოშუალება და პერიოდული თქვენზე დაბრუნება;

ერთად ვიზარდოთ თქვენი ბავშვის მომავალზე!

თბილისი 380079, ჭავჭავაძის გამზ. 11 ტელ: 22 06 61, 29 16 93;

ახალი ჰოსპიტალი



ახალი მეთოდით.

აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი თავის პირველ პაციენტს გაზაფხულზე მიიღებს. ამ დღეს ყველა მოუთმენლად ელოდება, დღიცი და პატიარაც.

პაატა ლუდუშაური, რომელიც დროებით "ბავშვთა რესპუბლიკურში" მოღვაწეობს, აღნიშნული ცენტრის მტევნის ქირურგი-ორთოპედი. მან ახალი, ენდოსკოპური მეთოდით გააკეთა მაჯის გვირაბული სინდრომის ოპერაცია, რომელიც შეისაველა შედებით, მაღმოს მტევნის ქირურგიის კლინიკაში მიღწივნის დროს. ოპერაციას ესწრებოდნენ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბაადურ ზიძლიცკი და რეზიდენტი ნინო გაშქიძეძი.

61 წლის პაციენტს თითქმის დაბუჟება, წვა და ტკივილი 3 თვის წინათ დაეწყო. კონსერვატიულმა მკურნალობამ შედეგი რომ არ გამოიღო, გაკეთდა ოპ-



ერაცია. პაციენტს სიმპტომები მეორე დღესვე მოეხსნა. ქირურგი მადლობას უხდის თავის ხელმძღვანელებს, რომლებიც, მისი თქმით, ღირსეულად აგრძელებენ ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის ტრადიციას.

პაატა ლუდუშაური: "პირველ რიგში მადლობას ვუხდი ქალბატონ მარინა ლუდუშაურს და ბატონ ბაადურ ზიძლიცკის იმისთვის, რომ საშუალება მომცეს ევროპის წამყვან კლინიკაში შემესწავლა მტევნის მკურნალობის ახალი მეთოდები."

ეროვნული ჰოსპიტალი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ კონტროლზეა აყვანილი. ამის გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით წინმსწრები პრინციპით ფინანსდება. როგორც ამბობენ, მისი ამუშავებით უფროვე პაციენტს მრავალი პრობლემა უნდა მოესტება.

24 საათი

ბრივის პიკი

გრიპისა და სხვა რესპირატორული დაავადებების მკვეთრ მატებასთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გაავრცელა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ დაავადება გავრცელების პიკს მიმდინარე კვირაში მიაღწევს. მინისტრი თხოვნით მიმართავს მასმდიას, ფართოდ გააშუქოს დაავადების კლინიკური სიმპტომატიკა და პირადი პროფილაქტიკის საშუალებები. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უახლოესი 10 დღის განმავლობაში.

კიდევ ერთხელ პროფილაქტიკის შესახებ: ვინაიდან დაავადება პირ-წყვიტოვანი გზით გადადის, შეძლებისდაგვარად, ყველა უნდა მიერიდოს მასობრივი თავშეყრის ადგილებზე, ხევიხანს და კოცნას. კარგი დამცავი საშუალებაა სამედიცინო ან დოლბანდის ოთხფეროვანი წილაბი. ასე-

ადამიანის გაყიდული ორგანოები

თბილისში, ორი დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა შეხვედრა, რომლის თემა იყო "ქალთა ტრეფიკინგი საქართველოში". შეხვედრის ინიციატორი გახლდათ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები მომავლისთვის", ხოლო შეხვედრის ხელშემყვებო - კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი (CTC). საქართველოში, ასეთი ფართომასშტაბიანი შეხვედრა ტრეფიკინგთან დაკავშირებით, პირველად შედგა. შეხვედრაზე მიწვეული იყო ყველა იმ ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვისაც, ასე თუ ისე, ეხება ეს პრობლემა. იყვნენ: სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, ქალთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

ლელა მარბიანი

შეხვედრის ინიციატორმა, არასამთავრობო ორგანიზაციის "ქალები მომავლისთვის" ხელმძღვანელმა ხათუნა სანიკიძემ და მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის მდგომარეობის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი, უკვე რამდენიმე წელიწადია, მუშაობენ ამ პრობლემაზე როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, რომ შრომაში აქტიურად იყო ჩართული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.
ითქვა, რომ ტრეფიკინგი არის გლობალური პრობლემა - კარგად ორგანიზებული და დიდი მოგების მოტანი დანაშაული. ტრეფიკინგის დროს ირდევია გაეროს საყოველთაო დეკლარაციის "ადამიანის უფლებების შესახებ" რამდენიმე პუნქტი: მონობისგან თავისუფლება, თანასწორობა კანონის წინაშე, გადაადგილებისა და ადგილსამყოფლის თავისუფლება, თავისუფლება ნაშენების შესახებ ან სისასტიკისგან, დასჯიდან, აზრის, სინდისის თავისუფლება და ა. შ.
მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში ტრეფიკინგისთვის ყველა ხელშემწყობი პირობა არსებობს - უმუშევრობა, მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება. ამის გამო, დიდია საზღვარგარეთ წამსვლელთა რაოდენობა. საქართველოს მთავრობას კი არც ერთ ქვეყანასთან არა აქვს დადებული ხელშეკრულება შრომითი დასაქმების შესახებ. ამით, თავად სახელმწიფო უწყებს ხელს არალეგალურ შრომით მიგრაციას, რაც, თავისთავად, ტრეფიკინგის ხელშემწყობი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს საქართველოს მთავრობა, ევროსაბჭოს მოთხოვნ-

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის მერიამ, თბა თახზე ნაკლები მეგობა შეჭამოსო და ქალაქში უკანონოდ მშენებარე ობიექტები დალაშქრა. მერიის წარმომადგენლებს თბილისის სხადასხვა რაიონის მთავარი არქიტექტორები და არქმშენის ინსპექციის თანამშრომლებიც ემმარებოდნენ. განმარტებისთვის, ლაშქრობაში - უკანონოდ მშენებარე ობიექტების ჟურნალისტებისთვის ჩვეურბაც იგულისხმებოდა.

თბილისის მესვეურებმა თითოეულ რაიონში თითო, "განსაკუთრებით უკანონო" მშენებლობა ამოარჩიეს და ჟურნალისტებს ქალაქში გამეფებული განუკითხაობის შესახებ შეახსენეს. ბუნებრივია, აღნიშნული უკანონოები მერიისა და გამგეობების ჩადენილი არ გახლდათ.

მათეილის ქუჩაზე, ყოფილი "თბილწყლების" შენობას ამჟამად რესტორნად ამზადებენ. ეს არქიტექტურული ძეგლი კოლექტივს 1994 წელს გაუყიდა და მის "ახალ" მფლობელს "თბილწყლების" დირექტორს (რომლის ვინაობაც მთაწმინდა კრწანისის მთავარ არქიტექტორს დღემდე ვერ დაუდგენია) არქიტექტურის დეპარტამენტში პროექტიც შეუთანხმებია. თუმცა, როგორც რაიონის მთავარი არქიტექტორი, ბადრი სამოსნაძე აცხადებს, "თბილწყლების" მფლობელმა პროექტი შეცვალა. პროექტი მხოლოდ მიდა დაცემარებას ითვალისწინებდა, მაგრამ მუპატრონემ შენობა გარეგნულადაც შეცვალა. როგორც "შინაურულად" გავიგეთ, ამ ფაქტით პირველად ქალაქის ყოფილი მთავარი არქიტექტორის შოთა ყავლაშვილის მეუღლე აღშფოთე-



მერიის რეიდი.

ბულა (შენობა ბატონი შოთას პროექტით არის ამენებული) და შესაბამისი უწყებებისთვის მიუმართავს. არქიტექტურის დეპარტამენტსა და არქმშენის ინსპექციას მშენებლობა შეუჩერებით და შემდეგ, მთაწმინდა-კრწანისის სამართლოსთვისაც მიუმართავი, მაგრამ სასამართლოს მშენებლობის შეჩერებაზე კი არა, მშენებლების დაჯარიმებაზეც კი უარი უთქვამს. ყოფილი "თბილწყლების" გარესტორნების პროცესი შეუფერხებლად გრძელდება. როგორც აღმოჩნდა,სხვა რაიონების სასამართლოებიც არანაკლებად უწყობენ ხელს უკანონობას. ვაკე-საბურთალოს გადასახვეზე, თამარაშვილის ქუჩაზე ავტომანქანის სამრეცხაოების მშენებლობის კანონიერება უკანონოობის საკითხს ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო ოქტომბრიდან არკვევს. თუმცა, საქმე არც იმდენ-

ად ჩახლართულია, რომ გადანყევითი არის ამენებული) და შესაბამისი ტერიტორია, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, ნოდარ დგურამ ელიზბარაშვილებს ეკუთვნით. მათ კუთვნილი ფართის ნაწილი იჯარით გადასცეს ირაკლი ძაგანიას, რომელიც სამრეცხაოს ყოველგვარი ნებართვის გარეშე ამწებს. რაიონის მთავარი არქიტექტორი და არქმშენისნსპექცია ამ ობიექტის დაწერევას ითხოვენ და გაუგებარია, სამართლო საქმეს რატომ აჭიანურებს. უკანონოდ მშენებარე ერთი ობიექტის წინააღმდეგ სარეგლთო მალე დიდებუე-ჩუღუურეთის რაიონის სასამართლოსაც გააბეძინებრებენ. ხომარაულის ქუჩაზე ელიავას ბაზრობასთან ადგილობრივი მეცხოვრები, 7-მდე საეაჭრო ობიექტს, ასევე, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ამწებებენ. არქმშენისნსპექცია, რამდენიმე გზის გაფრთხილების

„მეგზევი“ რომ ვიყო...

“მეგზევე” გზის მუშას ნიშნავს. ეს დედაქალაქის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, იოსებ შატერაშვილის ტერმინია. თბილისის პარლამენტის ამ მნიშვნელოვანი კომისიის თავმჯდომარე ეი ივი გუშინ, ქალაქის გზების სავალალო მდგომარეობის შესახებ სასაუბროდ, აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილ აუდიტორიის წინაშე გაუფლრა.

მაკა ჭანიანი

იოსებ შატერაშვილი აჭარის წარმომადგენლობისთვის, ერთგავარად, გამორჩეული ფიგურა გახლავა. როგორც პარლამენტარი პამლეტ ქიპაშვილი ამბობს, "პირველი მერცხალი" ახალი საკრებულოდან. აქამდე, გლაკტიონის ქუჩის 3/5-ს, ცხვირწინ მდებარე შენობაში ცენტრალური და სტრუქტურის წევრები არ სწყალობდნენ. აჭარის წარმომადგენლობაში მიანიიათ, რომ, შეხედვად მათთან გამართული შეხვედრების სოციალური შინაარსისა, ქალაქის სამსახურების ახლადდანიშნული ხელმძღვანელების მხრიდან, ეს წმინდა პოლიტიკური ხასიათის იგნორირებაა.
კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი შალვა ბებოშვილი ამ ექვებს გაზვიადებს უნოდან. "მე შევთავაზე ამ ორგანიზაციას, ჩემმა შვეკრებილიყავით, გაგვეკეთებინა პრობლემტიკის ბადე და ქალაქის კეთილმოწყობის საკითხისათვის ერთი დღე დაგვეთმო. კვირაში ერთხელ პრესკონფერენციაზე გასვლა ჩემთვის მოხერხებული არ არის, რადგან კეთილმოწყობაში ძალიან ბევრი სა-

მასწავლებელთა ბრძოლა ბრძოლა

მთერე მავალაშვილი

დღეს, განათლების მუშაკთა პროფკავშირი, თბილისის სხადასხვა სკოლის მასწავლებლები, განათლების და ფინანსთა მინისტრებს ხედეიან. მირიან გოგიაშვილი და ალექსანდრე კარტოზია პედაგოგთა იმ "ტრადიციულ" შეკითხვებს კიდევ ერთხელ მოისმენენ, რომელზედაც პასუხები კარგა ხნის დაზუბირებული აქეთ. და მაინც, მასწავლებლებს აინტერესებთ, ქრისტიულად რატომ იგვიანებს მათი კუთვნილი ხელფასები, რატომ არ გრძელდება პედაგოგთა ატესტაცია და ასე შემდეგ...
პროფ.კავშირმა მასწავლებელთა სოციალური მოთხოვნები ერთ გვერდზე ჩამოწერა, რომელსაც შესასრულებლად, სხენებულ ჩინოვნიკებს, დღეს გადასცემენ.

გუშინ, იგივე კითხვებს, თავისეზური პასუხები გასცეს დედაქალაქის დიცე-პრემიერმა კახა შენგელიამ და მერიის განათლების დეკომიტეტის თავმჯდომარემ გია მურულუამ. ადგილობრივი ხელისუფლების ამ ორმა წარმომადგენელმა, განათლების პროფკავშირში შეკრებილ მასწავლებლებს მარტვიად და მოკლედ აუხსენეს, რომ "დამნაშავე" ის გრძელი მარშრუტია, რომლითაც პედაგოგთა კუთვნილი ხელფასები, ცენტრალური ბიუჯეტიდან ადრესატამდე, რამდენიმე ბიუროკრატიული რგოლის "დახმარებით" გადის. "სწორედ, ამ გზების გავლის დროს იკარგება თქვენი ფული, უკეთეს შემთხვევაში იგვიანებს" - ასეთი განმარტების შემდეგ, შენგელიამ და მურულუამ მასწავ-



გია მურულუა, მანანა კობახიძე, კახა შენგელია.

ლებებს შესთავაზეს ამ ზედბადაცა და კორუფციული პროცედების სისტემიდან გაქრობა და აქვე საკრებულოს ცნობილი გადანყევტილებს, რომელიც სკოლების დეცენტრალიზაციას ითვალისწინებს, შეაპარეს. "თქვენი თავი თქვენადვე უნდა გეყუდნოდეს!" პრინციპით აუხსნა ვიცე-პრემიერმა პედაგოგებს სკოლების დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა. შენგელია მასწავლებლებს დაპირდა, რომ წელს ბიუჯეტიც ხელფასებისთვის გათვალისწინებული 47 მილიონლარი, ადრესატამდე უკლებლივ იმ შემთხვევაში მივა, თუკი სკოლები იქნებიან დამოუკიდებელი ხელისუფლების ყველა შტოსგან. "თითოეულ სკოლას ბანკში ექნება საკუთარი ანგარიში, საიდანაც ყოველდღე თავის დროზე მიიღებთ თქვენს ხელფ-

ასს", - უთხრა ვიცე-პრემიერმა პედაგოგებს.

განათლების პროფკავშირმა და იქ დამსწრე მასწავლებლების უმრავლესობამ ამალდისმენტებით დაადასტურა საკრებულოს გადანყევტილების გენიალურობა.

ამის შემდეგ ნაწილობრივ კმაყოფილმა პედაგოგებმა "გაბედეს" და საკუთარი სოციალური მოთხოვნების სრული პაკეტის ერთგვარი პრეზენტაციაც კი მოახყვეს. პროფკავშირმა ერთფურცლიანი და მრავალპუნქტიანი პეტციის ასლები მათთან მისულ სტუმრებს გადასცა. ხელფასებზე დანაშაულების გაზრდა, მასწავლებლებისთვის დედაქალაქში უფასო სტაციონარის გახსნა, კლასის დამრეგებლის სახელფასო დანაშაულის გასამშავება და სამგზავრო

შემდეგ, მათ საქმეს სასამართლოს გადასცემს.

ისანი-სამგორის რაიონში, რესტორან "ასტორიას" უკან კი უნებართვოდ 10 საცხოვრებელი სახლი მწედება. ეს ტერიტორია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდს ეკუთვნოდა, მაგრამ 2001 წელს გაიყიდა. ამ მშენებარე 8 საცხოვრებელი სახლის საქმე სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისს გადაეცა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სასამართლოს მათ დანგრევაზე განიხნება გამოუტანია, მაგრამ სახლები დღესაც ხელუხლებლად დგას. საააღმსრულებლო დეპარტამენტი აცხადებს, რომ სააღმსრულებლო ფურცელს დანიშნულების ადგილამდე ჯერ არ მიუღწევია და აღმასრულებელმა სამსახურმა რა ქნას. "თანაც, უკანონო მშენობის დანგრევასა და შემდგომ ნანგრევების გატანას სჭირდება ხარვეზი, რაც, წესით, კრედიტორმა უნდა გაიღოს, მაგრამ არქმშენს ამისი საშულება არა აქვს. საამისო სახსრები არც აღმასრულებელ ბიუროებს გააჩნია და არც ოუსტიციის სამინისტროს. შარშან, ნაძალადევის რაიონში ერთი შენობა საკუთარი ხარჯებით დაეანგრეთ, რადგან კრედიტორს ამისი საშულება არ ჰქონდა", - აცხადებს სააღმსრულებლო დეპარტამენტის უფროისი გიორგი აგულშვილი.

ზემოთაღწერილი ფაქტები მხოლოდ ზღვაში წვეთია უკანონოდ მშენებარე ობიექტების რეალურ რაოდენობასთან შედარებით. მაგალითად, მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონში სასამართლოში 30 უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ არის საქმე აღძრული. უნებართვო მშენებლობების გარდა, დარღვევებით მშენებარე თუ ამენებული შენობა-ნაგებობებიც უხვად მოგვეჩვენება, რაშიც ბრალი, ბუნებრივია, მხოლოდ სასამართლოებს არ მიუძღვით.

ბანკთან შეთანხმების მიღწევისა და მუნიციპალური ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე აპირებს.

"მსოფლიო ბანკის მოთხოვნის მიხედვით, მინისქვეშა კომუნიკაციების დაცვის გარეშე გზების რემონტის ჩატარება შეუძლებელია. გზების რემონტისთვის მსოფლიო ბანკი 4-4,5 მილიონ ლარს გვპირდება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, გარკვეული თანხები მისცა მინისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებისთვის აც მივიღოთ. უკვე შედგენილია თბილისი ქუჩების რესტრი და გამოყოფილა განსაკუთრებით მიმდებარეობა მარეობაში მყოფი 27 ქუჩა, რომლებიც პირველ რიგში შეკეთდება. საშუაშო კიდ შეთანხმების მიღწევისთანავე დაიწყება", - აცხადებს ბებოშვილი.

მსოფლიო ბანკის პროექტის ღირებულების 20 პროცენტს, თანადაფინანსებდა პრინციპიდან გამომდინარე, მუნიციპალური ბიუჯეტი დაფარავს. 2003 წლისთვის, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი აღნიშნავს, ლოკალურ რემონტებს, გარე განათების მოწესრიგებასა და სხვა აუცილებელ სამუშაოებს მოხმარდება. იმის იმედს, რომ წელს, თბილისი, გზების პრობლემას სრულად, თუნდაც პრესტიჟულ უბნებში მოავგვრებს, არაა, მაგრამ რალაც, ალბათ, დაგვეტყობა.

დანაშაულების გაორმავება ეს არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, პედაგოგები ჩვენში კარგად აპრობირებული პროტესტის რამდენიმე ფორმით იმუქრებიან. "თუ ეს საკრებულო ბანკც არ გადაგვამს, წინ რაიმე კონკრეტულ ნაბიჯს მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გამოსასწორებლად, მერე რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალოს ყველაფერი საკრებულოში", - განმარტობილებული განცხადების შემდეგ პროფკავშირისთვის, ვიცე-პრემიერს მერიის წინ შიმშილობის დაწყებაზე მიანიშნებენ.

მერიის განათლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ პედაგოგები დაამშვიდა და წლეყანდელ ბიუჯეტიც მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რეზერვების გამოძიებნას დაპირდა. "ათასი სულსლური და აბსურდული პროგრამისთვის არის წელს ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული, მაგალითად წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტში 230.000 განერილია სატელევიზიო კავკეთი-სულზე, 210.000 მასწავლებელთა სოციალური ადაპტაციისთვის, და სხვა უამრავი. თქვენი დახმარებით და ძალისხმევით ჩვენ მოვახერხებთ იმას, რომ ამ არაფერისმაქნის პროგრამებს გვერდზე გადავდებთ და ამ გამოთვლისუფლებული თანხით თქვენს მოთხოვნებს შეძლებისდაგვარად დავაფინანსებთ", - ბრძანა გია მურულუამ. ამ ოპტიმისტური განცხადებების შემდეგ კახა შენგელიამ მასწავლებლებს ახარა, რომ წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა თბილისელ მასწავლებელს ბუნებრივ აირზე მნიშვნელოვანი შეღავათები ექნებათ.

ჟან ბატისტ ტავერნიე

მზია მგალოზლიშვილი

ტავერნიე ჟან ბატისტ (1605 პარიზი - 1689 მოსკოვი) - XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურ-კომერსანტი. კომერციული მიზნებით მოგზაურობების დროს იგი ქმნიდა დღიურებსა და ჩანაწერებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის თხზულებას, სადაც აღწერილია მის მიერ მოვლილი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება, სხვადასხვა ხალხის ზნე-ჩვეულებანი, რელიგიური, ეთნოგრაფიული ყოფა, ქვეყნების ბუნებრივი პირობები, მარშრუტები და გეოგრაფიული პუნქტები, რის გამოც, ტავერნიეს თხზულება საცნობარო-ისტორიული ხასიათის ნაშრომაა, რომელსაც ევროპეული მოგ-

ზაურები გზამკვლევად იყენებდნენ. ამავე დროს, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად, რადგანაც იგი შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას. „ვიმედოვნებ, - ამაყად მიმართავს ტავერნიე საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ეს, რომელსაც უძღვნის თავის თხზულებას, - რომ ეს ზუსტი და სარწმუნო რელაციები, დაბრუნებისას რომ დაგწერე დაგროვილ მოგონებათა საფუძველზე, ნაკლებად სასარგებლო როდი იქნება ჩემი ერისათვის, ვიდრე ჩემ მიერ მოგზაურობიდან ჩამოტანილი მდიდრული საქონელი... დიდად მოხარული ვარ, რომ ჩამოვიტანე ძვირფასი თვლები... მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემ მიერ ნანახი ადგილების შესახებ შეეგაროვე ცნობები“.

ტავერნიე დაიბადა ცნობილი კარტოგრაფისა და გეოგრაფიული რუკებით მოვაჭრე გაბრიელ ტავერნიეს ოჯახში. გეოგრაფიულ თემებზე გამართული საუბრების ატმოსფეროში აღზრდილ ტავერნიეს მოგზაურობისადმი ინტერესი ახალგაზრდობიდანვე გაუღვივდა. მან 15 წლისამ დაიწყო მოგზაურობა და 22 წლის ასაკში უკვე შემოვლილი ჰქონდა ევროპის მრავალი ქვეყანა.

მისი ხანგრძლივი, ორმოცწლიანი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში 1630 წელს დაიწყო. პროფესიით ოქრომჭედელი და იუველირი, ტავერნიე, ცხადია, პროფესიული ინტერესებით შეუდგა მოგზაურობას. საფრანგეთიდან გაჰქონდა ევროპული საქონელი და შემოჰქონდა აღმოსავლური ძვირფასეულობა, მათ შორის ძვირ-

ფასი ქვები - მარგალიტები და ალმასები. მის სახელთანაა დაკავშირებული ფრანგული სავაჭრო კაპიტალის შეჭრა ინდოეთში და ევროპული მსხვილი სავაჭრო კომპანიების ბრძოლა მონოპოლიისათვის აღმოსავლეთის ბაზრებზე. 1630 წლიდან 1669 წლამდე, მან ექვსჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთში და ფრანგი პროტესტანტი მწერლის შეპიუზისა და საფრანგეთის პარლამენტის პრეზიდენტის ლამუანიოს მდივნის ლა-შაპელის დახმარებით ლიტერატურულად გადაამუშავა თავის მოგზაურობების დროს გაკეთებული ჩანაწერები.


1689 წელს, 84 წლის ასაკში, ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ტავერნიე გაემგზავრა ინდოეთში, მოსკოვის გავლით. იმავე წელს მოსკოვში ჩავიდა, სადაც დას-

რულდა ამ დიდი მოგზაურის ცხოვრება. დასაფლავებულია იქვე.

ტავერნიეს შრომებიდან ცნობილია ორი თხზულება: „დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა“ და „ექვსი მოგზაურობა“. ამ უკანასკნელმა ნაშრომმა ავტორს სამართლიანად მოუხვეჭა მსოფლიო სახელი და „აზიაში ფრანგ მოგზაურთა მამამთავრად“ აღიარა. იგი რამდენჯერმე გამოიცა და ითარგმნა მრავალ ენაზე. თხზულების გარკვეული ნაწილი ეძღვნება საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების აღწერას (ნიგნი I, თავები IX-X: „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის აღწერა“, „სამეგრელოს თანამედროვე მდგომარეობის აღწერა“). აქ გვხვდებით ცნობებს ვაჭრობის, ხალხის ზნე-ჩვეულებათა, რე-

ლიგიის, მართლმსაჯულების, ქართველების გარეგნობისა და სხვ. შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაური არ ყოფილა საქართველოში, მის მიერ მოტანილი ცნობები, როგორც ჩანს, სანდო წყაროებიდანაა შეგროვილი, შემონმეხული და დაზუსტებულია და ამდენად, დიდი სიზუსტით გამოირჩევა.

საქართველოსა და ქართველების შესახებ საისტერესო ცნობებს ვხვდებით, აგრეთვე, „მოგზაურობის“ იმ თავებში, სადაც იმდროინდელი ოსმალეთისა და ირანის აღწერაა მოცემული. გარდა ამისა, ტავერნიეს მიერ აღწერილი თვით ამ ქვეყნების ისტორიულ მოვლენათა და ფაქტების გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიული ვითარების გასარკვევად.



დღიბუა დე მონპერეს ატლასი



კავკასია

ფრადარიკ დიუბუა დე მონპერა

მზია მგალოზლიშვილი
ლალა მიქიაშვილი

დიუბუა დე მონპერა ფრადარიკ (1798, მოტიე-შევიცარია - 1850, იქვე, წწ.) იმ მეცნიერ-მოგზაურთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა თხზულებებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში. წარმოშობით შვეიცარიელი ფრანგი, ნეშმატელის აკადემიის პროფესორი, დიუბუა იყო ცნობილი სწავლული, გეოლოგი, ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყირიმსა და კავკასიაში, იმოგზაურა. 1833 წლის გაზაფხულზე დიუბუა ჩავიდა რუსეთში, საიდანაც გაემგზავრა ჯერ ყი-

რიმში, შემდეგ კი ჩრდილო კავკასიაში. რუსული სამხედრო ზომალდით მან იმოგზაურა კავკასიის სანაპირო ზოლის გასწვრივ, ხოლო შემდეგ მოიარა დასავლეთ ამიერკავკასია თბილისის ჩათვლით. მოგზაურობის დროს იგი ადგენდა დღიურებს, სადაც დაწვრილებით აღწერდა ნანახსა და გაგონილს, პარალელურად კი აზუსტებდა ანტიკური, შუა საუკუნეებისა და მისი თანამედროვე ევროპელი და რუსი ავტორების ცნობებს ამ რეგიონის შესახებ. გარდა ამისა, დიუბუას პირადი კონტაქტები ჰქონდა სწავლულ კავკასიოლოგებთან და მათგან იღებდა ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს კავკასიის შესახებ. ამ ექსპედიციის შედეგები მან 1839-1845 წწ. გამოაქვეყნა ექვსტომიან ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს არა მარტო

მოგზაურის ჩვეულებრივ დღიურს, არამედ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას, სადაც ნათლად ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ეს ნაშრომი თავის დროზევე იქნა ჯეროვნად შეფასებული სამეცნიერო წრეების მიერ და მას საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი მიენიჭა (1838 წ.).

თხზულების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს, მათ შორის ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა დახასიათებას და ამ ორი ქვეყნის არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესახებ განმაზოგადოებელ მსჯელობას. პირველ ტომში, რომლის ერთი ნაწილი ეთმობა ჩერქეზებს, დიუბუა აღწერს აგრეთვე აფხაზეთსა და სა-

მურზაყანოს, აქვეა მოცემული რეტ-კალედან ქუთაისამდე მისი მარშრუტის დახასიათება, რასაც ერთვის ქუთაისის აღწერა. ტომის ბოლოს დიუბუა მის მიერ აღწერილ ძეგლთა დახასიათების საფუძველზე აყალიბებს თავის ცნობილ „თეორიას“ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ბიზანტიურიდან და სომხურიდან წარმომავლობის შესახებ. მეორე ტომში გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ვრცელი მიმოხილვა, რასაც თან ერთვის იმერეთის, რაჭის და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთა აღწერილობა. მესამე ტომი ეძღვნება სამეგრელოს, ლეჩხუმის, სვანეთისა და ქუთაისის აღწერას, რომელიც გეოგრაფიული აღწერის, აქვე და, ნაწილობრივ, მომდევნო მეოთხე ტომში კი გადმოცემულია აღმოსავლეთ სა-

ქართველოს რეგიონებში ავტორის მოგზაურობა. მეხუთე და მეექვსე ტომები მოიცავენ ჩრდილო კავკასიის, შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროსა და ყირიმის ნახევარკუნძულის აღწერილობას. ნაშრომს ერთვის ავტორის მიერ შესრულებული ჩანახატების ატლასი, რომელიც გეოგრაფიულ, ფერწერულ, არქიტექტურულ და გეოლოგიური სერიებისაგან შედგება.

თავის მონოგრაფიაში დიუბუას გამოყენებული აქვს ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებები, ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერები და მისიონერთა რელაციები. ამასთანავე, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა რომელმაც მარი ბროსესთან, ისე რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან და ხშირად სარგებლობდა მათი კონსულტაციებით.

აქედან გამომდინარე, დიუბუას „მოგზაურობა“ ევროპაში დაგროვილი ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის ავტორთა ნაშრომებში დატყული მნიშვნელოვანი მასალების შემაჯამებელ გამოკვლევასაც წარმოადგენს. ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ საქართველოში დიუბუას მოგზაურობის შემდეგ ბევრი ხუროთმოძღვრული ძეგლი და ლაპიდარული წარწერა მნიშვნელოვნად დაზიანდა ან მთლიანად განადგურდა და მათი აღდგენა შესაძლებელი გახდა დიუბუას მიერ შესრულებული ნახაზებისა და ჩანახატების საშუალებით. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომით დიუბუამ საბუნებრივად გაემგზავრა ახალი ისტორიული მასალა კავკასიის შესახებ.



ლარსი



ანანური



ზემო რაჭა გლოლა



საჩხერე, მოდინახე.



ანჟური



ვარძია

დარბაზში პერაფარს ვხედავდი

თამარ სხივჰილი

გუშინდელი დღე – 21 თებერვალი თეატრის მოყვარულთათვის განსაკუთრებულ მოვლენად იქცა: გაიხსნა ახალი თეატრი - ახალი, ე.წ. ვაკის სარდაფი და ამ თეატრში პრემიერაც გაიმართა: რეჟისორმა ლევან წულაძემ მაყურებელს დიდი ხნის წინ დაპირებული “ვენეციელი ვაჭარი” წარუდგინა, თანაც დიდი ხნის უნახავი და მონატრებული მსახიობის მონაწილეობით – შაილოკის როლს მერაბ ნინიძე ასრულებდა. ქართველ მაყურებელს შექსპირის “ვენეციელი ვაჭრის” რამდენიმე დადგმა ახსოვს. სულ ბოლოს – რამდენიმე წლის წინ ქართველი მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლით, რომლის დამდგმელი რეჟისორიც რობერტ სტურუა გახლდათ და რომელშიც შაილოკის როლს ცნობილი რუსი მსახიობი კალიაგინი ასრულებდა. გუშინ კი ლევან წულაძემ “ვენეციელი ვაჭრის” სრულიად განსხვავებული რეჟისორული გადწყვეტა, მერაბ ნინიძემ კი მდიდარი ებრაელი ვაჭრის სრულიად განსხვავებული სახე შემოგვთავაზა –



დეტა სხირტლაძის გრაციანო - სპექტაკლი დაიწყო

დაუნდობელიც, ისტერიულიც, ცინიკურიც, ზოგჯერ ფილოსოფიურად ჩაფიქრებულიც კი, მთლიანობაში კი - ალბათ ტრაგიკული...

გუშინ ახალ სარდაფში უამრავმა

ხალხმა მოიყარა თავი, ჟურნალისტები შთაბეჭდილებების გასაზიარებლად რეჟისორებსა და მსახიობებზე მეტად, როგორც წესი, პოლიტიკოსებს – ვანო ზოდელავას, ნიკო



სცენა სპექტაკლიდან

ლეკივილს, ზურაბ ჟვანიას, დათო გამყრელიძესა და სხვებს ესეოდნენ. დამდგმელი რეჟისორი, ბუნებრივია, ძალიან ნერვიულობდა, როგორც სპექტაკლის დასრულების შემდეგ

გაგვიმხილა, ბევრი იყო ტექნიკური ხარვეზი, როგორც ჩვეულებრივ პრემიერის დროს ხდება ხოლმე.

მსახიობისთვის, რომელსაც ქართული თეატრის სცენაზე “ჰამლეტის”

ხოუ-გიონასი მარიკა თხელიძის გარშემო

უცნაური და დაუჭერებელი დეტალები De Phazz-ის სტუმრობასთან დაკავშირებით

ვერა ნაფარიძე

დაპირებისამებრ, ქართულ მასმედიას De Phazz-ის თბილისში დაგეგმილი ერთდღიანი კონცერტის დეტალები გააცნეს. ცოტა დაუჯერებელი და უცნაური მთელ ამ ისტორიაში ისაა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი კოლექტივი, თურმე, თბილისში მარიკა თხელიძის “ფრაივ ფართიზეა” (რაც “შინაური წრისთვის განკუთვნილ ნვეულებას” ნიშნავს) მოწვეული.

ასეთმა ინფორმაციამ (რომელიც პრეს-რელიზში არ იყო ბოლომდე დაკონკრეტებული) გუშინ “აჭარა მიუზიკ პოლში” გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტები ცოტა დააბნია. თუმცა, ამ ბუნდოვანი სურათის გაფერმკრთლება ვანიკო თარხნიშვილმა სცადა. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, თბილისში ცნობილი პრომოუტერი ამიერიდან მარიკა თხელიძის უცხოურ პროექტებშიც ჩაერთვება. 5 მარტს “აჭარა მიუზიკ პოლში” დაგეგმილი კონცერტიც ამ თანამშრომლობის პირველი ეტაპია.

“მარიკა თხელიძის “ფრაივ ფართისთვის” გეცნოდება მოგვეცეია ცოცხალ შესრულებებთან კოლექტივი. ამისათვის დაუუკავშირდით მოსკოვში ჩვენს კომპანიებს, თუ ვისი შემოთავაზება შეეძლოთ ჩვენითვის”, - პროექტის დეტალებს მაცნობს ვანიკო თარხნიშვილი. თბილისელი პრომოუტერები De Phazz-ის ჩამოყვანის პერსპექტივამ იმდენად

მოხიბლა, რომ ერთ-ერთ საკულბო კოლექტივზე შეჩერებული არჩევანი იოლად გადათქვეს. როგორც თარხნიშვილი ამბობს, არც გერმანელ მუსიკოსებს უყოყმანიათ თბილისში ჩამოსვლაზე მას შემდეგ, როდესაც გაიგეს, რომ საქართველოში ისინი ერთ-ერთი ნიჭიერი თინეიჯერი მომღერლის “შინაურულ ნვეულებაზე” უნდა გამოსულიყვნენ. “De Phazz-ის მუსიკოსებს წარუდგინეთ მარიკა; რომ, იგი არის პერსპექტიული ვოკალისტი, რომელიც ბროდვეის მიუზიკლში სერიოზულ როლზეა დამტკიცებული და ა.შ. მუსიკოსები არც ამის შემდეგ დაბრკოლებულან თბილისში ჩამოსვლაზე და გეთხრეს, რომ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არსებობს”, - აკონკრეტებს მარიკა თხელიძის ახალი პრომოუტერი. რაც შეეხება ბროდვეის მიუზიკლს, მასზე აქტიური მუშაობა სექტემბერშია დაგეგმილი. მანამდე კი თხელიძე ინგლისური ენის კურსებს ვირჯინიის შტატის ერთ-ერთ კოლეჯში გაიცვლის.

გუშინდელ ხალხმრავალ პრეს-კონფერენციაზე, ძირითადად, მარიკა თხელიძის უახლოეს გეგმებზე საუბრობდნენ. საპატიო სტუმრებს შორის (რომლებიც ქართული მოუბიზნესის წარმომადგენლები არიან) მონეულები იყვნენ: ზასა ფოცხიშვილი (თხელიძის ერთ-ერთი კლასის რეჟისორი), ბაკურ ბაკურაძე (მომღერლის სასცენო კოსტიუმების დიზაინერი), ნიკა მეძანიშვილი (მარიკას სიმღერების არანჟირებისა და ინტერპრეტაციების ავტორი), რუ-



მარიკა თხელიძე

სუდან ბაბტაძე (მომღერლის მუსიკალური ხელმძღვანელი) და მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ახალგაზრდა პერსპექტიული მომღერლის მიმართ სიტყვები არ დაი-

შურეს და მარიკასადმი პრესისა და საზოგადოების ზომიერი დამოკიდებულების შესახებაც გამოხატეს კმაყოფილება. ალბათ, ასეთი დამოკიდებულება უფრო თავად მარიკა თხელიძის დამსახურებაა და სხვა

არავისი. თუმცა, ალბათ,მომღერლისთვის უკეთესი იქნება, თუ გარემო მის უბადლო ნიჭზე მოლაპარაკე ნაკლები აღფრთოვანებული ქომაცი ეყოლება.

ამჟამად მარიკა თხელიძე ორ

ქალენდარი

22 თებერვალი

ლუის ბუნუელი (1900-1983) შეძლებული მინათმქმედის მრავალმედიან ოჯახში დაიბადა. სარაგოსას იეზუიტურ კოლეჯში სწავლის დროს მას პირველად შეეპარა ეჭვი რელიგიური მოძღვრების ჭეშმარიტებაში, რამაც მოგვიანებით, მაშინ, როცა მადრიდის უნივერსიტეტში სწავლობდა, მისი არჩევანი განაპირობა: ბუნუელი მტკიცე ათეისტი გახდა.

იმხანად, მომავალი პროფესიის ძიების წლებში, ახალგაზრდა ლუისი “1889 წლის თაობის” წარმომადგენლებს - გარსია ლორკას, ალბერტის და გილიენს დაუახლოვდა. მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი 1920-იანი წლები იყო, როცა ის პარიზში მხატვარ-სიურეალისტთა ჯგუფის ესთეტიკურ და საზოგადოებრივ პროგრამას გაეცნო (ბრეტონი, დელი, ერნსტი). ამ ჯგუფის ლონზზედ ბურჟუაზიულ პირობითობასთან და “წვეთბრივ ხელოვნებასთან” კავშირის სკანდალური განცეგტა იყო. ამ “შოკის ესთეტიკამ” ნათელი გამოხატულება ჰპოვა ლუის ბუნუელისა და სალვადორ დალის ერთობლივ კინოდებიუტში, ქრესტომათიულად ქცეულ ფილმში “ანდალუზელი ნაგავი” (1928). მათმა შემდგომმა ფილმმა, “ოქროს საუკუნე” (1930), ნამდვილი სკანდალი გამოიწვია: უკიდურესმა ნატურალიზმმა და მარკიზ დე სადის შემოქმედებასთან ასოციაციებმა საზოგადოება აღაშფოთა და 50 წლის განმავლობაში ფილმის ჩვენება აკრძალული იყო. იგივე ბედი ხვდა წილად ბუნუელის მიერ ესპანეთში გადაღებულ ფილმს “ლას უორდესი. უაურო მინა” (1932), რომელშიც ამ მხარის დამთრგუნველი სილატაკეა ნაჩვენები.

სამოქალაქო ომის წლებში ბუნუელმა რესპუბლიკელების მხარე დაიჭირა. ის აქტიურად ეწეოდა ეროვნული კულტურის საზოგადოარეთ პროპაგანდას, ანტიფაშისტური და ანტიფრანკისტული ფილმების შექმნაში მონაწილეობდა.

1938-დან 1946 წლამდე რეჟისორი აშშ-ში მოღვაწეობდა, ხოლო 1949 წელს მექსიკის მოქალაქეობა მიიღო და 20-ზე მეტი ფილმი გადაიღო, მათ შორის “დავინწყებულნი” (1951 წლის კანის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის), “კიბე ზეცაში” (1952 წლის კანის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი), “ნაზარინი” (1958 წლის კანის საერთაშორისო კინოფესტივალის საგანგებო პრემია), “ვირიდიანა” (1961 წლის კანის “ოქროს პალმის რტო”) – ეს უკანასკნელი “რელიგიური ღირებულებების შეურაცხყოფის” გამო ესპანეთში აკრძალული იყო. ბიბლიურ თემაზე რეჟისორმა კიდევ ორი ფილმი გადაიღო: “სეიმონ მესვეტე” (1965 წლის ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი), და “ირმის ნახტომი”.

1967 წელს ბუნუელმა ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის გრან-პრი მიიღო ფილმისთვის “დღის ლამაზმანი”, ხოლო 1973 წელს, “ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლისთვის” მას “ოსკარი” გადაეცა.

ცხოვრების ბოლი წლები, სმენა და მხედველობადაკარგულმა ლუის ბუნუელმა თავისი ცხოვრების ამბავი წიგნში “ჩემი უკანასკნელი სუნთქვა” აღწერა. ესპანელი რეჟისორი და სცენარისტი, მსოფლიო ხელოვნების “საკუტრო” მიმართულების ლიდერი **ლუის ბუნუელი** დაიბადა 1900 წლის 22 თებერვალს.

თამარ მარკანდიძე

ცნობილ მსახიობს, ჯეინ ბირკინს არასდროს უცდია თავისი კოფილი ქმრის, მომღერალ სერჟ გინზბურგის გავლენიდან თავის დაღწევა. არც იყო გასაკვირი – გინზბურგს ხომ ბევრი ბაძაძეა, მან დიდი გავლენა მოახდინა ე.წ. დეკადენტების ახალ თაობაზე – ბექზე, ეარზე, ჯეერვის კოკერსა და ჯონი დეშზე... ორიოდე დღის წინ ჯეინ ბირკინმა მუსიკის მოყვარულებს კიდევ ერთხელ გაახსენა უცნაური და იდუმალებით მოცული პიროვნება სერჟ გინზბურგი, იმ დისკის წყალობით, რომელიც მე-უღლის ხსოვნასა და მათ დიდ სიყვარულს მოუძღვნა.

თავის დროზე რას აღარ ამბობდნენ სერჟის ცვალებად და ახირებულ ხასიათზე. თუნდაც მისი “როლს როისის” ისტორია გავისხენით: ავტომანქანა მხოლოდ იმიტომ იყიდა, რომ საფერფლედ გამოეყენებინა, მართვის მოწმობა არც კი აუღია. მან მთელი მეფიქრარია შემოიარა, თავისი ოქროს საბადო რომ დაეზანდებინა და მერე ბანკის მისამართი დაკარგა. საბადო ახლაც არსებობს, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, სად არისო – ამბობს ბირკინი.

სერჟ გინზბურგის უცნაურობების ჩამოთვლა, ნამდვილად, შორს ნაგვიყვანდა, ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას – ყოველთვის აინტერესებდა, რას ამბობდა და რას ფიქრობდა მასზე ხალხი, თანაც ძალიან პრეტენზიული იყო, ყველასგან – ნაცნობისგანაც და უცნობისგანაც დიდ სიყვარულს მოითხოვდა.

ჯეინსა და სერჟს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერ გაუძლეს, უფრო სწორად, ჯეინმა ვერ გაუძლო ქმრის უხასიათობასა და გეოიზმს. 1981 წელს მან სერჟს გაუმხილა, რომ სხვა კაცისგან – კინორეჟისორ ჟაკ დულორისგან იყო ორსულად და გინზბურგი მიატოვა. თუმცა, მათ ბევრი რამ აკავში-



ჯეინ ბირკინი



ჯეინ ბირკინი და სერჟ გინზბურგი

რებდათ და ამ ყველაფრის დაივნეება ალბომიც, რომელიც ბირკინმა გამოუშვა და რომელსაც “არაბესკები” ჰქვია. ალბომის პრეზენტაცია 17 თებერვალს გაიმართა ლონდონში. ამ

დღისთვის პოპულარული მსახიობი, საგანგებოდ ჩამოვიდა პარიზიდან, რათა ესაუბრა გინზბურგზე, მის სიმღერებზე, რომელსაც ბირკინი ალჟიერელი მევიოლინის – ჯამელ ბენიფლის თანხლებით ასრულებს. ამ სიმ-

შემდეგ აღარ უთამაზია, ამ პრემიერას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა; წლების მერე ძველ პარტნიორებთან შეხვედრა მისთვის სხვა სიხარული იყო: “ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ყველას გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა და ბედნიერებაა, რომ ამ გამოცდილებას სცენაზე ვუზიარებთ ერთმანეთს, რომ თეატრის ენაზე გადმოვთარგმნეთ ის, რაც ამ ხნის განმავლობაში გავგიკეთებია,” – ამბობს მერაბ ნინიძე. იგი სპექტაკლის დასრულების შემდეგაც ეიფორიაშია და უჭირს რაიმეს თქმა: “დარბაზში გერაფერს ვხედავდი, თამაში ძნელი იყო, როგორც ყველა პირველ სპექტაკლზე, კონკრეტულად გერაფერს გეტყვით, მარტო იმის თქმა შემიძლია, რომ განცდა დიდია.”

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, მერაბ ნინიძის შეილოკმა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ჩვენ კი ისლა დავგრჩენია, გუშინდელივით ანმლაგები ვუსურვით ახალ სარდაფს, სადაც “სუფრას რაც შეეხება – მოგართმევენ, ბატონო; ხოლო თქვენს მობრძანებას რაც შეეხება – ეს უკვე თქვენი გუნებისა და ხასიათის საქმეა.” (შექსპირი, “ვენეციელი ვაჭარი”)

პოლიციაშ პირობა დადო, რომ თამაშაზუა წასრიგს დაიცავს

მიხაილ აბაიშვილი

ქართულ ფეხბურთში მეტ-ნაკლებად ჩახედული კაცისთვისაც კი კარგად არის ცნობილი ის ქაოსი, რაც საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩების მსვლელობისას ხდება. აქ მხოლოდ გულშემატკივართა თავგამებულ ქცევას არ ვგულისხმობ. რამდენჯერმე საქმე სერიოზულ ინციდენტამდეც მივიდა. ქვების სროლა ფეხბურთელებისა და მსაჯების მისამართით, ხელჩართული დაპირისპირება გულშემატკივართა მოწინააღმდეგე ბანაკებს შორის, ფიზიკური ანგარიშსწორება მსაჯებზე, თანაც, არა მხოლოდ გულშემატკივრების, არამედ ფეხბურთელთა და კლუბის ხელმძღვანელთა შესრულებით – ყოველივე ეს, კარგა ხანია, გასცდა უცხოეთის ახალი ამბების ფარგლებს და ქართულ საფეხბურთო რეალობაში შემოიჭრა. ამ დროს სამართალდამცავი სტრუქტურები, ხშირად დედაქალაქშიც კი, ვერ უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას. თუმცა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართული გუმინდელი შეხვედრის შემდეგ, შესაძლოა, მდგომარეობა შეიცვალოს. ამ უწყებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრაზე განიხილეს საფეხბურთო მატ-

	სტანკოვიჩი რომზე გიყდება	
----------------------------	---------------------------------	----------------------------

როგორ უნდა უყვარდეს კაცს თავისი გუნდი, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ მოინდომოს სხვა კლუბში გადასვლა! რომის “ლაციოს” სერბი ლეგიონერი, დეიან სტანკოვიჩი, ბოლო დღეებში გმირის როლს თამაშობს და ყველას უმტკიცევებს: მერე რა, რომ სერგო კრანიოტის ხელფასი შემოიცირა, “ლაციოდან” მაინც არ წავალო.

“ლაციოს” ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში ჰქონდა ფინანსური პრობლემები, როცა, საგარანტიო თაზნის გადაუხდელობის გამო, კინაღამ სერია A-ს მიღმა დარჩა. ნესტასა და კრესპოს გაყიდვამ სიტუაცია მხოლოდ ნაწილობრივ გამოსასწორა. ახლა კრანიოტის ესპანელი ივან დელა პენია და პოლანდიელი იაზ სტამი ედაგებიან, ჩვენი გადაუდელი ხელფასი გავგისტუმრო, თორემ სასამართლოში გირჩევლბთო. პოდა, კრანიოტისაც სხვა რა გზა აქვს, ფეხბურთელთა ანაზღაურების შემცირება დაიწყო.

სტანკოვიჩი თავიდან უარზე იყო, დიდი შემოსავლის დაკარგვა არ უნდოდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ დავას აზრი არ ჰქონდა, ხელფასის შემცირებაზე დათანხმდა. თან დააყოლა, ყველაფერს გავაკეთებ რომში დასარჩენადო.

სიმენის მემკვიდრე

ინგლისში, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის “არსენალის” წანწავიანი გოლკიპერი, დევიდ სიმენი, შეუცვლელი სულაც არ არის. სიმენის შეცდომებზე მუნდილის დროს ბევრი იმსჯელებს პრესაში, მაგრამ არც “არსენალის” თავცანმა არსენ ვენგერმა და არც ნაკრების ხელმძღვანელმა სვენ გორან ერიქსონმა საჭიროდ არ ჩათვალეს, ვეტერანი მეკარე გუნდიდან დაეფხოთ. ერიქსონმა ისიც კი თქვა, ბრაზილიასთან წაგებას სიმენს არ ეგბრლებ და ევროპის ჩემპიონატზეც წაიყვით, თუ ვენგერი ამ ორი წლის განმავლობაში რეგულარულად ათამაშებს კლუბშიო.

ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ნაკრებში მოხვედრას ვინ ჩივის, შესაძლოა, სიმენმა კლუბშიც დაკარგოს ადგილი. არსენ ვენგერს უცებ ახალგაზრდა მეკარე მოუწდა და “პარმას” ფრანკ ზოლტერს სებასტიან ფრეის დაადგა თვლი. ლონდონელებს 22 წლის ფრეი ძალიან მოსწონთ და მზად არიან, “პარმას”, ფრანგის კონტრაქტის გამოსასყიდად, 6,5 მილიონი ევრო გადაუხადონ. საუარაუდოდ, ფრეი სეზონის დასრულებისთანავე გადავა ლონდონში.

ტრაპატონი: “სიამოვნებით დაგებრუნდები ფლორენციაში”
ამ უცნაურ კაცს ხან რას სთავაზობენ და ხან რას, ოღონდ ეროვნული ნაკრებიდან წაივდეს და “სკუადრა აძურას” ტიფოზებს თავისი აპარორდინარული ექსპერიმენტებით წერვები აღარ მოუშალოს. ის კი მყარად ზის თავის სკამზე და ყველაფერს გმიოულად იტანს - მუენდილის მერვედფინალიდან გავარდნასაც, ევრო 2004-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე უელსის ნაკრებთან წაგებასაც და სასმინელ კრიტიკასაც. ტრაპატონის სიმტკიცე ურყევია, თუმცა, სისუსტე მასაც ჰქონია. ეს სუსტი ნერტილი ან უკვე ისტორიად ქცეული “ფიორენტინა” გახლავთ.
“ტრაპი” დიდხანს მუშაობდა ფლორენციულ კლუბში, მის დროს “ფიორენტინა” ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობდა და UEFA-ს თასზეც. შემდეგ “ფიორე” ფინანსურ კრიზისში მოექცა და, ევროასპარეზზს ვინ ჩივის, სერია B-ს საგარანტიო თანხაც კი ვეღარ გადაიხადა. “ფიორენტინა” გაქრა და მის ნაცვლად შეიქმნა “ფლორენტინა”, მაგრამ “ფიორეს” ძველ ფანებს ეს კლუბი ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ.
ჯოვანი ტრაპატონი ერთ-ერთი იმთავანია, ვისაც “ფიორენტინა” ისევ უყვარს და ეს სიყვარული სერია C 1-ში მოასპარეზე “ფლორენტინაზე” გადააქვს. “ფლორენციაში დიდხანს ვიმუშავე და ახლაც სიამოვნებით დაგებრუნდები. როგორც კი კლუბი სერია B-ში გადავა, დამიძიხეთ და მაშინვე წამოვალ”, – ასე ორიგინალურად აუხსნა სიყვარული ფლორენციელებს ტრაპატონიმ.
ომის შიში
მოსალოდნელი ომი ერაყის წინააღმდეგ მარტო სადამ ჰუსეინის ქვეყანას როდღ უქმნის საფრთხეს. ამერიკელთა აგრესიის ერაყის მეზობელ ქვეყნებსაც ძალიან ეშინიათ. ომის საფრთხემ ფეხბურთსაც შეუშალა ხელი.
3 მარტს უნდა გამართულიყო ეგვიპტისა და კუვეიტის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი, მაგრამ იმის გამო, რომ არავინ იცის, რა მდგომარეობა იქნება ამ დროისთვის სპარსეთის ყურეში, ორივე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოლაპარაკეს და გადაწყვიტეს, ტესტ-მატჩი ერთი თვით გადაედოთ. მაგრამ, ვინ იცის, იქნება კი მშვიდობა ჰ აპირლს?

ფეხბურთი

“ბაიერნს” ფინანსურ მაქინასკრიაზში ადანაშაულებენ

“ბაიერნი” არასოდეს იყიდება“, - ამბობს ჰიონესი

აპა ტონი

<i>მაშინ, როდესაც ევროპის სახელოვანი კლუბები ხშირად ეხვევიან ამა თუ იმ სკანდალში (მარტო მადრიდის “ატლეტიკოს” პრეზიდენტი ზესუს ხილ ი ხილი რად ლორს!), მიუნხენის “ბაიერნი” ყოველთვის ცდილობს, დარჩეს დისციპლინისა და წესრიგის ეტალონად. საქმარისია, კლუბის ფეხბურთელმა გუნდის მკაცრი განაწესი დაარღვიოს, რომ ხელმძღვანელობა მას სასტიკად დასჯის. ასე იყო მართი პასუხის, ოლიგერ კანისა და სხვათა შემთხვევაში. ფინანსურ მაქინაციებზე საუბარი კი საერთოდაც ზედმეტი იყო. როგორც ჩანს, “ბაიერნის” პატიოსნებასაც ჰქონია საზღვარი. გერმანელი ტელემაგნატის ოტო კირხის კუთვნილი “Kirch Media”-ს გაკოტრებამ ბევრ კლუბს გაუჩინა თავსატეხი, ახლა კი მიუნხენის “ბაიერნის” რეპუტაციაც ემსხვერპლა.</i>

	სწორედ “Kirch Media”-ს ირგვლივ ატეხილ სკანდალს აბრალებენ გერმანელები იმ ამბავს, რომ “ბაიერნმა” იუსტიციის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო.	
ბერლინელმა ადვოკატმა, ბერნდ ჰანდშუმახერმა, ხუთმაბათს სარჩელი შეიტანა მიუნხენის სასამართლოში - ის “ბაიერნს” ფინანსურ დარღვევებში ამხელს. ადვოკატის სარჩელი ეხება მიუნხენური კლუბისა და “Kirch Media”-ს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებას, რომელმაც “ბაიერნს” 40 მილიონი ევროს მოგება მოუტანა.	“იმის გამო, რომ საქმე ეხება კორუფციაში მხილებას, აუცილებლად უნდა ჩაერიოს ქალაქის პროკურატურა”, - აცხადებს ული ჰიონესი და ბერლინელი ადვოკატის განცხადებას ცილისწამებას უწოდებს. “ამ ფაქტთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ძალიან ბევრს შურს მიუნხენის “ბაიერნის”, მაგრამ ამას უკვე მიეჩვიეთ”, - ამბობს კლუბის მენეჯერი.	

ბერლუსკონი მამეზსაც პატრონოზს

გიზა ბუარასაშვილი

<i>კვლავაც დიდია ინტერესი პოსტსაბჭოური სივრციდან ყველაზე სარფიანად გაყიდული უკრაინელი ფეხბურთელის ანდრეი შევჩენკოს მიმართ. სერია A-ს ბინდარი მილანის “მილანის” ზურგარდის შეძენის სრული გამოთქვა პრიმერადივიზიონის (და არა მარტო) ყველაზე სახელოვანმა და ტიტულოვანმა კლუბმა - მადრიდის “რეალმა”. სამეფო კლუბი მზადაა, უკრაინელის სანაცვლოდ, ჯიბე 150 მილიარდით შეიმსუბუქოს.</i>
მას შემდეგ, რაც მილანელებმა მოსკოვის “ლოკომოტივის” პირველი ბარიერი გადალახეს, კლუბის პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ, ერთობ უცნაური განცხადება გააკეთა. კლუბის თამაშით აღფრთოვანებულმა გალიანიმ, “მილანი” მადრიდის “რეალს” შეადარა. ეს მაშინ, როცა კლუბს არავისზე ნაკლები ტრადიციები არა აქვს. კლუბის პრეზიდენტისგან განსხვავებით, ანდრეი შევჩენკოს მილანელობას არაფერი ურყევია. უკრაინელ თავდამსხმელს არსად წასვლა არ სურს და ბურთის გორებას კვლავაც “მილანში” აპირებს.

A black and white portrait of Dieter Hahn, Vice President of Kirch Media. He is a middle-aged man with receding hair, looking upwards and to the right with a thoughtful expression. He is wearing a dark jacket with a high collar. The background is a soft, out-of-focus grey.

მერი მოიხსენი სერიოზული პრობლემების წინაშეა.

ვიცნობს კატეგორიულად უარყოფს ყველანაირ დარღვევას და აცხადებს: “არავის მიეცემთ ჩვენი ყიდვის უფლებას, რადგან “ბაიერნი” არ იყიდებოდა. კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს, ამ კონტრაქტს ნათელი მოჰყოლოს და დააიბრებს, 18-ფურცლიანი ხელშეკრულების ასლი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის გაუგზავნოს.

“გვიწოდ, კონტრაქტის აუცილებლად დადგენილი. გვაციონებს, ამ ხელშეკრულების გამო გერმანიის საფეხბურთო ლიგამ მართლა ნახა თუ არა რაიმე ზარალი”, - ამბობს გერმანიის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე, მიხაელ პფადი.

ამგებამ გაკორტებულ “Kirch Media”-ს ვიცი-პრეზიდენტმა, დიტორ პანმა, 1999 წლის დეკემბერში გაფორმებული კონტრაქტის დეტალებზე ისაუბრა ჟურნალ “Kicker”-თან. “მიუნხენის “ბაიერთან”-სეთივე გარი-

გება დავდეთ, როგორიც დორტმუნდის “ბორუსიასთან” და “ჰამბურგთან” აქვს UEFA-ს, ანუ: კონტრაქტი ცალკეული მატჩების ტრანსლირების უფლების მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ გუნდი UEFA-ს თასზე ითამაშებდა. ამ კონტრაქტით “ბაიერნთან” საკუთარ კონტაქტს დავამყარებდით. ეს კარგი გამოსავალი იქნებოდა იმ შემთხვევისთვის, თუ მატჩების ტრანსლირების უფლებების ერთიანი სისტემა მოიმუღებოდა”, - ამბობს ჰანი.

ჰანის სიტყვებს ჰიონესიც ეთანხმება და აცხადებს: “დეცენტრალიზებული ლიცენზირების შემთხვევაში, რომელზეც ადრეც იყო საუბარი და ახლაც ბევრს ლაპარაკობენ, ჩვენი პარტნიორი სწორედ “Kirch Media” იქნებოდა.

ხოლო იმ ფაქტს, რომ, ასეთი სახის ხელშეკრულების სანაცვლოდ, “ბაიერნმა” ასტრონომიული თანხა მიიღო, დიტერ ჰანი იმით ხსნის, რომ “ული ჰიონესი არასოდეს ყოფილა იაფი”. აღსანიშნავია, რომ “ბაიერნი” ბუნდეს-ლიგის ერთადერთი კლუბია, რომელთანაც “Kirch Media”-მ მსგავსი კონტრაქტი გააფორმა.

“ბაიერნის” ვიცე-პრეზიდენტი, კონტრაქტის ფრეი ვიფ ვიკონრაქტის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით აცხადებს, “რომ კლუბის პრეზიდენტი არაფერს საუბერს აკლბის ეს იყო ჩვენი კლუბის კუთვნილი საკუთრება იკმპანის მიერ განხორციელებული გარეგნა, რომელიც უცხოელად გახშირებას იმ ქვეყნებში ვაგებოდა. რა საჭიროა, ყველას მიუყვებით კანონიერად, ყოველგვარი გარეგნის გარეგნ გაფორმებული უცხოელად გახშირებას, - ამბობს ვიფ ვიკონრაქტის ფრეი ვიკონ

	
“ბაიერნის” ვიცე-პრეზიდენტი, დოქტორ ფრიც შერერი კი კონტრაქტის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით აცხადებს, “რომ კლუბის სტრატეგია არავის საქმე არ არის”. “ეს იყო ჩვენი კლუბის კუთვნილი სარეკლამო კომპანიის მიერ განხორციელებული გარიგება, რომელიც აუცილებელ გახმარებას არ ექვემდებარება. რა საჭიროა, ყველას მოეწყვიეთ კანონიერად, ყოველგვარი დარღვევის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ”, - ამბობს შერერი. თავს იცავს ული ჰიონესიც: “მე პირველი ვიყავი, ვინც მატჩების ტრანსლირების უფლებების ცენტრალურ სისტემას ემხრობოდა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ “ბაიერნის” ფინანსურ კეთილდღეობაზეც ვაგებთ პასუხს, მაშინაც კი, როდესაც ეს სისტემა შეიცვლება”.	დამნაშავეა თუ არა “ბაიერნი”, ეს მხოლოდ ფრანკფურტში გადაწყდება, მას შემდეგ, რაც გერმანიის საფეხბურთო ლიგა კონტრაქტის ასლს გაეცნობა. მანამდე კი “ბაიერნი” განაჩენის მოლოდინშია.

	
გაეპაპიქეგატი „ლაგუნა პეჩე“	გაეპაპიქეგატი „ლაგუნა პეჩე“

რეპტი

სორელს "ზორჭღალონები" აკლდებიან და ემატებიან

პაატა თოთაძე

გუშინ, "24 საათის" რედაქციაში, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ტრადიციული, წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართა. ქართული მედიის წარმომადგენლებს ბორჯღალოსნების დღევანდელი მეტოქე, ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელებიც შეხვდნენ.

იმის გამო, რომ სტუმრებს ვარ-ჯიშზე აგვიანდებოდათ, პირველი სიტყვა მათ ითხოვეს. თარჯიმნობას ნაკრების მეთაე ნომერი, წარმოშობით უკრაინელი ანდრეი კოვალენკო უწევდათ. ნაკრების მწვრთნელის პიერ პერესის თქმით, მის ბიჭებს დღეს ურთულესი მატჩი ელთ მსოფლიო თასზე გასულ გუნდთან. ამის გამო საინტერესო იქნება, რას იზამს მოედანზე ჩემი გუნდი ასეთი მაღალი დონის მეტოქესთანო. პერესმა იხუმრა, ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ზვალინდელი მატჩი რიგით მეორე იქნება, "ფრანგებთან" რომ ვთამაშობთო. საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე, ლეგიონერებით დაზუხძლული პირველი გუნდი, რომელსაც ესპანეთის ნაკრები შეხვდა, რუმინეთის ეროვნული გუნდი იყო.

შემდეგ საუბარი ცოტა ხნის წინათ უსრანეთისა და რუსეთის ნაკრებებს შორის მომხდარ ფაქტს შეეხო. ნაკრების მენეჯერის, ზუან ლუკას თქმით, განმეორებითი მატჩის ჩატარება ეჭვქვეშ იდგა ორი მიზეზის გამო: "ჯერ ერთი, იმ დღეს მოსკოვში ძალიან ცუდი ამინდი იყო, და მეორე, დაღვიქვდით: ღირდა კი განმეორებითი მატჩის თამაში, როცა პირველი 33 ქულით გექონდა ნაგებული. ალბათ, არც ვითამაშებდით, მორაგბეები რომ არ გაჯიუტებულიყვნენ. მათ უნდოდათ, დაემტკიცებინათ, რომ პირველი მატჩის შედეგი შემთხვევითი იყო. შეხვედრა კრასნოდარში გადაიტანეს. თამაშის დასრულებამდე



პრესკონფერენცია "24 საათის" რედაქციაში

15 წუთით ადრე 30 ქულით ვიგებდით. სწორედ ამ დროს რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა მოედანზე შემოუსვა სამხრეთაფრიკელები. როცა ჩვენ მათი პასპორტები მოვითხოვეთ, ნაკრების ხელმძღვანელობამ გვითხრა, აქ არა გვაქვს, როგორც ჩანს, სადღაც დაგვრჩაო. ყველაფერი საეჭო იყო და ჩვენც დავინვეთ იმის გამოძიება, რამდენად კანონიერი იყო რუსეთის სახელით მათი თამაში". ამის შემდეგ რაც მოხდა, რაგბის გულშემატკივარმა კარგად იცის.

ბოლოს საუბარი ისევ შეეხო საქართველოსთან მომავალ მატჩს, თუმცა, ახალი და მნიშვნელოვანი

არაფერი თქმულა. ყველაფერი ისევ დიპლომატიით და მეტოქის ქებით შემოიფარგლა.

ამის შემდეგ ქართველთა ჯერი დადგა. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, რა მოხდა პორტუგალიაში. პირველი კითხვაც განვიღო შეხვედრას ეხებოდა, თუმცა, სორელმა ახალი წლის მილოცვით და რუსების თავს გადამხდარი ამბებით დაიწყო საუბარი. მისი თქმით, რუსებმა დაარღვიეს ის პრინციპები, რითაც ფასობს სპორტი, ასე რომ, ისინი სასწავლს იმსახურებდნენო. "არსებობს დაუწერელი კანონი, რომელსაც ყველა პატივს სცემს. არსებობს დაწერილი კანონი, რომელსაც, რა თქმა

უნდა, ასევე ყველა სცემს პატივს. რუსებმა ყველა კანონი დაარღვიეს და სამართლიანადაც დაისჯნენ", - აღნიშნა სორელმა. რაც შეეხება პორტუგალიაში მომხდარს, სორელის თქმით, თავი იჩინა წმინდა ქართულმა სენმა - ზედმეტმა თავდაჯერებულობამ. "ბიჭები მატჩისთვის სათანადოდ ვერ განწყევნენ. ორმაველი ვერ განწყევნენ. ორ მაგალითს მოგაყვანთ. ირლანდიასთან, პირველ ტაიმში, თავი დაზოგეს, რადგან გადაწყვეტი მატჩი ელოდათ. პორტუგალიასთან კი იმიტომ დაზოგეს თავი, რომ ეგონათ, ნახევართი ძალითაც მოუგებდნენ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მეტოქის შეუფასებლობას ყოველთვის ცუდი შედეგი

მოაქვს", - განაცხადა სორელმა.

სანამ მწვრთნელი ესპანელებთან მომავალ მატჩზე და ნაკრებში არსებულ პრობლემებზე დაიწყებდა საუბარს, სიტყვა ითხოვა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, ბიძინა გეგიძემ. როგორც გეგიძემ თქვა, მას საბოლოოდ გაუქრა ილუზია, რომ მსოფლიო თასზე გასვლის შემდეგ საქართველოში რაიმე შეიცვლებოდა რაგბის სასიკეთოდ. "ნუთუ ყველაფერს ის წყევტს, რომ რაგბი ოლიმპიური სახეობა არ არის? ნუთუ არაფერს ნიშნავს გულშემატკივრის მხარდაჭერა, რუსეთთან მატჩის შემდეგ აცრემლებული, ქუჩაში გამოსული ხალხი? ჩვენ პასუხს

ვითხოვთ. თუ არ ვჭირდებით, გვითხრან", - განაცხადა გეგიძემ.

ამის შემდეგ საუბარი ესპანელებთან მომავალ მატჩს შეეხო. როგორც სორელმა აღნიშნა, ნაკრებს, შემადგენლობის მხრივ, პრობლემები აქვს. ირაკლი აბუსერიძეს, ბესიკ ხამაშურიძეს, ვანო ნადირაძეს, გია ჩხაიძესა და ლევან ცაბაძეს ტრავმები აქვთ. გია ლაბაძეს კი ქალიშვილი შეხტენია და ამიტომ მონაწილეობას ვერ მიიღებს დღევანდელ მატჩში. ამის გამო მწვრთნელმა ნაკრებში რამდენიმე ახალბედას უხმო.

"ერთა თასი გუნდში ექსპერიმენტების ჩატარების კარგ შესაძლებლობას გვაძლევს. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ეს ტურნირი ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის და მისი მოგება არ გვინდა. პირიქით, ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მიუხედავად იმისა, რომ ტურნირი ჩვენთვის ცუდად დაიწყო", - აღნიშნა სორელმა. ყველაფრის მიუხედავად, მწვრთნელის თქმით, მოედანზე გავა საქართველოს ნაკრები და არ არსებობს გარემოება, რომელიც ამ გუნდს ნარუმატებულობამ გასამართლებლად გამოადგება, ან იქნება რალაც პრობლემები, რომლის გამოც ვითხოვთ, რომ გუნდს შეღავათები გაუწიოთ. ერთი სიტყვით, დღეს ქართველებს ელთი ფრიად მნიშვნელოვანი მატჩი, რომლის შედეგიც განსაზღვრავს, ექნებათ ბორჯღალოსნებს ერთა თასის მოპოვების შანსი თუ არა.

ქართველთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

შველიძე, ა. გიორგაძე, ნიკოლაენკო, მათიაშვილი, დიდებულაძე, ბოლაშვილი, იაშვილი, ზედგენიძე, კვირიკაშვილი, ჯიმშელაძე, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე, ზიბზიბაძე, კაცაძე, ხეხელაშვილი.

სათარიკოები: რატიანიძე, მჭედლიშვილი, ზინზაგაშვილი, გორგოძე, გუნდიშვილი, ელიზბარაშვილი, ჭუმბურიძე.

მოგზაურთი

ირაკლი ლაბაძე მეოთხედფინალშია

დიმიტრი ოპოლაძე

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მეფისში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომელშიც ირაკლი ლაბაძეც მონაწილეობს. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში 118-ე ადგილზე მყოფმა ლაბაძემ მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. 2001 წლის მანხის ტურნირის შემდეგ ლაბაძე პირველად მოხვდა ასეთი დონის ტურნირის მეოთხედფინალში. ირაკლის მარცხენა ფეხი ანუხეობს და მისი მონაწილეობა მეფისის ტურნირში საერთოდაც სათუო იყო. ამის მიუხედავად, პირველ წრეში იოლად გაიმარჯვა

ფრანგ რენე ლისნარდთან და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. აქ მისი მეტოქე იყო მსოფლიოს 23-ე ჩოგანი, ზიმზაბელი ჯეიმს ბლეიკი. ის ტურნირზე მესამე ნომრად იყო განთესილი და ფავორიტად ითვლებოდა. ქართველმა ჩოგბურთელმა ბოლომდე იბრძოლა და პირველი სეტი, უადრესად დაძაბულ ბრძოლაში, 7:6 მოუგო მეტოქეს. მძიმე გამოდგა მეორე სეტიც, რომელიც ბლეიკის უპირატესობით დაიწყო. ლაბაძემ ისევ ბოლომდე იბრძოლა, 7:5 გაიმარჯვა და რვა საუკეთესოს შორის მოხვდა. ბლეიკს დამარცხებით ქართველმა ჩოგბურთელმა თავისი „კოლექცია“ შეავსო (მას აგასი და მაროკოელი ელ აინაუი ჰყავდა დამარცხებული). აგასის ჩი-

ნეთში მოუგო, აინაუი კი 2002 წლის უიმბლდონზე დაამარცხა. „დასავლეთი არაფერი მქონდა, - განაცხადა გამარჯვებულმა ლაბაძემ, - ბოლო ექვს ტურნირზე სწორედ პირველ ეტაპზე ვმარცხდებოდი. მეფიედ მარცხი კატასტროფა იქნებოდა. ამიტომ თამამად გავრისკე. მიხარია, რომ გამიმართლა“. საინტერესოა ბლეიკის მოსაზრებაც. „ლაბაძე ერთ-ერთი იმავანია, ვისთან თამაშსაც არ ვისურვებდი, - განაცხადა დამარცხებულმა, - შეუპოვრად იბრძოლა. ეტყობა, ჩემზე მეტად უნდოდა გამარჯვება. მართალია, ლაბაძემ კარგად ითამაშა, მაგრამ ცუდი თამაშით მეც ძალიან შეეწყე ხელი. ამ მარცხმა საშინლად დამწყვიტა გული“. მეოთხედფინალში ლაბაძის მე-

ტოქე ბრაიან გაპალი იქნება. მან გაუთესავი, ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელი ერიკ ტანო ორ სეტში დაამარცხა (6:2, 6:4). ბელორუსმა ვლადიმერ ვოლჩკოვმა სამსეტთან ბრძოლაში მოუგო ჯეფ მორისონს (6:2, 4:6, 6:4) და მეოთხედფინალში ტეილორ დენტს შეხვდება. ამ უკანასკნელმა კი ითამაშა ყველაზე დაძაბულ მერვედფინალში, სადაც მისი მეტოქე გემბლი იყო. დენტმა ორ სეტში გაიმარჯვა, თუმცა, ორივეში ტაი-ბრეიკით (7:6, 7:6). ვინსენტ სპადეამ იოლად (6:4, 6:4) დაამარცხა შეედი ფავორიტი, მაგნუს ნორმანი და მეოთხედფინალში მერედ ფიშსა და მეორე ნომრად განთესილ შრიჩაჰანს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

საფინს გოლოვანოვი ბანკრთნის

რუსი ჩოგბურთელი, დენის გოლოვანოვი, ამერიიდან მარატ საფინს განვითნის. ბოლო დროს, ფინანსური პრობლემების გამო, 23 წლის გოლოვანოვს ტურნირებში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდა და მწვრთნელმაზეც ამიტომ დათანხმდა. საფინმა მას სამუშაო უზოძა და ხელფასსაც იმდენს გადაუხდის, რომ გოლოვანოვს ტურნირებში თამაშის საშუალება ექნება.

დენის გოლოვანოვი, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 245-ე ადგილზეა, საფინის გარდა, კიდევ ერთ სპორტმენს აფარებშებს, რომელიც მასზე მხოლოდ 10 თვით არის უმცროსი, რაც, თავისთავად, საოცარი ფაქტია.

„მე გოლოვანოვს ფინანსურად სპორტული კარიერის დასაწყისშიც დავეხმარე. მას ტურნები დამოუკიდებლად სთარული დღესაც უჭირს,

ამიტომ თანამშრომლობა შევთავაზე“, - განაცხადა საფინმა. საინტერესოა, რომ საფინმა ბოლო სამ სეზონში ხუთი მწვრთნელი შეიცვალა, მათ შორის, შეეცაარიელი მარკ როსე და რუსი ალექსანდრ ვოლკოვი. თუმცა, ახალი მწვრთნელი საფინი კმაყოფილია.

„ჩვენ, 11 წელიწადია, ერთმანეთს ვიცნობთ. გოლოვანოვმა მართლა იცის ჩემი ხასიათი, ჩემი ადამიანური

თვისებები, იცის, რა მჭირდება. იდეალურმა მწვრთნელმა მარტო ჩოგბურთის თეორია კი არა, თავისი აღსაზრდელის ჩოგბურთიც ზედმინვენით უნდა იცოდეს. საერთოდ, ჩოგბურთელის გასაცნობად მწვრთნელს სამი თვე მაინც სჭირდება. მოთამაშეთათვის მწვრთნელს უნდა ენდობოდეს. მე ვენდობი გოლოვანოვს. მან ჩემი აზრები კარგად იცის“, - განმარტა საფინმა.

ბორის ბეჰარის ვაჟს ფსიქოლოგი სჭირდება

ნინო პირველი

გამოჩენილ ადამიანთა შვილები, საკუთარი სურვილის გარეშე, ხშირად ექცევიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მშობლებმა, როგორც უნდა მოინდომონ, ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს მაისც ვერ გამოაპარებენ უმნიშვნელო სიახლესაც კი თავიანთი შვილების ირგვლივ. საკმარისია, რამე მოხდეს და, საზოგადოება უკვე ინფორმირებულია. ისე რომ, მშობლებს არც ეკითხებიან, სენსაციას დანატრებული ჟურნალისტები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბულგარულ ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად განიხილავენ ვარსკვლავთა მეშვიდრეების პრობლემებს და გამოსავალს ეძებენ.

ეს პატარა დიდხანს ვერ დატკბა ოჯახური ზედნიერებით. ბორის ბეჰერის უფროსი ვაჟი, ნოე გაბრიელი, მხოლოდ 5 წლის იყო, როცა მექასთან ბეჰერს რუსმა მოდელმა ანჟელა ერმაკოვაშ საშინელი სკანდალი მოუწყო, - ჩემი გოგონას მამა შენა ხარო. ბეჰერი დიდხანს უარობდა ამ დაუეგმავ მამობას და ვერ დაეჯერებინა, რომ ხუთწამაინი სექსი ერ-



ბორის ბეჰერი

მაკოვასთან ასე ძვირად დაუჯდებოდა. მაგრამ ექსპერტებამ პატარა ანა მის შვილად ცნო და ბორისსაც სხვა რა გზა ჰქონდა, - დათანხმდა, ერმაკოვასთვის აღიძვრტი გადაეხადა. ამ სკანდალმა ბეჰერს ოჯახი დაუწერია. ბარბარა ბეჰერმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და გაყრა მოითხოვა. იმ დღიდან ბიბლიურსახელიან პატარა ბეჰერს მამა და გერმანია მოგონებად ექცა. ბარბარამ ბავშვები ფლორიდაში წაიყვანა და მიუწხენში დაბრუნება აღარც უფიქრია.

ახლა ნოე გაბრიელი ცხრა წლისა და უკვე ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება. რაკი ბარბარა ბორის ბეჰერზე ასე გაბრაზებულია, ბავშვებიც არ საუბრობენ მამის შესახებ, არადა, ნოე გაბრიელი ყველაზე კარგად მაშინ გრძნობს თავს, როცა მამა მის გვერდით არის. ასეთი დღეები კი ძალზე იშვიათია. ბოლო დროს ბავშვი ცოტა გამოცოცხლდა, რადგან 2002 წლის ზაფხულში ბარბარას მამა, როს ფელტუსი, მათთან გადავიდა საცხოვრებლად. ნოე გაბრიელი და მისი სამი წლის ძმა, ელიას ბალთახარი, პაპასთან საიმოვნებით თამაშობდნენ და ერიობოდნენ. "ნოე ისეთი ზედნიერი იყო, თავს მარტო სულად აღარ გრძნობდა", - ამბობს

ბარბარას მეზობელი სოფია.

მაგრამ არც ეს ზედნიერება გაგრძელებულა დიდხანს. როს ფელტუსი კიბოთი იყო დაავადებული და 18 იანვარს გარდაიცვალა - ზუსტად ნოე გაბრიელის დაბადების დღეს, როცა ის ცხრა წლის გახდა. პატარა ბეჰერმა კიდევ ერთი მეგობარი დაკარგა, ამჯერად უკვე სამუდამოდ... ამ ტრაგედიამ ნოე გაბრიელის ბავშურ სულზე ნარუშლელი კვალი დატოვა. ბეჰერის ვაჟი დეპრესიაში ჩავარდა. მშობლების დამორეება, სულებრი სიმარტოვე, პაპის სიკვდილი - ამდენი ტკივილის ატანა ცხრა წლის ბავშვისთვის უკვე შეუძლებელი გახდა. ნოე გაბრიელი უარს ამბობს ჭამაზე, არ უნდა სკოლაში წასვლა, ყველას გაურბის და მარტოობას ეძებს...

ბარბარა და ბორისი სერიოზულად აიიან შეწუხებული ბავშვის მდგომარეობით და აპირებენ, მოძებნონ ფსიქოლოგი, რომელიც პატარას დაეხმარება, რათა თავი დააღწიოს ტკივილს და მარტოობას. ნოე გაბრიელის ბიბლიური სახელი გათავისუფლებას ნიშნავს. შეძლებს კი ფსიქოლოგი, ბეჰერის ვაჟი პრობლემებისგან გაათავისუფლოს?

ეს იყო 45 წლის წინათ...





■ **წიგნი გაბრუნდის თეატრ-სტუდია**

TV პროგრამა 22 თებერვალი

"ქოლდფლელი" ბუშს გადასცვდა

ხუთშაბათს ღამით გამართულ ცერემონიალზე ბრიტანული მუსიკის პრიზები - "ბრიტები" დარიგდა. საღამოს მთავარი გმირები 21 წლის პოპ-შემსრულებელი მის დაინამიტი, ჯგუფი "ქოლდფლეი" და რობი უილიამსი გახდნენ.

ტრადიციული და ტრაფარეტული სამადლობელი სიტყვების ნაცვლად, მათ თავისუფალი ტრიბუნა, ერაყში შესაძლო ომის გასაპროტესტებლად გამოიყენეს. ანტი-საომარი განწყობა მის დაინამიტმა - საუკეთესო შემსრულებელმა ქალმა სიმ-ლერიითაც გამოხატა. მან საზოგადოებას ჯორჯ მაიკლის ცნობილი ჰიტის Faith-ის გადაკეთებული ვერსია უმღერა და ბრიტანეთის პრემიერის, ტონი ბლერის გასაგონად თქვა: "არ მინდა ხელედი სისხლით დავისვარო". მეტიც, მის დაინამიტმა თითქმის მთლიანად შეცვალა ჯორჯ მაიკლის ტექსტი და ის სხვა, გაცილებით უფრო მწვავე ფრაზებით შეავსო: "არ მინდა ვხედავდე, როგორ იხოცებიან ბავშვები. ამიტომ ხმა უნდა ავიმაღლო. გესმით ჩემი? სიცოცხლის წართმევის უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს. არ მინდა, სისხლით დავისვარო ხელები".

ბუნებრივია, ეს ცვლილებები ახალგაზრდა შემსრულებელმა ჯორჯ მაიკლთან შეთანხმების შემდეგ განახორციელა. მართალია, Faith-ის ავტორი ბრიტანული ჯილდოების გადაცემის ცერემონიალს არ დასწრებიან, მაგრამ მის დაინამიტის ანტი-საომარ განწყობას ისიც იზიარებდა.

მათ არც "ქოლდფლეი" - საუკეთესო ჯგუფი ჩამორჩა. სცენაზე ასულ კრის მარტინი ჯერ ჯორჯ ბუშს გადასცნდა, შემდეგ კი მადლობა ირონიანარევი ტექსტით ასე მოიხადა: "ეს ჯილდოები, ძირითადად, დიდი უაზრობაა. მით უფრო, რომ თუ ჯორჯ ბუში თავის მიზნებს განახორციელებს, ჩვენ ყველანი დავიხოცებით. თუმცა, რას ვიზამ, პრიზებისთ-



ბავუი "ქოლდფლეი".

ვის მაინც მადლობას გიხდით".

ალბათ, თავადაც გასოვი, რომ "ქოლდფლეის" ნევრები ენამახვილობით ყოველთვის გამოირჩევიან. მათი ირონიული კომენტარების მთავარი ობიექტი ხშირად ე.წ. "ბიჭუნათა ჯგუფებია". იგივე კრის მარტინი ერთ-ერთ ასეთ ჯგუფზე Blue შემდეგი აზრისაა: "ქოლდფლეი" მსოფლიოში საუკეთესო ჯგუფია, თუ, რა თქმა უნდა, Blue-ს არ ჩაეთვლით". ამ ირონიაში კრის მარტინი "ოაზისს" ტყუპ ძმებს ნამდვილად ჰგავს. თუმცა, მანჩესტერელი გალაპკრები ბრიტანულ დაჯილდოებაზე ხელცარიელნი დარჩნენ. საუკეთესო ჯგუფის სტატუსი მათ სწორედ "ქოლდფლეიმ" წაართვა.

ბრიტანული ზეიმის მთავარი გმირი ხუთშაბათს საღამოს ემინემიც გახლდათ. მან ორი მთავარი საერთაშორისო ჯილდო - მოიპოვა. მი-

სი Eminem Show საუკეთესო საერთაშორისო ალბომი გახდა, თავად თეთრკანიანი რეპერი კი - საუკეთესო საერთაშორისო შემსრულებელი. ამ ნომინაციებში მან საკმაოდ "მძიმენონიანი" მეტოქეები დაამარცხა: ბრუს სპრინგსტინი, მობი, ბექი და ნელი; Eminem Show-მ კი წლის წარმატებულ ალბომებს: ფინქის Missundaztood-ს და Red Hot Chili Peppers-ის By The Way-ის აჯობა. თუმცა, რეპერი ცერემონიალს არ დასწრებიო. მან მადლობა ვიდრე-ჩანერის საშუალებით მოიხადა და ძალიან თავმდაბლურად განაცხადა: "არც კი ვიმსახურებ ამ პრიზებს". ამ უბრალო გამოსვლამ ემინემის გამომწვევ ტექსტებს ნაწვევი მაყურებელი განცვიფრებული დატოვა.

რობი ვილიამსი, რომელიც, როგორც წესი, ბრიტანული ზეიმის მთავარი გმირი იყო ხოლმე, წელს

ერთადერთ, მაგრამ მნიშვნელოვან პრიზს დასჯერდა - ის საუკეთესო ბრიტანელი სილო-შემსრულებელი გახდა.

ასე რომ, მუსიკალური სამყაროს ერთ-ერთმა მთავარმა ცერემონიალმა მშვედობიანად, ექსცესების გარეშე, ჩაიარა. მის დაინამიტსა და კრის

მარტინის საპროტესტო განწყობა კაილი მინოუგისა და ჯასტინ ტიმბერლეიკის შოუმ გადაახალისა. მათ მაყურებელს საკმაოდ პიკანტური ცეკვა შეუსრულეს. მზიარულობდა ტომ ჯონსიც, რომელსაც მუსიკაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური ჯილდო გადასცეს.

ჭილდოები:
საუკეთესო მამაკაცი შემსრულებელი: რობი ვილიამსი
საუკეთესო ქალი შემსრულებელი: მის დაინამიტი
საუკეთესო ალბომი: "ქოლდფლეის" A Rush of Blood to the Head
საუკეთესო ჯგუფი: "ქოლდფლეი"
საუკეთესო ბრიტანული სინგლი: Liberty X-ის, Just A Little
საუკეთესო ურბანული შემსრულებელი: მის დაინამიტი
საუკეთესო პოპ-შემსრულებელი: Blue
საუკეთესო საერთაშორისო მამაკაცი შემსრულებელი: ემინემი
საუკეთესო საერთაშორისო ქალი შემსრულებელი: ფინკი
საუკეთესო საერთაშორისო ალბომი: ემინემი, The Eminem Show
საუკეთესო საერთაშორისო ჯგუფი: Red Hot Chili Peppers
მუსიკაში შეტანილი წვლილისთვის: ტომ ჯონსი.

ახლა რისი დროა?

ანტი-სტრესული და ანტი-გრიპული სეზონი

თბილისი

ჩემი მეგობარი, რომელიც ნიუ იორკში ცხოვრობს, ჩემსავით, გერასდროს იტანდა ამერიკელების ერთ სულელურ წესს: ისინი სამსახურში სპორტული ფეხსაცმლით მიდიან, გამოსასვლელი ფეხსაცმელი კი ჩანთით დააქვთ და მხოლოდ ოფისში შესვლის შემდეგ იცვამენ. თუმცა, მას შემდეგ რაც ბუში ერაყში შესაძლო ომსა და მოსალოდნელ ტერაქტზე აღაპარაკდა, სიტუაცია შეიცვალა. ჩემმა მეგობარმა ინება და სამსახურში სპორტული ფეხსაცმლით სიარული დაიწყო, დანარჩენმა ნიუ იორკელებმა კი საერთოდ ხელი აიღეს საოფისე ეტეკების დაცვაზე და სამსახურებშიც სპორტულად გამოწყობილნი დადიან. მოტივი ასეთია: "განგაშის ზონაში" მოხვედრილ მანქანტენზე გაქცევა იოლად რომ შეძლონ. მეტიც, ნიუ იორკელებს ქართული ხალხური გამოცდილების გაზიარებაც უწყევთ და თუ აქამდე სურსათსა და წყალს უიკ-ენდიდან უიკ-ენდამდე არ ყიდულობდნენ, ახლა თვეების მარაგს აკეთებენ – ომისთვის ემზადებიან...

ნიუ იორკში გამეფებული ამ საერთო შოშის ფონზე, ნამდვილად, უცნაურად გამოიყურება რამდენიმე ევროპული და სამხრეთ ამერიკული ქალაქი. თუ თოვლიან მანქანტენზე სპორტული ფეხსაცმელებითა და ფეკილის ტომრებით დარბიან, ვენეციაში, ვიარეჯოში, ნიცასა და რომში მზიარულ კოსტუმებს კერავენ, ფერად დეკორაციებს ამზადებენ, სამშის ახალ-ახალ ილეთებს ამუშავებენ და საერთოდ, ტრადიციული კარნავალებისთვის ბედნიერად ემზადებიან.



კარნავალი ნიცაში.

თუმცა, მაინც ნუ გაიკვირვებთ – რა დროს კარნავალიაო. ამ მზიარული ტრადიციების დაცვით ადამიანები, უბრალოდ, დროებით ივიწყებენ მსოფლიოში გამეფებულ სტრესს და წინასწარვე, "ადაპტაციის" მიზნით, "არ ითხრიან სამარეს"; პირიქით, ბუშის მიზნებისა და პუსეინის ურჩობის ფონზე, ისინი დიდ მზიარულებას ეძლევიან და ამზიარულებენ ზამთრის მოსაწყენ საღამოებსაც.

კარნავალების სეზონი ევროპაში ვენეციამ და ნიცამ გუშინ გახსნეს, 23 თებერვალს მათ ტოსკანას პატარა და ლამაზი ქალაქი – ვიარეჯოც შეუერთდება. თანდათან კარნავალების ალი მთელ ფრანგულ რივიერას მოედება. მალევე კი დაიწყება სამხრეთ ამერიკის ულამაზესი სანახაობა – რიო სამშის დიდ მოედნად იქცევა და რიოელებიც, ტურისტებთან ერთად,

მთელ მსოფლიოს აჩვენებენ, სინამდვილეში როგორ უნდა მოლხენა.

ვენეციას ტურისტები წლის არც ერთ დროს არ აკლია. თუმცა, ისინი მაინც ორ ფენად – პრივილეგირებულ-ილბლიანებად და რიგითებად იყოფიან. პირველ ჯგუფში გაერთიანებულ ტურისტებს ვენეციის სახელგანთქმული კარნავალი ნანახი აქვთ, სხვებს კი – არა. აი, ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვენეციელები ნილბებით, კოსტუმებით, თეატრალური დადგმებითა და მუსიკით სავსე სანახაობას, რომელიც ქალაქში მე-13 საუკუნიდან იმართება. ორკვირიანი დღესასწაული მოიცავს მთელ ვენეციას, თავისი გონილობით, დარბაზებით, ვინო ჭურებით, არხებითა და რესტორნებით. მუსიკოსების, აკრობატების, მსახიობთა დასების მიერ დადგმული სანახაობები, არის-

ტოკრატული გალა-საღამოები – ამ ღონისძიებებს მუდამ თან ახლავს განუყრელი ატრიბუტი: "ტაბარო" (რაც მოსასხამ ნიშნავს) და ტრადიციული ვენეციური ნიღაბი (ეს ნიღებები, როგორც ნივთმტკიცება, ტურისტებსაც ხშირად მიაქვთ შინ).

ერთი სიტყვით, ვენეციელები თავს არასდროს ირცხვენენ, მაგრამ წელს ისინი ტურისტებს მაინც დიდ სიურპრიზს უმზადებენ: 80-იანი წლების შემდეგ პირველად, ვენეციის კარნავალს ჰყავს თავისი მხატვრული რეჟისორი, რომელიც სტუმრების გართობაზე პირადად ზრუნავს. მეტიც, ფელიჩე ლაუდადიო გახლავთ რეჟისორი, რომელიც ვენეციის კინო-ფესტივალს ხელმძღვანელობდა, ახლა კი კინო-კომპანიის, "ჩინეჩიტა პოლდინგის" პრეზიდენტი.

სწორედ მისი ინიციატივით, ვენეციის წლევეანდელი ფესტვალის თემა ფედერიკო ფელინია. წელს ხომ რეჟისორის გარდაცვალების ათი წლისთავი აღინიშნება. ამ თარილს ვენეციელებიც სცემენ პატივს და საკარნავალო ნიღბებს სწორედ ფელინის ფილმების გავლენით არჩევენ. კარნავალის ოფიციალური სახელია "ფელინიაან. ნიღაბი, როგორც თვითგამოკლენის საშუალება" და ვენეციელებიც დიდი სიამოვნებით ასრულებენ კარნავალის ამ "ბრძანებას" – ირგებენ ნიღბებს, რათა შემდეგ მოიხსნან და თავი მხოლოდ სასურველი ადამიანის წინაშე გამოავლინონ.

დღესვე, კოსტუმების შერჩევით არიან დაკავებულნი ნიცაშიც. იქაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე კარნავალი იწყება. უკვე წლეზია, ის კარმდენიმე ულამაზესი შოუს-გან შედგება: ცალკე ეწყობა ჩვეულებრივი მასკარდი-აღლუმები, ცალკე – ყვავილების შოუები და ცალკე – სინათლის დღესასწაულები. ბუნებრივია, ირჩევენ დღესასწაულის დე-

ლოფალსაც.

დაბოლოს, კარნავალი, რომელიც თბილისში შემოჭრილი გრიბის გამო, არც ჩვენ გვაწყენდა: დღესვე, საფრანგეთის ე.წ. "ლიმის" დედაქალაქში, მენტონში, ლიმნის მოსავლის აღებას ტრადიციული კარნავალის დანყებით აღნიშნავენ. წელს, ეს მყუდრო ფრანგული ქალაქი მსოცდამეათეჯერ იღებება ყვითლად. ქალაქის ცენტრში, მზიარული მელიოდიების ფონზე, ციტრუსისგან დამზადებულ ათასობით გიგანტურ ფიგურას აგებენ და მათ გარშემო დისკოთეკები გვიან ღამემდე არ წყდება. ქალაქში იმდენი ლიმონი გროვდება, რომ ამ სიუხვეს ვერც გრიბით შემოწებული და ლიმონზე მონადირე თბილისელები დააკლებენ რამეს. მენტონელებიც თავიანთ ნილ ვიტამინ C-ს დღივად ყლაპავენ და თავს იმის უფლებასაც აძლევენ, რომ ლიმნისგან დამზადებული გიგანტური თოჯინებით შეიქციონ თავი.

კარნავალი 9 მარტამდე გრძელდება. ამ რიცხვის ჩათვლით, მენტონში გასართობი მოიძებნება მათთვისაც, ვისაც ლიმონი ხეზე უფრო მოსწონს. ქალაქის ე.წ. "მწვანე სასახლეში" ხომ ციტრუსის მთელს ევროპაში უდიდესი კოლექციაა თავმოყრილი. სტუმრებს თითოეული მათგანის გასინჯვის უფლებას აძლევენ.

როგორც ხედავთ, ევროპა მზიარულობს. მალე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება რიოც, სადაც ტურისტების გართობაზე ცეცხლოვანი სამბითა და ულამაზესი კოსტუმირებული მასკარადებით იზრუნებენ. მართალია, ეს ყველაფერი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ნაწილია, მაგრამ, როგორც თავადაც დარწმუნდით, წელს კარნავალების სეზონს ახალ ფუნქციებსაც უთავსებენ – ის ვისთვის ანტი-გრიპულ, ვისთვის კი – ანტი-სტრესულ "მიქსტურას" წარმოადგენს.

- კალენდოსკოპი -

ზრწყინვალე წყვილი

რეჟისორი ლას პალსტრომი პარიზში ახალი ფილმის გადაღებას იწყებს. სურათი, რომელსაც კანდაში გადაიღებენ, თითქოს არაფრითაა ღირსშესანიშნავი: მარტოხელა დედას ფული შემოაკლდება და საძულველ მამინაცვლითან გადადის საცხოვრებლად. რეჟისორს კი, მაინც, დიდი წარმატების იმედი აქვს, რადგან ახალგაზრდა ქალს ჯენიფერ ლოპესი ითამაშებს, მისი პარტნიორი კი რობერტ რედფორდი იქნება.

როგორც ჩანს, ეს მსახიობებისთვისაც საინტერესო შემოთავაზება იყო, რადგან სწორედ ახლა ორივეს ბევრი რამა აქვს მოსაგვარებელი: რობერტ რედფორდი პოლიტიკური სატირის, "კანდიდატის" მეორე ნაწილზე აპირებს მუშაობას – 1972 წელს ამ ფილმმა საუკეთესო სცენარისტვის "ოსკარი" მიიღო.

რაც შეეხება ჯენიფერ ლოპესს, მას უფრო პირადი ხასიათის პრობლემები აქვს გადასაწყვეტი: ის გამწარებით იცავს თავს გავრცელებული ჭირისგან, ვითომ პოლიეუდის ვარსკვლავს, ბენ ფელესს, მხოლოდ სარეკლამო მიზნებით მიჰყვებოდეს ცოლად. "ამ დროს უგონოდ შეყვარებული ვარ, მართლა," მოახსენა მან ჰამბურგის ჟურნალ Gala-ს კორესპონდენტს, "როცა შეყვარებული ვარ, მინდა ეს გრძნობა მთელს მსოფლიოს გავუზიარო".

რუსეთის იმპერატორთა ტახტი

სახელმწიფო ერმიტაჟში რესტავრატებმა იმპერატორის ტახტზე მუშაობა დასრულეს. ის 1731 წელს ინგლისელ ოსტატ კლაუზენს ანა იოანოვნასთვის გაუკეთებია.


ერმიტაჟის დირექტორის, მიხაილ პიოტროვის თქმით, სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტახტს "არამართო საოუველორო, არამედ სარესტავრაციო ხელოვნების ნიმუშიც შეიძლება ვუწოდოთ".

2002 წლიდან რუსეთის იმპერიის სიმბოლოს აღდგენაზე უამრავი ადამიანი მუშაობდა: ჯერ ხის დეტალები განმინდეს, შემდეგ მოოქროვილი ვერცხლის ნაწილები დაამზადეს და ახალი ოქრო ძეგლის მსგავსად დაფერეს. განსაკუთრებული ჯავა მათ ადგათ, ვისაც ქსოვილთან უწყდათ მუშაობა. ხავერდს ოქროს ნაქარვობა მოაცილეს და ცალკე დაამუშავეს. ტახტზე გადაკრული ხავერდის თავდაპირველი ფერის დადგენა ლიონის დეტალების ქვეშ შემონახული ფრაგმენტების მეშვეობით მოხერხდა.

რესტავრაციის დროს მეცნიერებმა რამდენიმე აღმოჩენა გააკეთეს. კერძოდ, გაირკვა, რომ XIX საუკუნის განმავლობაში ტახტი რამდენჯერმე შეუკეთებიათ, რომ თავდაპირვლად ვერცხლის ტახტი ოქროს ფენით რუს ოსტატებს დაუფარავთ, და რომ საზურგეზე ორთავიანი არწივი XIX საუკუნის 40-იან წლებში იქნა ამოქარგული.

ტახტის რესტავრაცია 20 ათასი ამერიკული დოლარი დაჯდა. ეს თანხა რუსმა საონსორებმა და "ერმიტაჟის მეგობრების მსოფლიო კლუბის" წევრებმა გაიღეს.

დღეს
შაბათს, 22 თებერვალს
 1987 წელი: გარდაიცვალა პოპ-არტის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ინდი უორჰოლი.
 1797 წელს: მოხდა ბრიტანეთის ტერიტორიის უკანასკნელი დაპყრობა, როდესაც ფრანგებმა აიღეს ფინეარგი, უელში.
 1879 წელი: ნიუ იორკში, ატაკაში, ფრენკ უოროლდ უელჯრობმა პირველი ამ და ზუთიცრტაში მღაღია გახსნა.
 1980 წელი: ისრაელმა ფუნტი, როგორც ეროვნული ელფაბა, შეცვალა შეცვალა.
 1991 წელი: აგრეთვე, ფარცხიან სახმდელო ომის დამთავრდვ სადამ ჰუსეინმა ქვეყნში, 150-მდე სავიოზის რესტრუქირი დაწა მრამა.
 2002 წელი: ანგოლაში აჯანყებულია გაერთიანება "ფიტას" ლიდერი ორნას საუში, 21 მველიან კრიად, მოკლეს.
© GRAPHIC NEWS



საპარტიველოს ძველი ქალაქები
OLD GEORGIAN CITIES AND TOWNS

თბილისი

TBILISI

აუცილებელი საჭიროებაა, რომ ძველი ტფილისის ნაშთებს ახლავე სათანადო ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეს ნაშთები ახლავე შესწავლილი იქნეს, მით უმეტეს, რომ ზოგი შენობა სიძველისაგან ძლივ-სლა სულს ღაფავს, და შორს არ არის ის დრო, როდესაც რომელიმე ვერაგული ხელი მას დაანგრევს, რომ მის ნანგრევებზე ააგოს ახლანდელი სარგებლიანი შენობა. თუკი ჩვენ ძველი ტფილისის სიძველეების შენარჩუნებას ახლავე ხელი არ მოვკიდეთ, მერმე უკვე გვიან იქნება.

დავით კაკაბაძე.
1921

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის განმარტებითი ბარათი

დასასრული
დასაწყისი №. №23 (235)
მუხლი 12
მუხლი ეხება დაცულ საკუთრებაში გაუმჯობესებულ მისაღვომებს და მისაღვლებს და მის დაცვას. მისი მიზანია მოღწეულ იქნას ნონანსორობა მნახველებისთვის გახსნასა და ნავებობების არქიტექტურული და ისტორიული ღირებების შენარჩუნებას შორის, რომლებმაც განაპირობეს მისი დაცვა.

მუხლი 13
ინტეგრირებული კონსერვაციის პრინციპები გულისხმობს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას, რათა გატარებულ იქნას სასურველი პოლიტიკა. მუხლი მოითხოვს, რომ ასეთი თანამშრომლობა ხორციელდებოდეს ხშირად სხვადასხვა დონის ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების განყოფილებებს შორის.

მუხლი 14
მუხლი ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ გადამწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღოს საზოგადო ხელისუფლებამ, კერძო ორგანიზაციებმა და საზოგადოების ფართო ფენებმა, განსაკუთრებით არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების კონტექსტში.

პარაგრაფი 1 ეხება სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა მხარეების შორის: სახელმწიფო, ადგილობრივი ხელისუფლება, ასოციაციები და საზოგადოება. პარაგრაფი 2 ეხება საექსპლოატაციო ასოციაციების განვითარებას და საპროგრესს. ხელისუფლების ღონისძიებებს აუცილებლად დასჭირდება დახმარება კერძო პირების თუ დანესებულებებისაგან. საპროგრესობის ახალი ფორმები მოიცავს ზოგიერთი სამრეწველო თუ კომერციული საწარმოების მიერ თავიანთი ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის პასუხისმგებლობის გადამცემას და სამაგიეროდ კონსერვაციის მიერ ღირი ოპერაციებისათვის სახსრების გამოყოფას.

მუხლი 15
გათვითცნობიერებულობა და გაგება ნინაპროექტია მონაწილეობისათვის. იმისათვის, რომ მოსახლეობამ შეძლოს მემკვიდრეობის დაცვა, მან ადრეული წლებიდან უნდა განივითაროს არქიტექტურის, ისტორიისა და გარემოს კონცეფციები, გაგება.

პარაგრაფი 1 მიუთითებს მიზანს, განვითარდეს ხალხის გაგება, განსაკუთრებით კი შეგნება იმ ღრმა კულტურული ფასეულობის, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს და, რა თქმა უნდა, რეგიონებს, ევროპაში. ამგვარად, შეიძლება მიღწეულ იქნას წარულისა და ანმის უფრო სრული გაგება.



პარაგრაფი 2 ეხება არა მხოლოდ აღმოჩენებს, რომლებიც სკოლის პროგრამებში უნდა იყოს, არამედ აგრეთვე იმ პოლიტიკას, რომელმაც უნდა გააღრმავოს მემკვიდრეობის გაგება. იმისათვის, რომ კონსერვაცია იყოს არა მხოლოდ სტრუქტურის შენარჩუნება, რომლის ფუნქციაც დაკარგულია, მნიშვნელოვანია, რომ განმარტებულ იქნას კავშირი არქიტექტურას, ხელოვნებას, ხალხურ ტრადიციებსა და ცხოვრების წესებს შორის. ევროპული მნიშვნელობის თვალსაზრისით სანტერესოა რეგიონული კულტურული ერთეულების განხილვა, რომლებიც საზღვრების მოუხედავად ვითარდებოდა და არის საერთო კულტურების გამოხატულება, რომელიც ფართო ზონებში გავრცელდა.

მუხლი 16
ეს მუხლი ეხება კონსერვაციის სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობების დარგში პროფესიული მომზადების სისტემების განვითარებას.

მუხლი 17
ეს მუხლი პირველია იმ განყოფილების, რომელიც ეძღვნება კონსერვაციის პოლიტიკის ევროპულ კოორდინაციას. იგი იძლევა სასი იმ სექტორებისა, რომლებშიც ინფორმაციის რეგულარული გაცემა ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას. ასეთმა გაცელამ შედეგად უნდა გამოიღოს მხარეების ერთიანი მემკვიდრეობის პოლიტიკების ჩამოყალიბება. პარაგრაფი 1 იხილავს დაცული საკუთრების კვლევის, იურიდიული დაცვის

სა და მატერიალური კონსერვაციის მეთოდებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპულ მასშტაბით ინფორმაციის გაცვლისათვის და თვით მემკვიდრეობის კონცეფციისა და მისი იურიდიული დაცვის კრიტერიუმების ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად.

პარაგრაფი 2 ეხება შენობებისა და ნივთების მემკვიდრეობის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის გზებსა და საშუალებებს.

პარაგრაფი 3 ეხება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას იდენტიფიკაციის, მოვლის, რესტავრაციისა და წარმოჩენის დარგში.

პარაგრაფი 4 ეხება თანამედროვე არქიტექტურას, რომელიც მომავლის მემკვიდრეობა იქნება. თანამედროვე არქიტექტურის არსებული შენობების ჯგუფებში და ზონებში, აგრეთვე დაცული ძეგლების ახლოს ჩასმა მოითხოვს მხარეების შორის ინფორმაციის ფართო გაცვლას.

მუხლი 18
ევროპის საბჭოს ვედიტ უკვე მუშაობს ტექნიკური დანბარების სისტემაზე: იგი ახორციელებს ექსპერტთა დელეგაციების მიერ სხვადასხვა ქალაქებში, რომლებიც შესაბამისმა მთავრობებმა გააკეთეს განაცხადი. სხვათა შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1979 წლის 28 მაისს მიიღო „ქეგლებისა და ნაკეთობის ინტეგრირებულ დაცვასთან დაკავშირებული ტექნიკური დანბარების წესები“.

მუხლი 19
ეს მუხლი ეხება სპეციალისტების გაცვლის სასურველ გაფართოებას მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა დარგში. იგი უშუალოდ ეხება კადრების მომზადების სხვადასხვა სექტორის მესვეურებს.

ადგილებზე მომზადების შესაძლებლობები ადვილებს ასეთ გაცვლებს. სასურველი იქნება, სადაც ეს საჭიროა, მოხდეს ეროვნული და რეგიონული უწყებრივი მომზადების წესდებების მისადაგება. გარდა მოსამზადებელი კურსებისა, წესდებებმა უნდა გაითვალისწინოს, თუ ეს უკვე არ მოხდა, უცხოელი სპეციალისტების მიღება, რომლებსაც სურთ მომზადება გაიარონ სხვა ქვეყანაში.

მუხლი 20
იმისათვის, რომ კონვენცია შესრულდეს რაც შეიძლება ეფექტურად, ჩათვალა მოზანდერძონილად მეთვალყურეობის კომიტეტის შექმნა.

კომიტეტის ფუნქციები
- კომიტეტს მოეთხოვება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს გარკვეული რეგულარულიდით წარუდგინოს ანგარიშ შემდგომი;

- კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მემკვიდრეობის პოლიტიკის მდგომარეობა;

- მხარეების განაცხადები;

- მისი საქმიანობა;

- კომიტეტს შემდგომში მოეთხოვება მინისტრთა კომიტეტისგან, შეიტანოს წინადადებები, რომლებიც გააადვილებს

ბენ კონვენციის განხორციელებას. ეს ზომები შეიძლება იყოს რეკომენდაციები, წინადადებები, რომლებიც მიეცემა წევრ სახელმწიფოებს, წინადადებები ევროპის საბჭოს სამთავრობათშორისო სამუშაო პროგრამის თაობაზე და ნებისმიერი სხვა წინადადება, რომელიც ეხება ორმხრივ საერთაშორისო თანამშრომლობას, სახელმწიფოების, ადგილობრივი ხელისუფლების და ევროპის საზოგადოების ინფორმირებას და სტიმულირებას;

- კომიტეტს მოეთხოვება აგრეთვე, მისცეს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაციები ევროპის საბჭოს არანევირ სახელმწიფოების კონვენციაში გასაწვერიანებლად მოპოტიყების შესახებ.

კომიტეტის სტატუსი

ევროპის საბჭოს სტატუსის მუხლი 17 აცხადებს, რომ მინისტრთა კომიტეტმა უნდა შექმნას საკონსულტაციო და ტექნიკური კომიტეტები ან კომისიები, იმ სპეციფიკური მიზნებისათვის, რომლებსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ.

ნებისმიერი კომიტეტის სტატუსს აყალიბებს მინისტრთა კომიტეტი. კომიტეტი შეიძლება იყოს ექსპერტთა ad hoc, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება მინისტრთა კომიტეტს ან არქიტექტურული მემკვიდრეობის სექტორის მუდმივი კომიტეტი, ან რამე სხვა პირობების შესრულებელი კომიტეტი.

თავის სდომანზე რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა მიიღო გადამწყვეტილება, რომ კონვენციის განხორციელების მეთვალყურე კომიტეტის სტატუსი გადამედება, როდესაც კონვენცია შევა ძალაში.

მუხლი 21
ამ მუხლის ტექსტი ეყარება საერთაშორისო კონვენციებისათვის ტიპურ დებულებებს და ემსახურება იმ სირთულების დაძლევის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ისეთ კონვენციებთან მიმართებაში, რომლებიც მსგავს სექტორებს ეხება.

წინამდებარე კონვენცია განსხვავდება როგორც ფორმით, ისე შინაარსით მსოფლიო კულტურული და ზუნერირი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციისგან, რომელიც მიიღო ოფისკო-ს გენერალმა კონვენციამ 1972 წლის 16 ნოემბერს. ორთავე კონვენციის მიზნები განსხვავდება იმდენად, რამდენადც განსხვავდებიან თვით ორგანიზაციები, ვისი ევდიითაც მომზადდა ისინი. ერთი არის რეგიონული, ხოლო მეორე მსოფლიო ორგანიზაცია. ევროპის საბჭოს კონვენცია აყვებს ამ უკანასკნელისა და თუმცა მთლიანობაში ექვემდებარება მის გენერალურ ხაზს, მაინც შეიცავს დებულებებს, რომლებიც ემყნობილა ევროპის მოთხოვნებებისათვის და სხვადასხვა მათ. ევროპის საბჭოს კონვენციის მატერიალური არე არ ვრცელდება ზუნერირ ნაქმალზე, როგორც ეს არის ოფისკო-ს კონვენციაში. გარდა ამისა, მასში

არ არის გათვალისწინებული განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობის საკუთრებათა სიის შედგენა; სანაცვლოდ იგი აყალიბებს მინიმალურ ზოგად პრინციპებს საკუთრების დასაცავად და კონსერვაციის ევროპული პოლიტიკისათვის. ევროპის საბჭოს კონვენცია ეხება ტექნიკურ დანბარებას და ცოდნის გაცვლას, მაგრამ არ ქმნის ურთიერთდამარების ფონდს. ამგვარად, თითოეულ ტექსტს გააჩნია თავისი სპეციფიკური მახასიათებლები.

განსხვავება ასევე უნდა ჩამოყალიბდეს ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციასა და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის შორის, რომელიც ემყნობილა ევროპის საბჭოს მიერ 1969 წელს. ამ უკანასკნელის მიხედვით, რომ: „ნებისმიერი წარჩენი თუ საგანი, ან ნებისმიერი სხვა კვალი ადამიანის არსებობისა, რომელიც წარმოადგენს ეპოქებისა და ცივილიზაციის მომზობას, და რომელთა შესახებ მეცნიერული ინფორმაციის უმთავრეს ან ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს გათხრები ან აღმოჩენები, უნდა იყოს მიჩნეული, როგორც არქეოლოგიური საგნები“.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ზოგიერთი ელემენტი, 1969 წლის კონვენციის გაგებით, შეიძლება იყოს მოძრავი, და სხვა - უძრავი. შესაბამისად, ზოგიერთ დონეზე ზღვარი არქიტექტურულ მემკვიდრეობასა და არქეოლოგიურ მემკვიდრეობას შორის შეიძლება იყოს ნაწილი.

ამიკომ მუხლი 21 ემსახურება ნებისმიერი გაუქმებისათვის თავიდან აცილებას და აცხადებს, რომ ამ კონვენციის დებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სპეციფიკურ და ზოგ შემთხვევაში, უფრო ხელსაყრელ დებულებებს, რომლებიც ეხება მემკვიდრეობის დაცვას და მოცემულია ხსენებულ კონვენციებში.

მუხლი 22-დან 27-მდე
დასკნითი დებულებები, რომლებიც მოცემულია 22-დან 27-მდე მუხლებში, ეყარება ევროპის საბჭოს არქიტექტურულ და ხელშეკრულებების ტიპურ დასკვნით დებულებებს.

მუხლი 25 ეხება იმ შენიშვნებს, რომლებიც ძალაში შედის ხელმოწერის ან რატეფიკაციის, ცეკეფაციის თუ აპრობაციის ინსტრუმენტის წარდგენისას:

- ხელისუფლებისათვის იმის შესაძლებლობა, რომ დადგინდეს საკუთრების მფლობელის მოთხოვნის სამუშაოების ჩატარება და მის ნაცვლად ჩატაროს ასეთი, თუ შეეძლება ამის შესაძლებლობა არ გაჩნდეს (მუხლი 4.C);

- დაცული საკუთრების აუცილებელი გამოყენების უფლება (მუხლი 4.D).

მხარეებს სხვა შენიშვნების შეტანა არ შეუძლიათ.

საქართველოს კანონი საქართველოს სამოციქულო აპოკალიფური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის - მცხეთის საპართელბრივი საფუძვლები

პროექტი

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების“ შესაბამისად ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანიზებისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილი შესაბამისი სასულიერო პირის, დადგენილი წესით, უფლებამოსილი შესაბამისი სასულიერო პირი.

მუხლი 3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილება მცხეთის სტატუსის განხორციელებაში
1. მცხეთის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის - მცხეთის სამართლებრივი სტატუსი, აგრეთვე ქ. მცხეთისა და მცხეთის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანიზებისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 1. მცხეთის სამართლებრივი სტატუსი

1. მცხეთის სტატუსი მოიცავს თვითმმართველი ერთეულის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის სამართლებრივ მდგომარეობას. მცხეთა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული, კულტურული და საეკლესიო ტრადიციის თანხანად, წარმოადგენს „წმინდა ქალაქ მცხეთას“ (ისტორიულ ნაწილში), აგრეთვე - საპატრიარქოს კათედრას.

2. მცხეთის სტატუსი, ამ კანონის მიხედვით, გულისხმობს ქალაქ მცხეთის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ქალაქის მიერ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციების განსახორციელებლად უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიის დადგენილებისა და განაწესიანების, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული, კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და ქალაქის მართვის სპეციფიკას.

3. ქ. მცხეთის, როგორც თვითმმართველი ერთეული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 2. ქ. მცხეთის ადმინისტრაციული საზღვრები

ქ. მცხეთის ადმინისტრაციული საზღვრები, მათი დადგენისა და შეცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილება მცხეთის სტატუსის განხორციელებაში
1. მცხეთის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოს-პატრიარქს ამ პუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციას ახორციელებს მის მიერ, დადგენილი წესით, უფლებამოსილი შესაბამისი სასულიერო პირი.

2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციების განხორციელების სფეროში განისაზღვრება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებითა“ და ამ კანონით.

3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას ენიჭება მცხეთის ისტორიული ნაწილის („წმინდა ქალაქი მცხეთის“) ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მათ შორის მიწის), აგრეთვე იგივე ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო საგანძურისა და სხვა საეკლესიო ქონების უპირატესი შესყიდვის უფლება.

4. ნებისმიერი სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება მცხეთის ისტორიული ნაწილის („წმინდა ქა-

ლაქი მცხეთის“) დადგენილების, განაშენიანების, მინათსარგებლობის და არქიტექტურული იერსახის შეცვლის სფეროში, მათი დადგენისა და ნანსნარ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია დაინტერესებულია ორგანოს მხრიდან საკითხის დასმოდან 1 თვის ვადაში შეთანხმების გადაწყვეტილების პროექტს ან მოტივირებულ უარს განაცხადებს შეთანხმებაზე.

6. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისგან დადგენილ ვადაში თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია თანხმობის გაცემაზე უარი დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

7. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია უფლებამოსილია თავისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის გადარჩენისა და სასულიერო-კულტურული განვითარების მიზნით საინიციატივო წინადადებით მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს წარდგენილი წინადადება.

8. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, სასამართლოში გადამწყვეტილებით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, შეიძლება მიენიჭოს უფლება მცხეთის ისტორიული ნაწილის („წმინდა ქალაქი მცხეთის“) ტერიტორიაზე განახორციელოს საკუთრების ჩამორთმევა ექსპროპრიაციის გზით.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ:

ა) 1 თვეში უზრუნველყოს მცხეთის რაიონისა და ქ. მცხეთის ადმინისტრაციული სახელმწიფო მოქმედი ტერიტორიაზე მცხეთის ისტორიული ნაწილის („წმინდა ქალაქი მცხეთა“) დადგენილი წესით გამოყოფა და საკანსტრო აღწერა;

ბ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთობლივად შეიმუშაოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის - მცხეთის გადარჩენისა და სასულიერო-კულტურული განვითარების ეროვნული პროგრამა.

მუხლი 5. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-4 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთ თვეში.

2. ამ კანონის მე-4 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი
საპარტეზილო
ორგანული კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №44) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი დანართის 2 1 და 2 2 პუნქტები:

„2 1. ქ. მცხეთისა და მცხეთის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის განსაკუთრებული წესი, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოცი-

ქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების“ შესაბამისად, განისაზღვრება ამ კანონითა და „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის - მცხეთის სამართლებრივი სტატუსის“ უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით. ქ. თბილისისა და ქ. ბჭინისათბი საპატრიარქოს კათედრის სტატუსის უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულებებით.

2. ამ ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „გ“, „ჟ“, „ლ“, „მ“, „ო“, „პ“ ქვეპუნქტებით, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება მცხეთის ისტორიული ნაწილის („წმინდა ქალაქი მცხეთის“) მიმართ ექვემდებარება წინასწარ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიასთან“.

მუხლი 2

ეს ორგანული კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთ თვეში.

პროექტი
საპარტეზილო კანონი

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“

მუხლი 1. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წ., №40(47)) შეტანილი იქნეს შემდე

ქვეთა ღაღადი

წიგნი თბილისზე

ამ ბოლო დროს ჩვენი დედაქალაქის შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება გრცელდება: ერთნი ფიქრობენ, რომ თბილისი შენდება და მშენიერდება, იგება ახალი ნაგებობები, შადრევნები; მეორენი თვლიან, რომ ჩვენთვის ჩვეული თბილისი ხელიდან გვეცლება, იგრევა და მახინჯდება. პირადად ჩვენ უყოყმანოდ ვიზიარებთ ან უკანასკნელს. თუ დღეს თბილისის ქუჩებში, განსაკუთრებით მის ძველ უბნებში გაივლით, ყველგან ახალი მშენებლობა დაგხვდებათ; ისტორიულ უბნებში „თანამედროვე არქიტექტურა“ იდგმება; ვინრო ქუჩებსა და შუკებში „ახალი დასახლების“ გაშენებაც კი ხერხდება; ყველგან აშენდება, ყოველი მხრიდან მშენებლობის ხმა ისმის; სართულს სართული ემატება, თბილისი თითქოს სიმაღლემიც კი იზრდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მშენებლობებმა დაასახიჩრა ჩვენი ქალაქის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული იერსახე. მას შეენირა ბევრი ლამაზი სახლი, თბილისური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში; თბილისს აღარც ის ხედები შერჩა, რომლებიც მას თავისი ბუნებრივი რელიეფის წყალობით ჰქონდა; ამ „აღმშენებლობამ“ წარმოცა და წაღეკა ჩვენი ქალაქის ისტორიის დიდი ნაწილი და მასთან ერთად, ბუნებრივია, თბილისელების წარსულიც. ასეთია თბილისის დღევანდელი რეალობა.


ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლახან გამოცემული ფოტოალბომი „თბილისი“. სხვა ვითარებაში ეს მხოლოდ მაღალპროფესიულ დონეზე დასტამბული ბრწყინვალე წიგნი იქნებოდა (რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად ცოტას არ ნიშნავს), მაგრამ ჩვეის სინამდვილეში მას უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება. როცა ალბომს ფურცლავ, უნებლიეთ გიჩნდება განცდა: თურმე რა მომხიბლავი და მიმზიდველი ქალაქია თბილისი, რამდენი ლამაზი ქუჩა და სახლი გადარჩენილა; რა ლამაზი აივნები, სადარბაზოები და კიბეები ჰქონიათ სახლებს; სადარბაზო კარებებს ძველი სახელურები, შუშაბანდებს ძველი ვიტრაჟი შემორჩენიათ. თბილისის ზოგ (სამწუხაროდ ზოგ) კუთხეს შეუწარუენია ის სული და ერთგვარი იდუმალება, რომელიც ერმაკოვის დროინდელი ფოტოსურათებიდან ვიცით. მაგრამ, ცხადია, ალბომის თვალყერებს წოსტალგიაც თან სდევს, წოსტალგია იმ ქალაქისა, რომელიც გვახსოვს, რომლის მცირე ნაშთები დღესაც გვაქვს, და რომლის დაკარგვისა გვეშინია.

თბილისის შესახებ ბევრი წიგნი არსებობს, მაგრამ ასეთი სახის გამოცემა პირველია (თუმცა სხვა ქვეყნები მათი ქალაქების, მეტადრე დედაქალაქების, თანაც ისტორიული დედაქალაქების შესახებ სხვადასხვაგვარ, სხვადასხვა დანიშნულებისა და დონის წიგნებს, ალბომებს, ბროშურებს, გზამკვლევებს, გამოკვლევებს წელიწადში რამდენიმეს სცემენ! განა ეს არ არის ზრუნვა საკუთარ ქალაქზე!). ფოტოალბომს (ფოტოების ავტორი - დავით ცხადაძე) ახლავს ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (ავტორები - მარინე ბულია, მზია ჯანჯალია), ასევე ორენოვანი ანოტაციები, რომელიც ქალაქის ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობის აღწერას და ისტორიას მოიცავს; ლიტერატურული მინიატიურები (აკა მორჩილაძე); რუკა და ბმბლიოგრაფია. წიგნის მხატვარია ვახტანგ რურუა.

წიგნში თავმოყრილია თბილისის სხვადასხვა ხედი, ცალკეული უბნის, ქუჩის, ნაგებობისა და არქიტექტურულ-დეკორატიული დეტალების ფოტოები. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წიგნში ძირითადად (ერთი-ორი ფოტოს გარდა) თბილისის ძველი უბნებისა და ისტორიულად და მხატვრულად ფასეული ნაგებობების ფოტოებია გადმოცემული, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის და წიგნის ავტორთა მიერ განზრახაა შერჩეული. განცვიფრებას იწვევს, როგორ მოახერხა ფოტოგრაფმა თბილისის საკმაოდ მჭიდრო განაშენიანებაში ისე შეერჩია ხედი, რომ მასში არ მოხვედრილიყო თანამედროვე, უსახური ნაგებობები. ამის საპირისპიროდ, არის რამდენიმე პანორამული ფოტო, რომელიც თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ ვერ გუიბს ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანება თანამედროვე, სრულიად არაორგანულ ჩარევას (გველისხმობთ თბილისის არქიტექტურისთვის უცხო ფორმების, მასშტაბისა და მასალის ახალ სახლებს). ახლად გადაღებული ფოტოების გვერდით ალბომში ჟ. შარდენის (XVII ს.) და ჟ. ტურნეფორის (XVIII ს.) სურათები და XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტოებია ჩართული; შემთხვევითი არა ისიც, რომ ზოგი სახლი ორი ფოტოსურათითაა წარმოდგენილი XX ს. დასაწყისი და დღევანდელი (მაგ., სახლი ა. კლიაშვილის ქ. №13), რაც კარგად გადმოსცემს როგორ შეიცვალა ნაგებობა, როგორ დაუმსოვნდა სახლის თავდაპირველი იერი გაფართოება-გადაკეთების გამო. ამ ფოტოების მიმართ გულგრილი ნამდვილად ვერ დარჩები.

დიდი ადგილი ეთმობა ალბომში ცალკეული არქიტექტურულ-დეკორაციული ელემენტების: აივნების, სადარბაზოების, ქიშკრების, კიბეების, ხისა თუ ლითონის აივნების, მოაჯირების ფოტოებს. ეს ის დეტალებია, რომლებიც თავისი ფორმითა და სილაბაზით თბილისური ხუროთმოძღვრების თავისებურებებს განსაზღვრავს.

არც შეიძლება საგანგებოდ არ აღიწინოს თვით ფოტოების ხარისხი. ესაა გამოირჩეული პროფესიონალიზმით გადაღებული, მეტად რაფინირებული ფოტოები, როლებშიც კლინ-



დება ავტორის (დ. ცხადაძე) მიერ არა მხოლოდ ფოტოგადაღების, არამედ ხუროთმოძღვრების ცოდნაც, მისი ხედვის უნარი, სივრცითი აზროვნება, ფერის, ფაქტურისა და განათების გრძნობა, ხედვის წერტილის ზუსტი მიგნება; ობიექტის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნების დახასვად და ფიქსირება. წიგნში, ძირითადად, დოკუმენტური ფოტოებია წარმოდგენილი, თუმცა არის მხატვრული ფოტოებიც, მაგრამ დოკუმენტური სიზუსტე ამ შემთხვევაშიც დაცულია. მრავალჯის გადაღებული თბილისის ეს ხედები და სახლები სრულიად განსხვავებული ხედვითაა წარმოდგენილი (მაგ., თუნდაც ალბომის ყდაზე „ოფიცერთა სახლის“ კარიტიდა და ხედი რუსთაველის თეატრზე, მეტეხის ტაძარი ვახტანგ გორგასლის ძეგლის გარეშე, დარეჯანის სასახლე, მარჯანიშვილის ქუჩა და სხვა) და გასაცარი სიზუსტით გადმოსცემს ქალაქის თავისებურებებსა და მის სილს.

წიგნის ტექსტი (მ. ბულია, მ. ჯანჯა-

ლია) სწორედ ამგვარი ალბომისთვის მეტად ადეკვატური ლაკონურობითა და სიმართლევით გამოირჩევა და ამასთან ერთად მეფარული ემოციით გადმოსცემს თბილისის ისტორიის ყველა ეტაპს მისი დაარსების დღიდან დღემდე. ეს ტექსტი საკმაოდ დიდ ინფორმაციას გვაწვდის თბილისის შესახებ და მისი ცხოვრებისა თუ იერსახის თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს. ტექსტში ჩართულია ციტატები, რომლებიც ამა თუ იმ თბილისურ მოვლენას ეხება. ეს არი მატერიალური ფაქტებია გადმოცემული, ხოლო ფოტოსურათებზე დოკუმენტური რეალობა, აკა მორჩილაძის ესეებში თბილისის (უფრო ზუსტად და სამწუხაროდ უწინდელი თბილისის) სულიერება, მისი საიდუმლო მომხიბლობა და იდუმალება. ამავე დროს აქ „თბილისის სულების“ წოსტალგიაც ჩანს. უნდა ითქვას, რომ აკა მორჩილაძის მინიატურათა ხასიათსა და დათო ცხადაძის ფოტოებს შორის საოცარი ერთიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ „თბილისი კდება

ქალაქის მაცხოვრებელთა ცხოვრების წესი. თბილისის ცნობილი აღმოსავლურ-დასავლური ხასიათი, მისი სიკვდილი. ცალკეულ ნაგებობაზე დეტალური ინფორმაციას მკითხველი ანოტაციებში ეცნობა.

ძირითად ტექსტში დროდადრო ჩართულია (განსხვავებული შრიფტით) აკა მორჩილაძის ლიტერატურული მომხიბლობა და იდუმალება. ამავე დროს აქ „თბილისის სულების“ წოსტალგიაც ჩანს. უნდა ითქვას, რომ აკა მორჩილაძის მინიატურათა ხასიათსა და დათო ცხადაძის ფოტოებს შორის საოცარი ერთიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ „თბილისი კდება

და სამუდამოდ მიდის“, ფოტოები მაინც იმას ადასტურებენ, რომ „თბილისი ჯადოსნური ქალაქია და მისი სიკვდილი, გარდაცვალებისთვის სრულიად უადგილო იმედს გააჩენს ხოლმე“.

ტექსტი და ფოტოები - ესაა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი მასალა წიგნისთვის. წიგნს უკვე მხატვარი ჰქმნის. დიზაინს, მითუმეტეს ფოტოალბომისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და რომ არა მხატვარ ვახტანგ რურუას მიერ განხორციელებული სამუშაო, რა თქმა უნდა, ვერ მივიღებდით ამ რანგის წიგნს. როგორც ჩანს, მასალის სიღრმისეულმა ცოდნამ განსაზღვრა წიგნის კომპოზიციური წყობა, მისი დეკორატიული და ფლერადოვანი გაფორმება (რად ღირს თუნდაც ორ გვერდზე გაფანტული არქივლიგიური მასალამ, ტექსტის ფოტოებთან, თუ დეკორატიულ მოტივებთან პარამიოული შერწყმა, შრიფტის შერჩევა; ყველაფერი ეს გასაცარი ისტატობითაა შესრულებული და კარგად ავლენს ვ. რურუას, როგორც

მხატვრის ხელს, ისე მის მაღალ კულტურას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი „თბალისი“ ბრწყინვალე გამოცემა!

წიგნი დაიბეჭდა „ომეგა თევის“ სტამბაში და მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი გამოირჩეულად მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ გამოცემის გენერალური სპონსორი ფილიპ მორის მენეჯმენტ სერვისეზ ბ.ვ. წარმომადგენლობა საქართველოში, რომლის გარეშეც ვერ მივიღებდით ასეთი დონის წიგნს. გამიცემის ხარჯები გაიღეს გოგი თოფაძის ფონდმა და ცენტრმა „ბეთანია“. მაღლობის მეტი რა გვეთქმის!

იმედს გამოვთქვამთ, რომ ალბომი „თბილისი“ გაახსენებს მავანთ თბილისს, მის ისტორიას, ცოტა მეტი გულისყურით დაათვალიერებინებს ჩვენი ქალაქის ქუჩებსა და სახლებს და დააფიქრებს - იქნებ ღირდეს ის მაინც შევინარჩუნოთ, რაც გადავიკრჩა.



ფერზე ფიქრობს თავისი ავადმყოფობის გარდა.

და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ყველაზე ახლო მეგობარი ასეთი კაცისა. უღალატო და ნასწავლი მეგობარი, რომელსაც ჰამლეტი ეუბნება თავის ყველა სათქმელსა და გულის-ნადებს. ისე ჩანს, თითქოს ჰამლეტი თავისთავს ელაპარაკება და ჰორაციო-ოც ყოველთვის იმას პასუხობს, რის გაგონებაც ჰამლეტს უნდა, ოღონდ კი პრინცი მაინც იქცევა თავისებუ-რად.

ამიტომ, ჰორაციოს ჩვენ გამოკ-ვეტილ მეცნიერულ წრობობას და კე-თილ გულს შევძენთ, თუმცა მას ვერ მივაზიჭებთ გამორჩეულ სიმტკიცეს



და მოქმედების უნარს. თავად მისი გონების არსებობაც იქნება საკმარისი. ეს გონება ეყოფა როზენგრანც გილდენსტერნიან ქიშპობას, რომე-ლიც მათ ჰამლეტის გულში უნდა მო-ახდინოთ.

ოფელია: გამორჩეულ დადამიანებს ხშირად უყვარდებათ ხოლმე ჩვეუ-ლებრივი ქალები. აკადემიკოსებს სა-კუთარი მდივნები, ოპერის ვარსკვ-ლავებს თავიანთი მდივნები, მილიარ-დერებს მარტოხელა ქვრივები, რევი-სორებს მეგარდერობები და ასე და-უსრულებლად. ხშირად ესენი არიან ქალები, რომლებსაც მათი შემეცა-რებლები ყოველდღე ხედავენ და კარგად იცნობენ. ასევე ესენი არიან ქალები, რომლებსაც ეს კაცები ყვე-ლაზე ხშირად ხედავენ. ელსინორში კი სხვა ქალები არ არიან და უნდა ით-ფიქროთ, რომ ჰამლეტს დაიხაც უყ-ვარს ოფელია, მაგრამ ისიც იცის, რომ ქვეყნად სხვა ქალებიც არააბო-ზენ. ოფელიამ კი არ იცის, რომ ქვეყ-ნად სხვა კაცებიც არსებობენ და თითქოს გრძნობს, რომ უფლისწული მისი ბედისწერაა. ოფელია ამ საში-ნელ ციხე-დარბაზში გაზრდილი ქალ-წულია და აქედან გამომდინარეობს იმდენი რამ, რომ ჩამოთვლაც არ მო-ხერხდება.

ჰამლეტმა იცის, როგორ ეკურკუ-როს ქალებს, ოფელიას წარმოადგენა არა აქვს, როგორ ეკურკურებინა ქა-ლებზე. ჰამლეტი თავს იგიიანებს, ოფელია მართლა გიჟდება. ახლა გა-მახსენდა, რომ მეფე ერეკლეს ქალის-გაყილი ღლეწ გაგიჟდა, როცა იმას არ ჰყოლოდეს, ვინც მთელის განცდიით უყვარდა. ოფელიასთვის ჰამლეტი ერთადერთია და ამას თან ახლავს ში-ში. შიში ყოველ ქალწულს აქვს. ოფე-ლია მთლიანად ჰამლეტის ხელშია და ეს შიშს კიდევ უფრო გააძლიერებს. ჰამლეტისთვის კი ოფელია სულაც არ არის მთავარი. მისთვის მთავარია შუ-რისიძიება და თავის დასახულ გეგმაში ოფელიას სულაც არ გასწევს განზე, არამედ მას ერთ-ერთი მოხანილედ ჩაერთავს და რაც მთავარია, მტრული ბანაკის მოხანილედ. ასე გაყოფის, რადგან ჰორაციომ კი იცის, რა უფიქ-რია უფლისწულს, მაგრამ ოფლიას-თვის ეს არავის გაუხდენია. მამ, რა სიყვარულია ესა? ჰამლეტისთვის ცხადია, რომ ოფელიას სიყვარული მას ვერაფერს მისცემს. ოფელიას კი სჯერა, რომ ჰამლეტი უყვარს და ვერ იგებს ვერც მის სისასტიკეს, და ვერც უზრდოლობას.

მა რ ვენათ? როგორ მოვეცქეთ ოფელიას?

ასე ვთქვათ: ქალწული, რომელიც ციხე-დარბაზში აღზარდა, ფერმკრ-თალი და ვითარებით გაუერკვევლი. არანაირი ხალხისი. სიგეფ, პორველი ნამდვილი მსხერპლი სწორედ ის არის და არა მამამისი, რომელიც ხმალს არ ნამოუგებობდა ფარდის უკან რომ არ მდგარიყო. მისმა ფარდის უკან დგო-მამ გააგიჟა ოფელია.

19 იანვარი

მოკლედ მოგახსენებდით, წიგნის ამბავში. ოღონდ კი ეს კიდევ ერთხელ აღნიშნავს ჩვენს სრულ უსუსურობას ჰამლეტის მიმართ.

ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც პირველად დაინახა ჰამლეტი?

აი, საქმე რა არის. ჩვენ თუ არ გავიგეთ, როგორ დაინახა ამ კაცმა ჰამლეტი, ჩვენ ვერაფერს გავიგებთ. საერთოდ, ამ კაცის გაგება იმდენი რაიმის გაგებას ნიშნავს, რომ ბევრი აღარც რამე დაგჭირდება, რათა ადამიანის რაობაში გავრცეფ. მე არ მჯერა, რომ შექსპირი მაინცდამა-ინც სკანდინავიურ მატკივებს კითხულობდა, საქსოს, ან ვიღაცის ნაწერებს, სადაც პრინცის ამბავია მოთხრობილი. ეს საქსოს აწწერილი ისტორია მოდებული ისტორია იყო და თეატრებში ტრიალებდა სიუჟე-

ტები დანიელი უფლისწულის შესა-ხებ. შექსპირმა იმ დროისა თითქმის ყველაფერი იცოდა, პოლიტიკაც კი: ვთქვათ ის, რეჩ პოსპოლიტა რომ მაგარი ქვეყანა იყო სწორედ იმ დროს, როცა „ჰამლეტს“ წერდა. ამ პიესაში ხომ სულ პოლონეთის გაიძა-ხიან. მაგრამ საკუთრივ ამბავი, რომელიც შექსპირმა იცოდა, გადამწყე-ვეტი არ არის. მას შეეძლო სხვა რამ ამბავშიაც გამოეყენა ჰამლეტი, ოღონდ კი ამჯობინა სწორედ შუ-რისიძიების ამბავი. ასეთი კაცი და შურისიძიება. ჰამლეტის შეზედულე-ბა ცხოვრებაზე ისეთია, რომ მას შურისიძიება არ უნდა აინტერესებ-დეს, მაგრამ ის ხომ უფლისწულია

ტობაა, ფალსტაფისა კი დიდებული საქმეა.

თუმცა, ალაღ მწერალს უნდა ახე-სოვდეს, რომ თავისი ფანდები აქ არ გამოადგება, თუკი ვერ მიხვდება, რომ ჰამლეტს გულში კი არ უნდა შე-უძერეს, როგორც ამას ჭკვიანი მწე-რალი გააკეთებდა, არამედ გარედან უნდა ჩხვლიტოს და პრინცის მოძრა-ობით დაადგინოს რალაცეები.

რომ აღარ გავაგრძელოთ, ხერხია მთავარი, თორემ ჰამლეტთან გულ-დაგულ მისვლა როგორ შეიძლება?

22 იანვარი
ეს ზამთარი ხომ გრძელია და თქვენა გგონიათ, მხოლოდ „ჰამ-

ლეტს“ ვკითხულობდი? რალაცეებს კიდევ, თუმცა, სულაც არ მიფიქრია, რომ ეს ნაკითხულები სწორედ „ჰამ-ლეტისთვის“ გამომადგებოდა. ისე ვკითხულობდი, წიგნებდა და არა საქ-მისთვის.

უშანგი ჩხვიდის მოგონებებზე ჩა-ფიქრებისას, სულ იმას ვეძიებდი, რო-გორ მომთხრო „ჰამლეტი.“ გზას და-ვეძებდი, ასე ვთქვათ და თუკი ხასია-თებში ასე-თუ-ისე ჩამოეჭერი რალა-ცეები და აჩრდილიც თავიდან მოვი-შორე, ამბის მოთხრობისა ვერაფერი გადაწყვიტე და შესაბამისად სიუჟე-ტური კოსმეტიკით სასვე ნესესერი ვერ გახსენი. საერთოდ ამ ამბავში აჩრდილის გაქრობაზე დიდი ცვლი-ლება ვერაფერი წარმოვიცდინე.

ჰოდა, გულსკარეთ ვფურცლავდი ვითრად გომბროვიჩის წიგნს და იქ ერთი მოთხრობის პირველვე აბზაც-ში მეტად მნიშვნელოვანი არა მოვი-კითხე. გომბროვიჩი ასე მოგახსე-ნებს, რომ ყოველ ოჯახურ ისტორიას ორი ამბავი აქვს. ერთი, საგარეო, ანუ ოჯახში მომხდარი ამბის საგარეოდ გავრცელებული სურათი, რომელზეც ყველა ლაპარაკობს და რომლის მი-ხედვითაც ყველა ასკვნის, რომ ზედ-მინეგნით იცის ამ ოჯახში მიმდინარე ამბავი და მეორე, ნამდვილი ოჯახ-ურ ისტორია, ანუ პრივატული ამბავი, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ოჯახის წევრებმა იციან და რომელც არის სწორედაც რომ უფრო ნამდი-ლი, ვიდრე ის, რომელიც სახალხო-სალაპარაკო და განსახილველი შექ-ნილა. ამბავი რომც არ იყოს, არსე-ობის ოჯახის საგარეო იერი და ოჯა-ხის შინაური ცხოვრება, რომლებსაც იზიჟათად რომ საერთო ჰქონდეთ რა-მე, საერთონი მხოლოდ მოქმედი პი-რები არიან.

ამის გამო დაფიქრებამ მიმიყვანა ისევ „ჰამლეტთან“ და ამ ოჯახური ისტორიის გამოც განვსაჯე: „ჰამლეტი“ პიესა გახლავს, ანუ სახალხოლ საცქერი და განსახლეო ამბავი. რახან ასეა, იქ ოჯახის ამბავი, სხვათა დასანახად, სახალხოდაა მოთხრობილი. მეტად ძნელია ამ ის-ტორიაში ჩარევა და მასში რაიმეს ფა-სიანად შეცვლა, ამიტომ, გომბროვი-ჩის მონიშვნა, თუ შესცენება ჩვენი მსხენლია.

ჩვენ უნდა მოვითხროთ ისეთი „ჰამლეტი“, რომელშიაც ნამდვილი ოჯახური ამბავი იქნება წარმოდგე-ნილი, ყოველგვარი მოჩვენებებისა და აჩრდილების გარეშე. ანუ, პირველ სცენაში ოფიქრული ფორმტორზე იდ-გებიან და აჩრდილს კი არ დაეღუდე-ბიან, არამედ მთის თაობაზე იჭირავე-ბენ, რომ მათ პრინცს, განსცხადისა მამამისი დასიზმრებია.

დაიხაც, დასიზმრებია. რაც უბირ ხალხში ისე გავრცელებოდა, თით-ქოს ჰამლეტს დიდი ჰამლეტის არე-დული ენახოს.

კაცს ხშირად ესიზმრება ის, რა-ზეც გამოუდებიტ ფიქრობს. ჰოდა, ჰამლეტსაც დაესიზმრა მამამისი. უწე-ნიზმრა. სიზმარში კი მამამისიც თეი-თონ იყო და საკუთარი თავიც, ცხა-დია, სიტყვა-პასუხით თავისი გაბლ-დათ და სწორედ ის გაგონას, რის გა-გონებაცა სურდა.

ოფიცირებს სჯერათ თავიანთი უფლისწულისა, ვის არ დასიზმრებია რალაც იმეგვარი? აგერ გუშინწინაღ დამესიზმრა, რომ ერთს რომელიმე გაჩახახებულ ქალაქში ვყავი, ზღვის პირეს, დიდი დაშაურული და ლამაზი ქალაქი იყო და ეზოს ოსკანი-რად წყალსა ცსვამდი, აივანზე კი პა-ტარა გოგო გადმოიმდგარიყო. რალაც ლათინური ქალაქი იყო, ოსმანა კი ერქვა. რატიმ ერქვა ოსმანა, ვერ მო-გახსენებთ, მაგრამ ძილის წინ ჩემი მომბილი მაიმობდა, როგორ ყოფი-ლიყო მისი ერთი მომბილი ჰავანაში და ხელმოერედ წასასეულდადც ემ-

ზადებოდა, თურმე ჩვენც მოგვინო-დებდა, ჩაუსწარით, სანამ კომანდან-ტე ჯერ კიდევ დავას, მერე აწნარი ჰა-ვანას ველარ ნახავით. ჰოდა, ჩაეუს-წარი. მგონი, „ოსმანაც“ ჰგავს „ჰავა-ნას“. ჰამლეტს კი როგორ არ დაესიზ-მრებოდა? სულ ამ საქმეზე ფიქრობ-და. პირდაპირ შეჭამა ამ ფიქრმა. ამი-ტომ, პირველი სცენა დიახაც მზად მაქვს, ოღონდ იქ ერთ-ერთ თემად უნდა იყოს კლავდიუსისა და გერტ-რუდას დაქორწინება, რასაც უეჭვე-ლია რომის პაპთან წერილების და ძღვენის გზავნა დასჭირდებოდა. სხვაწაზიარდა კი ელსინორიანთ ოჯა-ხობა დიდი ქრისტიანები არ ჩანან, რომ ამ საკითხზე მეყოფდნენ და გან-

საჯონ, ეს რა ექენითო. ამიტომ, რა-ხან ნამდვილ, მიზაურულ ამბავს აღე-წერთ და ამისთვის ვმადლობთ ბა-ტონს ცხონებულს გომბროვიჩს, უწე-და ვთქვათ, რომ კლავდიუსს გერტ-რუდა კი არ მეურთავს, მხოლოდ საყ-ვარლობს და ძმა მხოლოდ ტახტისთი-ვის მონამლა. ისედაც ყველა იცნობს ჰამლეტს ელსინორში, იმის გამეფე-ბაზე აბა ვინ დაიკანავლენდა, თანაც, ალბათ ვიტენებრემც იყო. ჰოდა, სარ-ქაროდ აკურთხეს ეს კლავდიუსი. ოჯახში რა დაიმალება. ერთ სოფელ-ში ვიყავი და იქ ერთ ბიჭზე ამბობდ-ნენ, ბაბუამისის შვილიაო, ასე მოხ-დაო. ჰამლეტსაც ხრავს ეს ამბავი, სხვა საფიქრლო არცა აქვს, როგორც დაპყრობილ და აიხე დამარცხებულს, რომ თვითონ გვიან მიხვდა ამ დამარ-ცებებს. როგორც ზემოთვე მოგახსე-ნეთ ბერწარად მოუს ნააქემდა, კბითი-ან ავადმყოფს თავის ავადმყოფობა-ზე მეტი საფიქრალი არა აქვს. ასეთი ამბები არ იმალება და იმდენად მო-დებოდა, რომ მათზე „გონზავოს სიკვდილის“ გათამაშებაც შეიძლება.

ასე, რომ პირველი სცენა გამარ-თული მაქვს და იქ გადმოვცემ მოზმ-დარო ამბის სურათს, ოღონდ მაინც ჩურჩაულები. პირველსავე სურათზე გამოჩნდება ჰამლეტიც აუცილებე-ლად, პირველ წუთიდანვე ჭკუითი, უც-ნაურობით, ენაოსწერებულობით და დაუფიქრდელ.

ახლა, რახან პირველი სურათი მოვიფიქრე, აღარაფერი მიჭირს. აღ-რე მეგონა, რომ მოფიქრებული მქონდა და სინამდვილეში ახლა მოვი-ფიქრე.

მეორე, მესამე, მეოთხე და სულ ორმოცი სურათის მოფიქრებას არ დაველოდები და დაწერ პირველ სუ-რათს. დიდად სასიამოვნო იქნება ჩემ-თვის. ერთი „მაკმილანის“ სრული შექსპირი მაქვს, დავჯდები და თარე-მეს-თარეგნით დაწერ პირველ სცე-ნას. სასიამოვნო საქმეა ზამთრის პი-რობებში. პირველი სცენის შემდეგ კი დაფიქრდელ.

ორ წელწინადს უნდა ვწერო ეს „ჰამლეტი“, სადმე კი არ მეჩქარებო. შექსპირს, ცხადია, უტევ გამოუდიო-და. იმიტომაც, მოგახსენებთ, ამ კაც-ზე მეტს იფიქრებ, ვიდრე მის პიესეზე -მეთქი.

27 იანვარი

იმდენი ვწერე პირველი სურათის შესახებ, რომ ამ სურათის დაწერა ვე-ლარ მოვახერხე. რასაკვირველია და-ვინყე:

ელსინორის ფრონტირი, ღამე, ქარი უსტევს, ისმის ზღვის ტალღე-ბის მხოლოეს ხმა. სდგას ბერწაროდ, ან ფრანცისკო, და შემოდინა მარცე-ლუსი და ჰორაციო. ამდენი იტალიე-ლი რა უბედურებაა. ამ მხოლსა და გრეცინეამი ისინი იწყებენ პოლიტი-კური სურათის ხმადახლა მიმოხილ-ვას, მეფეს ფრთხილად გაკილავენ, მაგრამ რახან ისმის ქარის სტვენა, ტალღების მხოული და სხვა სასია-მოფირი ხმები, ხოლო ესენი კი ჩურჩე-ულით ლაპარაკობენ, რადგან ერთი, რომ საგუშაგოზე ხმამალა ლაპა-რაკი არ შეიძლება და მეორეც მეფის ხმამალა ლანძმვა სად გაგონილა? ამიტომ, ამ ხმაურთანაა მაყურე-ბელს ბევრი არაფერი ესმის და მო-დუნდება, აღარც კი უსმენს სცენაზე მყოფთ და აქეთ იქეთ იყურება. რაო, რაო, რა სთქვას? და მერე ამასაც აღარ სჯავრობს. ოღონდ კი, უტევ, მოლაპარაკეთა მნიშვნელოვანი და გასაგები სიტყვები დაემთხვევა ტალღის და ქარის წამიერ სიჩუმეებს და მაქცერალი შეიტყობს, რომ უფ-ლისწულს რალაც დასიზმრებია. ნა-შუალამეებს, ფრონტორზე მოდის თა-ვა, გად ჰამლეტი, ისე მოდის, როგორც მამამისის აჩრდილი, ისე რამ, მისი ოფიცირებს, სხვაწაზარად კი მის მე-გობრებს ამინებთ კიდევ მისი გამო-

ჩენა. ლურჯი მოსასხამი, ჰამლეტის მოსასხამი, ღამის ჩაჩი და უშანგი ჩხვიდის თავლები, უშანგი ჩხვიდის ხმა. მოჩვენებასავით ჰამლეტი რა-ლაცას ბუტბუტებს, რაც ასევე არ გვესმის ბუნების ძალთა ხმაურობა-ში. ის ჰორაციოს ებლაუჭება, ვითარ-ცა თავის ძმას და ნანწყებნანწყებტ ეუბნება რალაცეებს. ჰამლეტი ჩვენა, მაყურებლს ვერაფერს გვაგვიბნებს, რადგანაც ჩვენ ისევე ერ გვესმის ჰამლეტის, როგორც დედამისს, რო-გორც როზენგრანც გილდენსტერნს, მეფეს და სხვებსაც ყველას. მისი ეს-მის ჰორაციოს და ჩვენ თავიდანვე უნდა მოგანიშნოთ, რომ ჰამლეტი ბევრს ვერას გაუგებთ. ის დაბოდი-

ლობს სცენაზე და ცდილობს ფეხი-დან გახდილი წინდით უზიოლავი ვინ-მეს მოხრწობას. ჰორაციო ამცნობს მეგობრებს, რომ უფლისწულს სიზმ-რად უნახავს მამამისი, რომელსაც მოუხსენებია, რომ ძმამ მონამლა. ამ ნალაპარაკევსაც ძლივს ვიგებთ, რადგან სწორედ ამ დროს ქარი სა-შინლად შემოუსტეგნს, ტალღები კი ეხეთქება კლდოვან ნაპირს. ჰამ-ლეტი გაცვეთილი, ისეთი ჩვეულებრივი ზერხი, რომ ჰორაციო როგორც კი გა-მოჩნდა წიგნში, იმწამსვე დაეძა-ხობს, რომ ეს ყველაფერი სიზმრის გარეშეც მშენივნორად იცოდა, ის ცდილობს წამოიწყოს თავისი ცნო-ბილი მოწოლოგი, მაგრამ ვერ ახერ-ხებს, ბევრჯერ უწყდება სიტყვა. შემცბარი ოფიცირი მას საკუთარ მოსასხამებს სმოხაგვევენ და ხელში აყვანაშილ გაჰყავთ სცენიდან. . .

ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგ-რამ რა შუაშია აქ მაყურებელი? ხედავთ, როგორი რამბა, რომ ამ პირველ სცენის წერისას, მაინც ისე გამოვიდა, რომ მთავარი მაყურებელი გამოდგა? როგორ უნდა დაწერი ჩარე-ველი სურათი ისე, რომ მიგვე მოდ-ბული იყოს ბუნების ხმაური და ჩერ-ჩული, რომლისაც მხოლოდ ნანყეე-ტები ესმის ხალხს? ვერგავონება კი შეიძლება, მაგრამ ვერ წაკითხვა? სცენისთვის ხომ არ ვწერთ, არამედ ჩვენთვის.

ამგვარი რამის საინტერესო ტეს-ნიკა ვერ აღმოვაჩინე. ვერაფრით და ეგებს გაზაფხულზე აღმოვაჩინო ისე, რომ გამოცდილი ზერხებით არ ალო-წეროს ეს პირველი სცენა. მეტად ძნე-ლი კი ყოფილა უმაყურებლოდ პიესის დაწერა. მკითხველზე დაფიქრება კი კიდევ უფრო ძნელი, ვიდრე მაყურე-ბელზე და ახლა ხომ კიდევ ერთხელ გაზურდები ტვინი იმაზე ფიქრით, ვინ ყოფილა ის კაცი, ვინც „ჰამლეტი“ და-წერა?

ამის მიუხედავად, პირველ სუ-რათზე ფიქრი დაიხაც გავაგრძელე. რათაი იქნება, თუ პირველი თავი, ყოფილა ის კაცი, ვინც „ჰამლეტი“ და-წერა?

ამის მიუხედავად, პირველ სუ-რათზე ფიქრი დაიხაც გავაგრძელე. რათაი იქნება, თუ პირველი თავი, ყოფილა ის კაცი, ვინც „ჰამლეტი“ და-წერა?

ამის მიუხედავად, პირველ სუ-რათზე ფიქრი დაიხაც გავაგრძელე. რათაი იქნება, თუ პირველი თავი, ყოფილა ის კაცი, ვინც „ჰამლეტი“ და-წერა?

6 თებერვალი

ამაზე ფიქრით კარგახანს შევიქ-ციე თავი, ღამის ფიქრად გადავტე-ქე და ბოლოს გადაწყვიტე, რომ პირველი სურათი მერეულად დამეწე-რა. იმეგვარი ზერხი გამომეყენებია, რომ ნამკითხველს ქარის სტვენა და ტალღების ხტეფვა შეეძლებისდაგვა-რად ხმამალათ დასჯახებოდა, ოფი-ცერთა და ჰამლეტის ლაპარაკი კი იდუმლი ხმებად ცუდ ამიზდმი. და აი, რა მოვიფიქრე:

მთელი პირველი სურათის ტექს-ტი დაწერილი იქნება პროზათ: დაწე-რილებით აღწერილი ღამეც, ბუნების ჭახაჭახიც, გუშაგებიც და ყოველი მოძრაობაც, ჰამლეტის შემოსვლას-თან ერთად. ეს იქნება მოქმედების მთამბეჭდავად აღწერა, ყოველ საჭი-რ ალავს კი, ექნება დასაბუთი სქო-ლიოში ჩასახედი წიბანი, თავად სქო-ლიოში კი მეტად წერილი ასოებით მოცემული იქნება ნანყევეტ-ნანყევეტ დადოლები. რახან არჩილი გავაუქ-მეთ და მხოლოდ ვწერთ და არ გავი-თამაშებთ, ეს გამოსაღწევი ჩანს. ვკითხულობთ, ხომ არ ვაუფერებთ?

ჰოდა, მოედივარ დელოსზეე . . სულ გადაწყვეტილი მაქვს პირველი სურათის ამბავი. იქ კიდევ იფიქრომ ერთი სათავადოწიბანი ხსენიერ ქალბა, რომელსაც აკუნების ქალს ვეძახი. ცხადია, იმიტომ, რომ იმისგან ბევრი აკუნების წიგნები მიყიდა, განსა-კუთრებით ზაფხულში საკითხავად. იმას აღარ ახსოვს მე რა მიყიდა და რა არა, მთელი აკუნების ქალს კი არა, გეგონება იმას დარჩა აგარაკზე და ფორტოჩკაში ყველა შეჭყეტულზე მა-ტკნის ამ ძველებს. ზოდა, მოვდებო და შევიფყატეე და შემომატენა ისეც

და მეუბნება, აი, ახალიც მაქვსო. ნალმა უკუღმა წიგნია, ტრავგედია და კომედია. რა მისახვედრია, რომ ტრა-კედია „ჰამლეტი“ გამოდგა. აკუნისს დაუწერია: „ჰამლეტ-ვერსიია.“ აგე, როგორ არი საქმე. საფიქრალიც კი გვიან ჩამოდის, წერილზე და წიგნზე რომ აღარაფერი თქვა. ეს წიგნი რომ ადრე მეჩანა, ხანა ჰამლეტის გამო ფიქრს დაეწიყებდი? ისედაც ერთი-ორს მეტყვიან ხოლმე, რომაო აკუ-წინზეუდ გაქვს სწორებო, რაც მარ-თალია, არ მბარაზებს, მაგრამ უზერ-ხულობას კი ქმნის, თუ სწორებაა ლეე ტალსტოიზე გასწორდი, რალა იმ მათემატიკის ოსტატზე უნდა გას-წორდე.

ხო, ეს კი გადაწყვიტე იმავე წუთს, რომ „ჰამლეტის“ გამო ფიქრს სასწრაფოდ შეეწყვეტდი. ორი წელი-წადი მოეზომე ამ საქმისთვის და რა მეჩქარება? მევენყვეტდი და შეეწყე-ვტედი, მაგრამ მე რა მეწყინა ივით? ის კი არა, რომ აკუნისს ჰამლეტი და-უწერია. ის მეწყინა, რომ აკუნისმა ვე-რაფერი მოიფიქრა. გაუშვა თავისი მათემატიკა და ისეთი მარტივი, ისე-ტე გაცვეთილი, ისეთი ჩვეულებრივი ზერხი, რომ ჰორაციო როგორც კი გა-მოჩნდა წიგნში, იმწამსვე დაეძა-ხბე:“ეჰ, აკუნინ, ბორის გრიგოლირ, ეს რა გეჩინა!”

ამ ძახილმა ჩემი ცოლი გამოაღვი-ძა. სანაო ოთახიდან გამოახედა და დადაძებინა: მანჩესტერს გაუტანეს?

ასე მაშინ დავიყვირე ხოლმე, როცა მანჩესტერს გაუტანენ. მე ხომ მაჩესტერის მხარეს ვარ.

ზამთარი ისერია. აკუნისს ჰამლე-ტი საზაფხულად დაუწერია და ყვე-ლაფერი დაწყობილად არის იქ, ოღონდაც მე ის მეწყინა, რომ მიხე-ტდი, ყველაზე თახსირ კაცად რუს მწე-რალს ჰორაციო გამოუყვანია. ძველი ფანდი გხლავს და ლიტერატურის იმეგარ ცმოდნეს, როგორცა არის აკუნისი, მეტი შეეძლო ფიქრია „ჰამ-ლეტის“ თაობაზე. ჰორაციო ფო-რტინბრასის ავეტნი ყოფილა. ივ, რა იოლია? დაუტყვიანა ელსინორის ოჯა-ხობა. ეგრე ხე ყველა დაწერს. ესლავ იკ ვაირანტს მოგარდებოთ, სადაც ლაურტი მეფე გახდებდა, როზენკრან-ცი კი ვიღვარი იქნება. ამას რა უნდა? მაგრამ ეს ხომ „ჰამლეტიდავ“ არ გა-მოამინარეობს. ეს ისეა, მოვიგონეს. „უჰამლეტიც“ კიდევ ნამდვილ ჰამ-ლეტს როგორ მოვიგონებ?

„ჩაიკა“ უკეთესად გამოუვიდა.

მე კიდევ, იმას მოგახსენებთ, რომ ჰამლეტი მარწმურტკაში არ მეგხედე-და. აკუნისი კი სწორედ წიღიობია, რომ ჰამლეტი მარწმურტკაში შესვდეს და კიდევ მეტი, დიმიტრი ნაგიეიტან მივიდეს გადაცემს „ოკნაში“ რათა იქ ყველას უამბოს, აი, რა დაატრიალეს ბიძაჩემმა და დედაჩემმაო, მერე კლავდიუსსაც შემოიყვანე და ჰამ-ლეტი მის დასაპორტყნად წაიწევს, რასაც დაცვის ბიჭები არ დაუშვებენ. მერე ნაგიეიტა ჭკუას დაარეგებს, ბი-ძას ეტყვის, ცუდად მოქცეულობა, ჰამლეტი კი შენი ხასიათი შენივე მტერიაო, ცხოვრება ისე არ არის, შენ რომ გგონიაო და მეტი არც არაფერი. ნავა სახლში ჰამლეტი და დომბოს ითამაშებს.

რატომ მოიქცა ასე? იმიტომ, რომ იოლია.

მე კი წამართვა ხალისი და აწი თვითონ იცის.

იმას მოგახსენებდით, რომ ყოველ მწერალს უნდა შეეძლოს თავისი ჰამ-ლეტი, საშინაო რეჟულში მაინც. ჰამ-ლეტი ისე გავაგიდოს, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, იმიტომ, რომ ჰამლეტზე რომ ფიქრობ, საკუთარ ფიქრებზეც ფიქრობ, ვინაიდან და რადგანაც, არ არის მეორე ასეთი კაცი, სხვათა გო-ნების უსუსურობაში რომ ამგვარი გა-ქანებით ერკვეოდეს, ამგვარად სძულდეს სიმახიჩეე და აგრე სწყუ-როდეს შურისიძიება.

წიგნი, ხმალი და თავის ქალა. . . ჩვენს დროს ამ ნივთებს ვეღარ ნახავ ერთი კაცის ხელში, ამიტომაც, აკუ-წინმა ააციდინა. თუმცა, ერთი კიი საქ-მე კი ქნა, რომ ამ ზამთარს შესძახნა, ჩიი დალიე და საქმეს მიხედე, რა მწე-ნარი პედრო კამპაოს საქმეა ამგვარ რამებზეც ფიქრი.

მოკლედ, უნდა დავიშალოთ, მინამ ლამაზები ვართ და იმ პირველ სუ-რათსაც, როგორმე, ოდესმე, დავად-გამ თავს. ვის რას შეეუფლია ჩემი წილი „ჰამლეტში“? მარტო პირველი სურა-თი იქნება, მეტი კი არა.

არ წერენ თავთავიანთ „ჰამლე-ტებს“, ცხოვრება უამისოდ უფრო იოლია.

თბილისელი ხუროთმოძღვრები და მხანაზლები 1801-1917

ვახტანგ ბერიძის „თბილისის ხუროთმოძღვრების“ მიხედვით

სკუდიერი ჯოვანი (რუსეთში ივან ბორისის ძედ ნოდებული 1817-1851 წწ.) არქიტექტორი, ეროვნებით იტალიელი. სწავლობდა ქალაქ პადუაში „უმალღეს საიმპერატორო-სამეფო სასწავლებელ-ში“, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1831 წელს. შემდეგ მუშაობდა პადუაში-ვე, ქალაქის ინჟინერ ბუზინანთან 1837 წლამდე. 1837 წელს გაემგზავრა რუ-სეთს და დაინიშნა ოდესის სამშენებლო კომიტეტში თავისუფალი პრაქტიკის მქონე არქიტექტორად. 1840 წლის მაის-ში გადაყვანილ იქნა იმავე კომიტეტის სამხაზეულოში არქიტექტორად. 1844-45 წლებში ირიცხებოდა ოდესის მება-ლეობის მთავარი სასწავლებლის სამშე-ნებლო კომისიის სახელოვნო ნაწილის წევრად.

ორდესაც 1846 წელს თავადი გო-რონცოვი, რომელიც მანამდე ნოვორო-სიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერ-ნატორად იყო, ოდესიდან თბილისს გადმოიყვანეს კავკასიის მაფისნაცვ-ლად, მან წამოიყვანა სკუდიერიც. 1846 წლის 18 მარტს იგი დაინიშნეს თბილისის საქალაქო ხუროთმოძღვრის მოვალეო-ბის შემსრულებლად, 5 აგვისტოს კი გა-დაიყვანეს მეფისნაცვლის კანცელარიო-ის საკარანჭინო ნაწილის არქიტექტო-რად. იმავე თვეში საკუთარი თხოვნით მიიღეს რუსეთის ქვემეგრულმადე. დაი-ლუმა 1851 წლის 5 ივნისს, ხარაჩოზე, როდესაც ჩამოიხრა მისი პროექტით დახეხებული სამხედრო ტაძრის კამარა.

ვირონიკოვი სკუდიერის ანდობა-ც ყველაზე მნიშვნელოვან ნაგებობათა პროექტების შედგენას. სხენებული სამ-ხედრო ტაძრის გარდა, მისი პროექტით აშენდა ყოფილი ვირონიკოვის ხიდი და თეატრისა და ქარვასლის შენობა ყოფი-ლი ერევნის (ახლა თავისუფლების) მოე-დანზე. ხიდი უკვე მისი დაღუპვის შემ-დეგ დაამთავრეს. გახტო „კავკაზის“ ცნობით, მისივე რეკონსტრუირებული (თუ აშენებული?) ყოფილა მიწებით ბო-ტანიკურ ბაღთან. საბუთებში ინსენიება აგრეთვე „**Присутственные моста**“-ს შე-ნობისა (ერევნის მოედანზე) და კეთილ-შობილ ქალთა სასწავლებლის პროექ-ტები, რომლებიც, როგორც ჩანს, არ განხორციელებულა.

სკუდიერი ასრულებდა კერძო საცხოვრებელი სახლების პროექტებ-საც, მაგრამ არქიმედი სულ სამიოდე ასე-თი პროექტი აღმოჩნდა:

1) გამდიდრებული თბილისელი კო-ლონიზების ზალცმანის სახლისა, რომე-ლიც აწინდელი რუსთაველის პრესაქე-ტსა და ეკეხოველის (გულიანოვის) ქუ-ჩებს შუა დგავ, სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი კორპუსის ადგილას (1846 წ.). ამ შენობაში, რომელიც ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლზე უფრო დიდი იყო, იმთავითვე „კეთილშობილი საკრე-ბული“ მოთავსდა (ეს სახლი დღეს აღარ არსებობს და ჩვენ არ ვიცით, რომენად ეთანხმებოდა განხორციელებული შე-ნობა ჩვენიყის ცნობილ პროექტს). გა-ხტო „კავკაზის“ ერთ-ერთი წერილი მო-ისწერებებს ამ სახლის საცეკვაო დარ-ბაზს, რომელიც მართლაც იყო გათვა-

ლისწინებული პროექტით.

2) ოსანა არაქელოვის ორსართული-ანი სახლისა გრაფის (ახლანდელი ნატო ვაჩნაძის) ქუჩაზე. სახლს საძირკველი ჩაუყარეს 1846 წ. 13.XI. დღეს ეს სახლიც არ არსებობს.

3) პეტრუს ვედიკაროვის სახლისა მე-2 ნაწილის მე-3 კვარტალში „**по улице караванный проезд**“.

ეს სრულიად უმნიშვნელო ორსარ-თულიანი ნაგებობაა, თითო ოთახით ყოველ სართულში.

სკუდიერის პროექტები გამოირჩევა მის თანამედროვე სხვა თბილისელ არ-ქიტექტორთა პროექტებისგან. მათთ-ვის უცხოა თბილისური სახლების სპე-ციფიკა, რომელიც იმ ხანაში გარკვევით იჩენს თავს ხუროთმოძღვრებაში. კერ-ძოდ მას არ აქვს თბილისური აივნები, თბილისურად სახემეცვლეილი კლასი-კური არქიტექტურული მოტივები.

იგი რამდენადმე შორდება გვიანი რუსული კლასიციზმის კანონზირე-ბულ ფორმებსაც, თუმცა ზოგად კლა-სიკურ-რენესანსულ წრეს არ სცილდე-ბა. იტალიური რენესანსის კომპოზიცი-ური ხერხები სკუდიერის თეატრის ფა-სადებისთვისაც აქვს გამოყენებული:

თეატრი (ერევნის მოედანზე) 1847-1851 წლებში კერძო პირის, თბილისელი ვაჭრის გაბრიელ თამაშმევის ხარჯზე აშენდა და იგი ქარვასლასაც შეიცავდა. თბილისის XIX ს. შუა წლების საზოგა-დოებრივ ნაგებობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი შენობაა. ძირითადად მაისც თეატრი იყო, მაღაზიები და საწყობები წმინდა კომერციული მოსაზ-რებებით დაუმატეს. თვით სათეატრო დარბაზი ამჟებნისთანავე ქალაქის გამ-გებლობაში გადავიდა.

ეს იყო პირველი სპეციალური სათე-ატრი ნაგებობა საქართველში. ფეო-დალური საქართველოს არქიტექტურას არ შეუქმნია სათეატრო შენობა, ვო-რონიკოვის დროს დაარსებული რუსუ-ლი თეატრიც კი, თავდაპირველად მა-ნეთში იყო მოთავსებული.

თეატრზე მხოლოდ წერილობითი და გრაფიკული მასალით შეგვიძლია ვიმს-ჯელოთ: სათეატრო დარბაზი ჯერ კი-დედ 1874 წელს დაინვა და შენობა უთე-ატროდ აღადგინეს, მხოლოდ ქარვას-ლად. 1930 წ. კი, მოედნის გაფართოე-ბასთან დაკავშირებით, ეს ქარვასლაც დაანგრეს.

თავდაპირველი პროექტი ჩვენ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ არსებობს ძველი ნახატი „კავკაზის კალენდრის“ 1851 წ. ნიშნში, აგრეთვე წერილები და ოფიციალური ანგარიშებით, რომლებიც თეატრის დაწერილებით აღწერას შეი-ცავს.

თეატრისა და ქარვასლის შენობა წარმოადგენდა დიდ სწორკუთხედს და-ახლ. 78X47 მ. იგი შედგებოდა ოთხი სარ-თულიდან. სამხრეთის მხარეს ორი ქვე-მო სართული, ჩრდილოეთის კი ერთი - მოედნის დონეზე დაშლა იყო და შენო-ბის გარშემო დატოვებული საგანგებო თბიროლის წყალთბილი ნაღდგებოდა (ტროტუარი უერთდებოდა მე-3 სარ-



თულს ამ თხრილზე გადაყვანილი 15 ბო-გირით (აფურის თაღებზე) და ორი მი-სადგომით კარტეგისტათის). ეს ქვემო სართულები სარდაფებს, საწყობებსა და ნაწილობრივ მაღაზიებს ეჭირა. მეს-ამე სართულში (მინის დონეზე) შენობის გარე მოხაზულობის შემოყოლებით, 23 დიდი მაღაზია იყო (აქ ყიდდნენ მანუ-ფაქტურას, სპარსულ საქონელს, კინე-ფილმას, მინის ნაწარმსა და სხვ.). მე-ოთხეში - 21 მაღაზია და საეაჭრო კან-ტორა, აგრეთვე ბიბლიოთეკა, თეატრის ბუფები და ფოიე. შენობის ზედაული ეჭირა საკუთრივ სათეატრო დარბაზსა და სცენას. დარბაზი შეიდას მაყურ-ბელს იტედა (180 ადგილი პარტერში, 22 ლოჯა პირველ იარუსში, 25 - მეორე-ში, 250 ადგილი ქანდარზე).

შენობის ფასადები და თეატრის ინ-ტერიერი თავისი არქიტექტურითი სრუ-ლიად არ შეესაბამებოდა ერომანეთს. ფასადები (როგორც მაშინ წერდნენ, „**самой легкой итальянской архитектуры**“) დამუშავებით, განირჩევა გვიანი რუსული კლასიციზმის ფასად-თაგან, თუმცა ორდერის სისტემა იქაც არის გამოყენებული. სკუდიერმ ფასა-დისთვის ის სქემა აირჩია, რომელიც ვი-ჩენცაში პალატიოსეულ ბაზილიკას უდებს საფუძვლად (პადეულ სკუდიერ-ის „უჭველია, ნახატი ექსთრად რეწე-ა პოქონია, აქ უკვე უაჭველია, საქმე გვაქვს ეგზოტიკურ სტილზნაცისათნ, რომელიც XIX ს. ეკლექტიკურ ტენდენ-ციებთანაა დაკავშირებული.“

აი თეატრის აღწერა **Акты**-ს XI ტომ-ში თავმოყრილი ძველი წერილების მი-ხედვით: „მთავარი შესასვლელი თე-ატრს კორპუსის შტაბის შენობის მხრი-დან აქვს, საიდანაც მას კარტების მი-სადგომი და ფართე კიბე უნდა წინაღუ-დეს, რომელიც მთელს შენობას

თქმა უნდა განსხვავებულია დეტალე-ბიც. თავით პროტოტიპთან შედარებით, სკუდიერის ფასადები ბრტყელია, სქე-მატური და ყოველგვარ პლასტიკურო-ბას მოკლებული.

დარბაზი და ფოიეები, დამუშავებუ-ლი გრ. გაგარინის ესკიზებით, თავისი ხასიათით „იტალიური კი არ იყო, არა-მედ „აღმოსავლური“. ერთი იმდროინ-დელი ავტორის თქმით, „გაუმჯობესე-ბული არაბული სტილისა“, ისლამური არაბესკებით, კუფური წარწერებითა და სტალაქტიტებითაც კი (გვერდის ლო-ყებში, ორკესტრთან).

„ისლამური“ ინტერიერები XIX ს. თბილისში არც მანამდე და არც იმ დროს ყოფილა უჩვეულო (ცალკეულ მდიდრულ საცხოვრებლებში, განსა-კუთრებით კი ქარვასლესა და აბანო-ებში, რომელთა არქიტექტურაცაც წინა, XVI-XVIII სს. მანძილზე ყველაზე მეტად შეითვისა გვიანი ირანული ფორმები. ეს ირანული ხასიათის მორთულობა წარ-მოადგენდა ამ ძველი ტრადიციების გადმოშაშის, რომელიც თავს აფარებდა ინტერიერებს, რაკი ფასადების სახეს ოფიციალური ნიშნუები განსაზღვრე-და. მაგრამ, როცა ისლამურ - ძირითა-დად „მაგრულ“ მორთულობას აკეთებენ თეატრში, რომლის არქიტექტურასაც ავსთიათარი ადგილობრივი ტრადიციები არ ჰქონია, აქ უკვე უაჭველია, საქმე გვაქვს ეგზოტიკურ სტილზნაცისათნ, რომელიც XIX ს. ეკლექტიკურ ტენდენ-ციებთანაა დაკავშირებული.“

აი თეატრის აღწერა **Акты**-ს XI ტომ-ში თავმოყრილი ძველი წერილების მი-ხედვით: „მთავარი შესასვლელი თე-ატრს კორპუსის შტაბის შენობის მხრი-დან აქვს, საიდანაც მას კარტების მი-სადგომი და ფართე კიბე უნდა წინაღუ-დეს, რომელიც მთელს შენობას

გარს უყლის. სამ ფართე კარს შევყა-ვართ ვრცელ პოლში ქვის იატაკით.

რამდენიმე კიბეს აყავხართ თეატ-რის დერეფანში, რომელიც გარს უყლის ბენუარის ლოყებს და საიდანაც შედი-ხართ პარტერში.

ბელ-ეტაჟზე ამ დერეფნიდან ორი ორმაგი ნახევრად წრიული კიბით აირ-ხართ (ასეთი კიბე სულ ოთხია). განსა-კუთრებული კიბე-შესასვლელები ადის მეფისნაცვლის ლოყამდე, სცენაზე, დი-რექტორის ლოყასა და თეატრის ორსა-ვზე გვერდითი შესასვლელის თავზე ორი დარბაზი მოწყობილი. ამათგან ერთი - ფოიე, კვდლის სარკეებით, სპარსულ ყა-იდაზე მოკაზმული ოქროს ჩარჩოებით. მეორე დარბაზი ბუფეტის 5 ოთახს უკა-ვია.

„როდესაც თეატრში შედიხართ, გა-ოცებით ლოყების ქვედა იარუსი, მორ-თული ფართე და ნახი არაბესკით თეთ-რი და ცისფერი ფერისა, ღია-იასამნის-ფერ ფონზე.“

მის თავზე ლოყათა პირველი რიგი განიერი ოქროს ზოლით არის მორთუ-ლი, რომელსაც მთელს გაყოლებაზე სი-მეტროულად ჩართული ვერცხლისფ-რად მონახტული ყვავილებით სავსე ლარნაკების გამოისახულებები კვეთს.

ზედა გალერეა, ბალუსტრადის მაგიე-რად, შემოფარგლებულია განსაკუთრე-ბულად რთული კამბულობით შედგენი-ლი თეთრი გამჭვირვალე ლითონის ბა-დით, რომელსაც შიგადაშიგ ოქროს ზო-ლი მიუყვება, ხოლო ადგილ-ადგილ ამა-ვე ხასიათით შესრულებული კელაქტრე-ნი აფერიგვინებს. პირველი გვერდითი ლოყები მორთულია ცნობილი არაბული ორნამენტით სტალაქტიტების სახისა, აგრეთვე ეწ. არაბესკებით, რომლებ-ზეც, როგორც დარბაზის სხვა ნაწილებ-ში, მეორდება ოქროსფერი და ფირუ-

ძველი თბილისი

იოსებ ბრიაშვილი

საქართველოს გული

თუ მამადავითის მთაზე ახვალთ და გადახედვით თბილისს, ნარიყალის ციხის კალთების გასწვრივ თქვენც მიხედველობის წინაშე გადაიმოლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ძველი თბილისი ეწოდება. ნახევრად დანგრეული კედლები ნაამაგ-დარი ციხისა მთის მალდობიდან ქვე-ვით ეშვება, მაგრამ შუა გზაზე სწყფე-ბა. თუ ამ ნანგრევებს გონების თავა-ლით გააგვირძლებთ, ხაზი დაეშვება მტკვრისაკენ და გავა მეტეხის ციხის პირდაპირ. ეს იქითა მხარეა. აქეთა მხარის გალავანი კი, დაახლოებით ძველი სემინარიის გვერდით რომ არის დაქანებული, ეს ნარიყალის დუ-ლაბიც მტკვარში ჩადიოდა.

აი, ამ რკალშია მოთავსებული ძვე-ლი თბილისი, ხოლო ამ გალავნის აქე-თა მხარეს დარჩენილი ადგილი, - „გა-რეთუხნად“ იყო ნოდებული. ძველად ამ გარეთუბანს გარემშო ბაღები და საიაღალო ველი ერტყა; ეხლანდელი ალექსანდრეს ბაღი წინათ სასაფლაოს წარმოადგენდა, კუკიის ხიდსა და ხიდს შუა ჭილა იყო. ნაზირბაღთან კი - ლასტის ხიდი.

მაგრამ ჩვენი გულისყური თბილი-სის განსაზღვრული ნაწილისკენ არის მიპყრობილი. ტერიტორია: თათრის მოედანი, კლდის უბანი, ავანანთი ხე-ვი, ლელეთა ხევი (ბოტანიკური ბაღი), ისნის ყელი, პატარა და დიდი სირაჩხა-ნის არემარე, მეტეხის ორივე ხიდის ფარგლები, - მტკვრის მრეგვიდან ბა-ყალხასამდე, აბანოების მდამო, სეი-დაბადი, ორთაყალა, ხარდული და მისი მიჯნა - დავიჯის კარი.

დავინწყით თათრის მოედნიდან. თბილისი ცნობილია, როგორც სა-ვაჭრო ცენტრი. ამ საეაჭრო ცენტრად თათრის მოედანი ითვლებოდა. აქ მო-დიოდა ყოველგვარი საქონელი და სურსათ-საწონვეც:

შორაგალოდან, მარნეულიდან და დურნუყიდან - ფქვილი, ხორბალიც;

ყარაიაზიდან - ბრინჯი;

აღღამიდან - საზამთრო;

ზაქათალიდან - „ლეკური მსხა-ლი“;

მსლოდანი - ყველი;

თუშეთიდან და ყარაბაღიდან -

ცხვარი, მატყლი, ერბო;

მამამლიდან - კვერცხი;

ჯალალოლუდან და მანგლისი-

დან - კართივლიც;

ლაშაალუდან - კარაქი;

ყულფიდან და ქალზმანიდან (ალ-

ზეგანიდან) - მარილი;

ბორჩალოდან - ბოსტნეულობა:

ხახვი, ხაღრიჯანი და სხვ.;

თათრის მოედნის შუაგულში გა-მართული იყო ყაფანი - დიდი სასწო-რი, საიდანაც საქონელი მცხოვრებ-

ლებსა და ვაჭრებს ურიდებოდა.

აი, ეს ეხლანდელი განაპირებული მოედანი იყო თბილისის გული, რომელსაც სოფელი აწვდიდა თავის ნა-წარმს.

ერთი პატარა დეტალი:

სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქოთვაჭრებს.

როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამარ-თული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაჭრათ. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუმეგებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო გა-ჭართა და სოფელთა აღზე-მიცემობა.


ქალაქის ენა

ქალაქის მოსახლეობა მუდამ ქრე-ლი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ერთ მეტყეე-ლებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართუ-ლი ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არა-ბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის მე-სისხლობრივებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა ფრთხილად მონარსუქა სხვადასხვა ენის ნახზაგოვანი სიტყვები და მისცა თავისუბური ყველაზე მზესუნობა. თან-დათანობით ეს სიტყვები იმდენად შეცვლილა და ხშირად ქართული გა-მოთქმისთვის ისე შწონიანდ გაკეთე-ბულა, რომ ამ ლექსიკას ვერც სპარსე-ლი და ვერც სხვა რომელიმე ერი მხო-ლოდ თავის საკუთრებდ ვეღარ მიიჩ-ნევს; ან კი „ერთ არიან უშწონი არაბუ-ლი სიტყვები „კუფხისტყაოსანში?“ მამ რუსთაველის თხზულება დამცირებუ-ლი იქნება არაბულისა და თათრული სიტყვების ხმარებისთვის?“

სხვადასხვა მოდგმისა და სხვადას-ხვა ენაზე მოლაპარაკე ძველი მოქლა-ქენი უმეტესწილად თბილისის განაპი-რა უზენაესი ცხოვრობდნენ; აქ ესენი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, სწავ-ლობდნენ ერთმანეთს ენას და ამ მუდმივი ურთიერთობის შეგავლნით თბილისის ქართული ენაც განსაკუთ-რებულ ინდივიდუალურ და კოლორი-ტულ უღვევრს იღებდა.

ეს ერთერთ ზეგავლენა უფრო მე-ტად ძლიერდებოდა იმით, რომ თბილი-სი კულტურული, პოლიტიკური და ეკო-ნომიკური ცენტრი იყო არამც თუ სა-ქართველოს მკვიდრ მცხოვრებთათვის, არამედ გარემქთათვისაც. გაეიხისათვის ლეონ მელიქსიძეგვის მოხსენება:

„ქართლის ზეგავლენით თბილი-სის სომხურმა დიალექტმა ისეთი ფე-ნეტიკური ნორმები შეჰქმნა, რომ სამა-გალითო გახდა თვით სომეხთათვისაც, იმდენად სამაგალითო, რომ სომეხთა ცნობილმა მწერალმა და ქედაგომა, ან განცენებულმა ღაზარის აღიანანა სომხური ბგერების შესახებ თავის 1874 წ. გამოცემულ ნიშნში „დასავ-ლურ“ სომხებს, რომელთაც უყვარე-ბოდათ ჩვენს მწერლობაში დიხა მოხ-დენილმა და შწიანანმა საუბრის კილომ,



ლითი აეღოთ თბილელი სომეხებიდან, რომელნიც თავის მხრივ განვრთნილი არიან ქართველების მიერ.“

მოვიგონით აგრეთვე, თუ რას ამ-ბობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში თბილისის მოსახლეობის შესახებ: „...ტფილისის მსახლობელნი არიან ციხე-სა და სვიდაბადს სპარსნი მაჰმადი-ანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სო-მეხნი დამცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა“.

ამავე საგნის, თბილისის განსა-კუთრებული კოლოს შესახებ, არ რას სწერს პეტრე მირიანაშვილი ილიას ლექსში: „საზოგადოთ ქალაქელი სომხობა და მასთან ქართველობაც კი-ედ ლაპარაკობს ისეთ ქართულს, რომ გულდასმით დამკვირვებელი არავტ-ძერივას სიტყვასა და სიტყვის საქ-ცევს უპოვის. თქმა არ უნდა, ქალაქი, ფრთხილისა და ხელყოლის მუშაკი, მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავ-ალ ობოლ მარგალიტს შესძენს, მხო-ლოდ მეტის-მეტად საჭიროა ფიხი მოი-კიდოს ჩვენს მწერლობაში დიხა მოხ-დენილმა და შწიანანმა საუბრის კილომ,

ბიდანა განტვირთული, - არის ქარ-თული ენის შემადგენელი ნაწილები, მისი ჯიგარია და არა გარმიანული სიტყვები. მეტსაც ვიტყვი: ზოგი სიტყ-ვა თბილისში უფრო მეჩახულია, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხე-ში. ამაიტომ თბილისური ლექსიკური მასალაც რომ იყოს გამოყენებული სა-ლიტერატურო ქართულითვის, მაშინ ეს სალიტერატურო ქართული უფრო მოგებული დარჩებოდა.

არავინ უნდა შემინდეს ქალაქური ენის სიჭრელით. უსხრიან დროთაგან მიღებული ლექსიკური მასალის ვერ მე-უქლიან დაამახინჯოს ენა, რომლის სი-ლამაზეც ჩვენ უნდა ვეძებთ მის სა-კირო ავეტულებში, მის საერთო ბუ-ენებაში, მის საერთო სინტაქსში.

მაგონდება ალ. სარაჯიძელის პა-ტარა, მოხდენილი წერილი:

წმინდა ქართული
(ფილიოლოგიური ტრაქტატი)
ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის ნახდენას!
ნაივდა, აღარ ისმის წმინდა ქარ-თული, ტბილი ქართული...
ვისი ბრალია? ემდურთან მეტადრე ჩვენს მწერლებს. ყველაზე მეტად მა-გათ გარყვნეს ენაო.
დაიას, სამართლიანი საყვედურია, რადგან ქართველ მწერლისათვის ქარ-თულის ცოდნა სავალდებულო როდია. მაგრამ ენის ნახდენაში, მწერლების გარდა, დიდი ბრალი აქვს ჩვენს ვაჭ-რებსაც, რომელთაც რუსული სიტყვე-ბის ხმაირება განაილგება ჰჭოროთა.
ამას წინათ ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მითხა:
„ერთოს მანუფაკტურის მაღაზია-ში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩ-კები იკითხა.
- რა საროჩკები გნებავთო, ჰკითხა კუპენმა, პალატნიანი თუ მოლკოვი?
- მე წესნად გაზრდილი არა ვარ, სიტყვეზდეს საღალსნი ვარო.
ჩამოიღო პრიკაშნიკა პოლკიდან ერთი აპარკ საროჩკა და დაუნყო პრი-ლავეკაზედ.
პრისტავმა გადაარჩია ოთხი სა-როჩკა სხვა-და-სხვა ფერისა: ლილი-ვი, გალუბოვი, კარიწივი და სირინი-ვი. ბუმბაგამ გაახვევინა და ჩაიდი ვეშქებით ცხენილს საკვირაჲში.
- სხვა ხომ არა გნებავთ-რა? ჰკითხა კუპენმა: ნოვომოდინ საიუბეკ მერსტანოი მატერეები მაქვს, სუქნი, ლოინსკი ბარხატი, ფაი, პაღელის სა-პირე, ზურსი, ნაირ-ნაირი მოლკოვი მატერეოი.
- არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვი-ყიდო, - უპასუხა პრისტავმა, - საროჩ-კებში რა უნდა მოცეც?
კუპენმა ჩოთკი ჩააგდო: თითოში - დვა რუბლი ტრეცეთ, სუმა დევიით რუბლეთ დევატთ კაკიკის იზამს.
იკრა პრისტავმა კარმანზედ ხელი და... გრომო-კამეპეი არ გამოაჩნდა,

ზისფერი. ავანსცენაზე - თეთრი ცისფე-რით კედლის ნაძერწი, მსუბუქად გამო-იყოფა იასამნისფერ ფონზე, ხოლო ცენ-ტრალურ ნაწილში მოთავსებულია გა-უმჭვირვალე მინის საათი. თეატრის სიღრმეში, ოქროსფერი, მავრიტანული გუმბათის ქვეშ მოჩანს ხელმწიფის ორი ფა, ოქროებით შემოფარგლული ლო გვერდითი ლოყით.

თეატრის პლაფონი ცისფერი ფერი-საა, ოქროსფერი არაბესკების მწკრი-ვით, მას უჭირავს რეგანახაგა ჭჭიროლი ფერნის ფორმის ჭაღი, რომელსაც ყვე-ლა მხრივ ჟირონდალეობითაა და მეზნა-მული ფოჭები აკიდია.

მოაჯირს ცისფერი ხავერდი აქვს გა-დაკრული - გარემოსავლელი დერეფა-ნი გამიზნულად არის შეღებილი მჭახე ნითელ ფრად, კუფოური წარწერით დამ-შვენებული ფართე ზოლით, რომ თავალ-თახედვაზე მისგან მოხდენილი შთაბეჭ-დილებით მეტად ნაზი და პეროვანი მო-გეყვნვით თეატრის ინტერიერი“...

გაგარინს ეკუთვნოდა სათეატრო ფარდაც რუსეთისა და საქართველოს ალგეგორიული ფიგურებით. თავის ალ-ბომში გაგარინმა გამოაქვეყნა თბილი-სის თეატრის მთლიანი ხუროთმოძღ-ვრული პროექტი, რომელიც არ განხორ-ციელებულა. ფასადის საფუძვ



რა არ შეიძლება იფიქროს ისტორიების მთხველმა კაცმა ამ ფოტოს ხილვისას, რა თავგადასავალი არ შეიძლება მიაწეროს მან ამ ახალგაზრდა ქალბატონს, მაგრამ ამბავს, რომელიც მისი ცხოვრების დასასრულს მომხდარა, ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენს... ვერ წარმოიდგენს არათუ რიგითი, არამედ მეისტორიეთა შორის ყველაზე გამორჩეული, ყველაზე მძლავრი წარმოსახვის მქონე კი...

ამბავი ასეთია:

ვრცელ, მალაქერიან, მდიდრულად მოწყობილ ოთახში ბოშები შედიან... კაცები და ქალები - ყორნისფერი, მზინავი თმებით, აბრეშუმის პერანგებითა და ჭრელი კაბებით, გიტარებითა და დაირებით... ერთ მათგანს, ჟილეტიანს, ვიოლინო უჭირავს ხელში... დაძაბულობა ეტყობათ, თავიანთი მოდგმისთვის და საქმიანობისთვის უჩვეულო... ამ დაძაბულობას ოთახის შორეულ კუთხეში მწოლიარე ქალბატონი ღმომილითა და ხელის აქნევით ფანტავს...

სწყდება აკორდი გიტარას...

ინწყებენ ჟღარუნს ზანზალაკები...

ვიოლინოს სიმსაც გადაესმება ხემი...

ნამიც და აფრილდებიან ჭრელი კაბები, ოფლის წვეთები დაჩნდებათ სპილოს ძვლისფერ მკერდებს...

ხმებით და ფერებით აივსება მანამდე მდუმარე სივრცე...

თვალებში შუქი ჩაუდგება მწოლიარე ქალს...

ქალს, რომლის უკანასკნელ სურვილს, სიკვდილის წინ ბოშები მომიყვანეთო, პირნათლად უსრულებენ მეგობრები შორეულ პეტერბურგში...

ასევე პირნათლად უსრულებენ ისინი კიდევ ერთ სურვილს - გარდაცვალების შემდეგ მის ფერულს ქართულ მინაზე აბნევენ...

ამ ქალის სახელი და გვარი ლენა მიქელაძე გახლავთ...

რაც შეეხება ფოტოს, რომელზეც ის მეგობართან ერთად ალბეჭდილი, გადაღებულია 1909 წელს ლვოვში, ატელიე „რემბრანდტის“ ფოტოგრაფ ზავადსკის მიერ...

გახუნებული აზრმა

ქართული თეატრის დაბადება

მარიკა წულაძე

ქართული პროფესიული თეატრის დაბადება, უშუალოდ, დაკავშირებული XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობასთან, განსაკუთრებით, გიორგი ერისთავის, მანანა ორბელიანისა და სხვათა „მეცადინეობასთან“, მაგრამ რა თქმა უნდა გადამწყვეტი „ხმა“ მაშინ იმდროინდელ მთავარ-მართებელ ვორონცოვს ჰქონდა...

თბილისში 1845 წლიდან მუშაობს რუსული თეატრი, ამას გარდა „ვოლტიჟორები“ და „აკრობატები“ აწვენებენ თავიანთ ნომრებს. არსებული ცირკისმაგვარი „მექანიკური“ თეატრი და ძაღლების კომედიაც. 1846 წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი ამის გამო თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „აქ მალიმად ტანციაობა აქვთ, ღაიარებიან ხან თეატრში, ხან ვოლტიჟორებთან და აკრობატების სანახავად, ხან მექანიკურ თეატრში და ძაღლების კომედიაც არის. წარმოიდგინეთ, სამთავე ამ გართობას კვირაში სამჯერ წარმოდგენა აქვს და მუდამ ხალხით სავსე.“ ყველაფერი თითქოს არის - მეჯლისეთან ერთად იმისათვის, რომ ხალხი, მოაზროვნე ნაწილი, გაერთოს და არ იფიქროს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საკითხებზე; მაგრამ მაინც არსებობს სალონები, სადაც იბადებოდა და მნიფდებოდა ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი. ერთ-ერთი ასეთი მომნიშვნელოლი საკითხი სწორედ ქართული თეატრის გახსნის საკითხი იყო...

ვორონცოვი თანახმა და იმპერატორ ნიკოლოზ I-თან აგზანის საიდუმლო დოკუმენტს: „ვბედავ, ვიფიქრო, თქვენო იმპერატორისობის უფიდგულუესობავ, თქვენ ინებებით და სცნობით, რომ ასეთ საქმიანობას (იგულისხმება ქართული თეატრის დაარსება - მ.წ.) შეუძლია ხელი შეუწყოს მეცნიერების და გემოვნების განვითარებას, ზნეობის ამაღლებას და „ტუზემცების“ რუსებში გათქვეფას.“ „ტუზემცებმა“ მიღებული იყო ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო ნაწილიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ „ტუზემცებს“ მრავალსაუკუნოვანი კულტურა ჰქონდათ რუსეთთან შეერთებამდე. შეერთების შემდეგ კი არანაკლები მიღწევები ჰქონდათ ლიტერატურაში, მიუხედავად რუსეთის მუდმივი წნეხისა. ყველაფერი შეიძლება შეზღუდო, მაგრამ ფიქრის შეზღუდვა შეუძლებელია და სწორედ თავისი ნაფიქრი გადაქონდათ პოეტურ ფორმაში ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ერისთავს თუ სხვებს და იქნებოდა საუკეთესო ნაწარმოებები... პარათაღი, ვორონცოვმა საიდუმლოდ გვიწოდა „ტუზემცები“, მაგრამ საზოგადოებაში ქართული თეატრის გახსნის უფლება კი მიიღო. გასაოცარი იყო ის ფაქტი, რომ გიორგი ერისთავი სოფლიდან, ამ საკითხთან დაკავშირებით, თვით ვორონცოვმა გამოიძახა მოსალაპარაკებლად. გიორგი ერის-

თავმა საცდელ დადგმად პიესა „გაყრა“ აირჩია. გაზეთი „ივერია“ შემდეგში წერდა: „ვორონცოვმა წარმოდგენის წინათ მიანდო ცენზორობა ამ პიესისა ვასილ იოსების ძე ბეზუთოვს, რომელსაც წაუკითხა თვით ავტორმა, წაკითხვის დროს ბეზუთოვი სიცილით აღარ იყო თურმე. მოახსენა ვორონცოვს, რომ დამატკოლებელი მიზეზი არა აქვს პიესის წარმოდგენასო.“ ასე რომ, ვორონცოვმა გიორგი ერისთავს დაავალა სცენისმოყვარეთა დახმარებით დაედგა ეს პიესა.

გიორგი ერისთავი დაუყოვნებლივ შეუდგა „სამზადისს“. შეაგროვა სცენისმოყვარეები. გაანაწილა როლები და დაიწყო რეპეტიციები. ეს მოხდა 1849 წელს... მაგრამ ყველაფერი ადვილად არ მიმდინარეობდა. „ია-ვარდებით“ ამ საქმის შესრულების გზა მოფენილი არ ყოფილა - გ.წერეთელს უწერია: „რომელი ერთისთვის უნდა გაეძლო გ. ერისთავს. ბატონიშვილის მარიამის ტუქვისისა, პლატონ იოსელიანის ხეპრობისა, რევაზ ერისთავის ხრიკებისა, თუ ფალიაშვილის ქართულ-რუსულის გამოთქმებისათვის.

მართლაც რომ გ. ერისთავი საქმეს თავს ვერ მოაბამდა, გონებადამჯდარი ქეთევან ორბელიანი, დიდი გიორგი იესეს ძე ერისთავის ასული რომ არ გაჩენილდა მფარველად. ქეთევანმა მტკიცე ხასიათი გამოიჩინა. ის არ შეუშინდა არც რევაზ ერისთავის ხრიკებს, არც ბატონიშვილის ზეჟარას, თანაუგრძნობდა თავის ნათესავის ნიჭს, წინდანინ გულში იხატავდა, რა დიდ საქმედ იქნებოდა მომავალში ქართული თეატრის დაარსება. აი ამ ქალმა მიიმხრო სხვა წარჩინებული გვარის ქალებიც, რო-გორც, მაგალითად, ბაბაულ ანდრეევისკისა, ან ოგოდოხოისი, ან გაგარი-ნისა.“ სპექტაკლის სამზადისზე დამატებითი ინფორმაციებია გაზეთ „ივერიაშიც“: „რეპეტიციები იმართებოდა სენატორის გიორგი ერისთავის შვილის სახლში (კუკიის ხიდან). მისი რძალი ელენე მასპინძელი იყო თეატრის მოყვარულთა, მისი ქალი ქეთევან (მამუკა ორბელიანის მეუღლე) გამძლოლი, რიგის მიმცემი, ავანჩაგანი იყო მთელი ამ საქმისა.

რეპეტიციებს ძალიან დიდხანს თურმე არ მოუწდნენ, როგორც მოყვარულთა წესია, რადგანაც ყველამ ზეპირად იცოდა პიესა, მხოლოდ ორი-სამი კვირა მოუწდნენ. გიორგი ერისთავი (ავტორი) თითონ რეჟისორობდა და ერთ როლსაც თამაშობდა.“

გიორგი ერისთავი თამაშობდა მიკირტუმ გასპარიჩის როლს.

აქედ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პიესისთვის სპეციალურად დამზადდა დეკორაციები ცნობილი მხატვრის გაგარიჩის ხელმძღვანელობით.

ამბობენ, უკანასკნელი გენერალური რეპეტიცია თვით ვორონცოვთან ჩატარდა. მთავარმართებელი შიგადაშიგ რეპეტიციებსაც ესწრებოდა თურმე.



და ბოლოს, როგორც იქნა, გამოიკრა პირველი ქართული სპექტაკლის აფიშა:

თბილისის გიმნაზიის ზღაპრი ქალაქის ღარიბი ხალხისთვის ორშაბათს 2-ს იანვარს 1850 წელსა წარმოდგენილი იქნება

მიხეილ და ქრისტინე (ფრანკიცულად) ითამაშებენ: თ. დონდუკოვი-კონსაკოვი, ბარონესა მენდორფ მინჩაკი და ბაშმაკოვი შემდეგ წარმოდგენილი იქნება პირველჯერ ქართულად:

გაყრა კომედია სამ მოქმედებად. თხზ. თ. ერისთავისა თავადი ანდუფადრ თ. ალ. ორბელიანი პავლე, ძმა მისი თ. ოქ. ორბელიანი ივანე დ. ი. ყიფიანი კნენა მაკინე ბ. გ. ანდრეევსკისა კნიაჟნა ნინო ნ. ა. ორბელიანისა მისკირტუმ გასპარიჩ თ. გ. ერისთავი თათელა, ცოლი მისი კნ. ქ. ორბელიანისა შუშნა, ქალი მათი კნ. ან. ორბელიანისა თავადი რამაზ, სეკრეტარი გ. ო. შანშიევი თავადი ბარძიმ თ. ა. ერისთავი ბარამ მოურავი თ. ნ. ერისთავი გაბრიელი მ. გ. ჭილავეი იმერელი თ. გრ. ერისთავი ყარვამერდი კნ. მ. ერისთავისა ასეთი იყო იმ ადამიანთა ჩამონათვალი, რომლებმაც, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა თვით ქართულთა მხრიდანაც კი, მაინც მონაწილეობა მიიღეს თითოეულის თვალსაზრისით „საშვილიშვილო საქმეში“. თუ დაეკვირდებით აფიშას, ხშირად შეგხვდებით სახელების წინ „თ“ ან

„კნ“, რაც „თავადის“ და „კნენისა“ მოკლე აღნიშვნა იყო აფიშაზე. ბუნებრივია, აფიშა წინასწარ მონაწილეების მიერ მისი გაცნობის გარეშე არ დაიბეჭდებოდა. აქედან კი გამომდინარეობს, რომ თვით ისინი არ თვლიდნენ ამის განსაკუთრებულად ხაზგასმას საჭიროდ, რადგან ისინი ქართველებისათვის აუცილებელი საქმის უბრალო წამომწყებად თვლიდნენ თავს და, ასე რომ, საზოგადოებაში საკუთარი მდგომარეობის გამოკვეთა აუცილებლად არ ჩათვალეს, რაც თითოეულის პიროვნებაზე და საზოგადოებრივ პოზიციაზე თავისთავად მეტყველებს...

წარმოდგენას უამრავი ხალხი დასწრებია. ილია ორბელიანი გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ბოლეთების შოვნაში თავის მტკრევა იყო.“ გიმნაზიის პატარა დარბაზი ვერ იტევდა მოსულ ხალხს. ქართველების გარდა იყვნენ რუსები, სომხები და სხვა ეროვნების ხალხი. დაესწრო თვით ვორონცოვი მთელი თავისი ამალით.

სპექტაკლის წარმატება უდავო იყო: აღფრთოვანება, სიცილი, მზიარულება, ღიმილი, კმაყოფილება და ბოლოს ტაშის გრიალი. ყველაფერი ეს ამოვიკითხეთ იმდროინდელი პრესის გადათვალეერებისას. ამაზევე მეტყველებს ერთ-ერთ სტატი-აში აღნიშნული ფაქტი: „მეორე დღესვე ბაზარში იმორებდნენ მთელ ფრაზებს, რომლებიც მთლიანად აღებული იყო კომედიიდან. და მრავალ სახლში, სადაც შეიძლება არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი - სახელი თავადი ერისთავისა გახდა ცნო-საზრისით „საშვილიშვილო საქმეში“. თუ დაეკვირდებით აფიშას, ხშირად შეგხვდებით სახელების წინ „თ“ ან

და ამას.“ როგორც ჩანს, სპექტაკლის შემდეგ აღიარება იყო სახალხო. ამას კი ქართული თეატრი ყოველთვის ვერ აღწევდა და ვერ აღწევს ახლაც... წარმატების კიდევ ერთი დასტური იყო ისიც, რომ ამ წარმოდგენის შემდეგ „გაყრა“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა, ხოლო აპრილის მინურულში ცალკე წიგნადვე დაიბეჭდა პიესის რუსული თარგმანი. რუსულ გამოცემას ორივე ადგილობრივმა გაზეთმა, „კავკაზმა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკმა“ უძღვნა სტატია. უკანასკნელი გაზეთის წერილის ავტორი იყო ცნობილი რუსი მწერალი იაკობ პოლინსკი, რომელიც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა. იგი წარმოდგენასთან დაკავშირებით წერდა:

„როცა კომედია „გაყრა“ მე პირველად ვნახე სცენაზე, რომელსაც ასრულებდნენ ქართული არისტოკრატული წრიდან გამოსული პირები, თუმცა ქართული ენის არაფერი მესმოდა, მაგრამ პიესის შინაარსი მაინც გავიგე და არ შემეძლო არ გამეცინა. უშესანიშნავეს და კეთილშობილ არტისტთა უმაღლეს ხარისხოვან გარკვეული თამაშით უნებლიედ გამოვიპირნი სინამდვილესთან ისე სიმართლის დგანან, რომ მათთვის მიზავე ძლიერ ადვილია, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომელნიც ამათ მზგავს ტიპებს შორის გაიზარდნენ.

პიესა ყველას მოეწონა და რაც ყველაზე უფრო სახარბიელოა, მისი წარმატება კი არ განისაზღვრა მხოლოდ სათეატრო დარბაზის კედლებით, რომლებიც ტაშის გრიალით და ამსრულებელთა სცენაზე გამოძახილით ირყეოდა, არამედ პიესა წარ-

მოდგენის შემდეგ მეორე დღესვე იქცა სახალხოდ.“

წარმატებაც არის და წარმატებაც. როგორც ადრე აღვნიშნეთ, პიესის დადგმას მოწინააღმდეგენი ჰყავდა ამა თუ იმ მოსაზრების გამო. ახლა კი, 2 იანვრის შემდეგ, პიესის, მანანა ორბელიანის სალონში ხელმოკრედ წარმოდგენისას, ერთ-ერთ მთავარ როლს სწორედ ეს ერთ-ერთი მოწინააღმდეგე თამაშობდა და ეს გახლდათ ორბელიანის სახლში დაიდგა, პლატონი ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი იყო, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა საზოგადოებას.“

შეიძლება ითქვას, სპექტაკლის წარმატებამ მოწინააღმდეგეებისგან სრული კაპიტულაცია გამოიწვია!

გადიოდა დრო „გაყრას“ პირველი წარმოდგენიდან, სპექტაკლის პირველი დღიდან, მაგრამ შთაბეჭდილება არ ნელდებოდა. ქეთევან ორბელიანის მოგონებებში ამოვიკითხეთ: „სწორედ გაუთავებელი ღზინი და ქორწინება იყო „გაყრის“ რეპეტიციები და თვით წარმოდგენა, კვირებმა და თითქმის თვეებმა გაიარა პირველი წარმოდგენის შემდეგ და ღზინი გაუთავებელი იყო.“

„თეატრი დღესასწაულიაო“ - დაწერს შემდეგში მარჯანიშვილი. ზეიმია, დაბ ზეიმია, რომელიც ტკივილით იბადება, მაგრამ მაინც ზეიმია. იმიტომ, რომ პიესა „გაყრა“ ქართულად საჯაროდ პირველად წარმოდგენით - 2 იანვარს (ახალი სტილით 14 იანვარს) იზეიმა არა მხოლოდ იმდროინდელმა საზოგადოებამ, არამედ დღემდე ზეიმობს ქართული თეატრალური საზოგადოება, ვინაიდან ამ „ზეიმში“ დაიწყო ქართული პროფესიული საჯარო თეატრის ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება. თუმცა, გრძელდება სხვადასხვანაირად, ხან აღმასვლით, ხან კი პირიქით. ეს ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა საქმიანობის გამოხატულებაა. მოღვაწეების, რომელთაც „დაღმნილი“ ცხოვრება არასოდეს ჰქონიათ, მაგრამ მაინც ემსახურებოდნენ თავიანთ საქმეს, საზოგადოებას, და ბოლოს აკეთებდნენ იმას, რაც მათ ყველაზე მეტ სიამოვნებას ანიჭებდა. რატომ?! ნუთუ არ შეეძლოთ სხვა სფეროში ემუშავათ, სადაც კეთილდღეობა უფრო გარანტირებული იქნებოდა?! ნუთუ არ იყო მათთვის მთავარი ოჯახის და ახლობლების ინტერესები?! რა ხალხი იყო ეს თეატრის მოღვაწეები, რომლებსაც საკუთარი თავის კარგად ყოფნა გაგივივებული ჰქონდათ თეატრში ცხოვრებასთან?! ყველაფერი ამაზე შემდეგ, თანმიმდევრულად... ახლა კი ქართული პროფესიული საჯარო თეატრის პირველი სპექტაკლი შედგა და შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი დაიბადა; რაც იმდროინდელ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა დიდი დამსახურება და გამარჯვება იყო.



აზოჯა!!!



... იგი ამბობდა:
 - აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვაკი, თუ წუთით მაინც შეგვიყროს ფიქრი, - საღვაც ვიღაცას სცემა, საღვაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, საღვაც ავადმყოფი ფრინველი კანკალავს გუჩის ძირას, ანდა ცხოველი წამუშუნით ილტვავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.
 რევაზ ინანიშვილი

სახლობანა - საყვარელი თამაში

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო,
 ჩიტმა-ჩიორამაო საძირკველი გადგაო...“
 (ხალხური)




გინახავთ, როგორი ჟრიაბულით, ხალისითა და მონდომებით აშენებენ მერცხლები ბუდეს? უკეთეს სანახაობას ძნელად თუ წააწყდება კაცის თვალი ამქვეყნად! ძალიან ინდომებენ, ბეჯითად ირჯებიან: ნისკარტით ეზიდებიან ტალახს და თივას, ნისკარტით ლესავენ კედლებს. აშენებენ სახლს, სადაც უნდა იცხოვრონ, დაჩეკონ და დააფრთიანონ თავიანთი შვილები.

სახლის აშენება გამორჩეული რიტუალია ნებისმიერი სულდგმულისათვის.

ადამიანი კი, ღმერთისგან შექმნილი ყველაზე გონიერი არსება, ამ რიტუალს სამყაროს მოდელს უკავშირებს. ბოლო წინადადების გაგებაში, ალბათ, ძალიან დაგვეხმარება ქალბატონ ელენე კოშორიძის ლექსი „ჩვენი სახლი“, რომელსაც გაზეთის მომდევნო გვერდებზე წაიკითხავთ.

აბა, დააკვირდით: რა კარგად შეიძლება ამ ლექსის გათამაშება! ლიბრეტოდ გამოყენება და მისი ეპიზოდების დადგმა სკოლის სცენაზე ისე, რომ წარმოდგენის მონაწილეებმა მართლა ააშენონ პატარა სახლი, ჭა, თონე...

ცნობილია, როგორ უყვართ გოგონებს ბარბისთან სახლობანას თამაში, მაგრამ, ესეც უნდა ვთქვათ: მაღაზიაში ნაყიდი მზამზარეული სათამაშოები ახლოსაც ვერ მივლენ შენი ხელით გაკეთებულ, თუნდაც არასრულყოფილ, მაგრამ მაინც შენს მიერ „შექმნილ“ უბრალო ბუხრის ნაცრის საჩხრეკ ჯობთანაც კი.



ჩვენი სახლი

ელენა კოპორიძე

შექმნა ღმერთმა ეს სამყარო,
უნაპირო ზეცა,
მოაბნია ვარსკვლავები,
გზები დაუნსა.

ყველა სულდგმულს ამ მიწაზე
მიუჩინა ბინა

და გვირგვინად შესაქმნისა
კაცი დაადგინა.

უთხრა: "დე, შენ გამსახურებდნენ
ზეციური ძალნი,
სტიქიები: ცეცხლი, მიწა,
ჰაერი და წყალი,
ღვთის ხატი ხარ და იღვანე
ღმერთის შესაფერად,
შენც ააგე ამა ქვეყნად
სათნოების კერა".

ვინყებთ სახლის შენებას

ანგელოზო უფლისაო,
მომანიჭე ძალი,
რომ კურთხეულ დედამიწას
მეც დავატყო კვალი,
ამ მიწაზე მეც რომ ჩემი
სახლი ავაშენო,
დამლოცე და შემენიე,
ანგელოზო ჩემო!

დაიხსომეთ, მეგობრებო,
თქმულება ძველთა-ძველი,
სახლი სახლად მაშინ ვარგა,
თუ მტკიცე აქვს საძირკველი.
მაშ, წერაქვი დავკრათ მიწას,
სიღრმისაქენ გზას რაც გვიკვლევს,
უფალ - ღმერთს შეწევნა ვთხოვოთ
და ქვა დავდოთ სასაძირკველ.

შენ, ბალავრის წმინდა ქვაო,
თლილო ლოდო, საიმედოვ,
დაე, სახლმა შენი ძალა
და სიმტკიცე დაიბედოს,
რომ შენობა იდგეს მყარად,
სიკეთის და ნათლის მფენი,
ძირი მიწის ნიაღვრის ჰქონდეს,
ვარსკვლავებს უმზერდეს ჭერი.

კედლების ამოყვანა

კალატოზნო, ქვით ხურონო,
საძირკველი უკვე მზად გვაქვს,
გავისარჯოთ ჩვენებურად,
შევუფარდოთ ახლა ქვა ქვას.
თეთრო, მრგვალო რიყის ქვაო,
რალაც მინდა რომ გითხრაო,
დათმე შენი ცალკე ყოფნა,
შეელი წყლის პირსაო;
თან იახლე წყალის ძალი,
მადლიც მოგყევს მიწისაო,
ჩალაგდი და ჩაწიკნიკდი,
შედუღადი კირითაო,
ახლა მარტო ქვა კი არ ხარ,
ბურჯი ხარ ქვითკირისაო.
შემოვსაზღვროთ ჩვენი სახლი
ოთხივ კუთხით მტკიცე კედლით,
აღმოსავლეთ-დასავლეთით,
ჩრდილოეთით და სამხრეთით.

გადატახტვა

ახლა სახლი უკვე მყარად,
საიმედოდ იდგება.
მიგნიდანაც ოთახებად
კედლით გადატახტება.
არაფერი გამოგვრჩება,
დარდი ნურვის ექნება,
ყველასათვის საკუთარი



კუთხე მოიძებნება.
დედისათვის, მამისათვის,
დისთვისაც და ძმისთვისაც,
ბებიისთვის, ბაბუასთვის,
ძიძა-გადიისთვისაც.
კედლები რომ მზადა გვაქვს,
ვით კაცს ქუდი ახურავს,
ჩვენი სახლიც დაიდგამს,
გამძლე, კოხტა სახურავს.

გადახურვა

სახლს ჯერ ჭერი არა აქვს,
ცაა სახურავიო,
თეთრო მტრედო, გაფრინდი,
მიდი, მზეს უთხარიო:
მზეო, ჩამოიხედე,
სახლს მოავლე თვალიო,
თუ გინდა, არაფერი
დაგრჩეს უნახავიო.
ვიდრე გვიან არ არის,
ვიდრემდე დრო არიო,
ვიდრე სახლს თავს ეფრქევა
ციური ცვარ-ნამიო,
ვიდრე შინ თავისუფლად
დაქრის ნიაფ-ქარიო,
ვიდრე გაგვირანდია
ძელი და ფიცარიო,
იჩქარე, მზეო, იჩქარე,
სულზე მოუსწარიო...
თორემ, მოვლენ ხურონი
და ჭერიც მზად არიო!..

კარი - ზღურბლის დარაჯი

განა სახლი მთელ სამყაროს
გაემიჯნა სრულიად?
ერთი წმინდა ადგილი აქვს,
ეს ადგილი ზღურბლია.
ელოდება დედამიწა
ჩვენს გაბედულ ნაბიჯებს,
გარეთ მხოლოდ მაშინ გახვალ,
ზღურბლს თუ გადააბიჯებ.
აი, მგზავრიც დაქანცული:
შორი გზებით უვლია,
პირველი, რაც ეგებება,
ისევ კარის ზღურბლია.
მაგრამ სულ ხომ ვერ იქნება
მოწმენდილი ამინდი!
ხან წვიმაა, ხანაც თოვლი,
ხან ძლიერი ქარი ქრის.
ამიტომაც ჩავაყენეთ
კარი ზღურბლის დარაჯად,
მოგინდება, - გახსნი ფართოდ,
მოგინდება, - ჩარაზა.





სარდაფი, სხენი, აივანი, ბანი, ერდო

სახლს სიღრმეში სარდაფი აქვს,
ჭერის ზემოთ სხენია,

აივანი, ბანი, ერდო -
მზის სხივებს შესცქერიან.

სახლი დასრულდა

და დგას მტკიცედ ჩვენი სახლი
წვიმასა და ავდარში,
ლამაზია გაზაფხულზე,
ლამაზია ზამთარში.
ლამით, მთვარე რომ დაჰნათის,
დილით, მზე რომ ადგება,
ბანზე გავალთ, ცას შევხედავთ,
როცა მოგვენატრება.
დრო არის, რომ ამეტყველდნენ
ეს მღუმარე კედლები.
ფუნჯს ავიღებ და ბუნებას
ფერებს დავესესხები.
ზეცამ მომცა სილაჟვარდე,
წითელი კი - ვარდებმა.
ცისარტყელას ყველა ფერი
სახლშიც აელვარდება.
ეს კედელი მწვანე არის,
ეს კი - ოქროსფერია,
ჩვენი სახლი, აი, ახლა
ცისებრ მშვენიერია.

ავეჭი

ეს რა კარგი, რა ლამაზი
სახლი ავაგეო,
მაგრამ სკამიც კი არ მიდგას,
ზედ რომ ჩამოვჯდეთ,
ახლა შენი იმედი მაქვს,
აქორჩილო ტყეო,
ღურგლობა და ხარატობა
მიტომ ვისწავლეო.
შენ რომ მორები მომეცი,
უკმად არ დავდეო,
გავრანდე და ვხეხე, ვკვეთე,
სულ ვაჩუქურთმეო.
დავამზადე დგამ-ავეჯი,
დავწექ, ვიძინეო,
ტახტი ხმელი გამომადგა,
გვერდი ვიტკინეო.
ავდექი, ცხვართან მივედი,
ცხვარო, მიშველეო,
ქათამმა ბუმბული მომცა,
ცხვარმა - მატყლი მეო;
ახლა, სელო, ლურჯთვალეზავ,
ბამბა მოიხმეო,



ჩითი მინდა საბნისათვის,
საგულისპირეო;
აბრეშუმიც ვაპრიალე,
დავჯექი მერეო,
დავლაშქე და ვაგვირისტე,
ვკერე და ვკერეო.
ფარდები რომ ჩამოვკიდე,
ნოხიც დავფინეო,
ისეც კობტა ჩემი სახლი
სულ დავამშვენეო.
გინდა, ნახო, როგორია?
მოდი, მესტუმრეო!..



ჭა

სახლი სახლად გავმართე,
ახლა ეზოს ჯერია!
საფუსფუსო, საშრომი
როდი გამომელია...
სხვანაირი მადლი აქვს
ადგილს, სადაც წყალია,
ჰოდა, ახლა, ჭას გავჭრი,
ეშრომობ, არა მცალია.
ჯერ ადგილი მოვნიშნე,
ბარი კარგად ავლესე,
მერე მიწას დავკარ და

წყალსაც მივეალერსე.
წყალი ეზოს ვაპკურე,
გავაშენე ბაღნარი.
დამილოცე, უფალო,
ნაშრომ-ნაამაგარი.

ოთხი მძლავრი სტიქია

მიწას დაფუძნებია
სახლი, სიბრძნით ნაგები,
თავს გვირგვინად დაუდგამს
სხივთა შარავანდები,

გამჭვირვალე ჰაერი
ირგვლივ შემოსაღტვია,
ჭაში წყალი ლივლივებს,
კერას ცეცხლი ანთია,
ეზო-კარ-მიდამოში
ია-ვარდი გაშლილა,
ოთხი მძლავრი სტიქია
სახლმა შეაკავშირა.
სახლო, ჩვენო ფუძეო,
ჩვენო ტკბილო კერიაო,
ხედავ, მთელი სამყარო
თავზე შემოგვლებია!

თონე

სახლი სრულად მადლმოსილი
მხოლოდ მაშინ ხდება,
როცა გარჯით მოწეული
პური გამოცხვება.
ამიტომაც უნდა ვსდიოთ
უფლის გზას და წესებს,
თორემ ისე რას მომიკი,
ჯერ თუ არ დათესე.
მოსავალი მოვინიე,
გაიხარე, ჭერო!
ახლა დროა, რომ ეზოში
თონე ავაშენო.
არსობის პურის მომცემი,
დიდი მადლის მქონე,
აღამევით თიხისაგან
მოზელებილი თონე!
თონის შემქმნელ-შემოქმედი
მეთუნეა ახლა,
თიხას სული მან ჩაუდგა -
უფალს შეენაცვლა.
და მორჩილებს, მისდევს თიხა
მის ჯადოსნურ ხელებს...
აი, უკვე ჩამოიქნა,
ქურა გააცხელეთ!
თონეს, ცეცხლზე გამობრძმედილს,
სიმრგვალე აქვს ზეცის,
ვინრო ყელით ცას უყურებს,
ძირით მიწას ეკვრის.
სიცხემ რომ არ შეანუხოს,
მოეუწოდებოთ თავი.
ქვაო, ირგვლივ შემოეღლე,
თონე დაიცავი,
რომ ღვიოდეს ნაკვერჩხალი,
არც როს ჩაინაცროს
და რომ პური არსობისა
მარად გამოაცხოს!

პურის გამოცხოვა

ჩავიარე თონეზე,
მცხოვრეს პური ვუქეო.
ძარღვი მიწისა ჰქონდა,



სხივის - სიმსუბუქეო.
მცხოვრელმა თქვა: "გადმისნა
მიწამ კალთა-უბეო,
იმის მადლიც შევიგრძენ,
ცასაც ყური ვუგდეო,
დავიხმარე მზე, მთვარე,
ქარ-წვიმასაც ვუხმეო,
მეც დღე-ღამეს ვასწორებ,
კვირაა თუ უქმეო".
ვუთხარ, კარგად გარჯილხარ,
როდი გააბუქეო!
ჩავიარე თონეზე,
მცხოვრეს პური ვუქეო!..

დავულოცოთ ახლა ჩვენს სახლს
ყოფნა ახლებური,
ჩვენს თონეში დღეს პირველად
გამოცხვება პური!
გაფართოვდი ეზო-კარო,
თავი მოინოწე,
ნიშნად შენი ზეობისა,
აბრიალდა თონე.
... და ორომი თონისაკენ
ხაბაზს ციმციმ მიაქვს,
ახლა ერთად გამართავენ
ჩვეულ ორომტრიალს.
მოედება სურნელება
ეზოს საამური,
ჩვენი გარჯით მოწეული -
გამოცხვება პური.
ახლა სახლი ღირსეულად
უმასპინძლებს სტუმრებს,
მონყურებულს წყალს შეასმევს,
მშვიერს დააპურებს!
მამ, გახსენით კარ-ფანჯარა,
მზემ აკოცოს ღიობს...
"მზევ შინა და მზევ გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!"

დარის ზღაპრები



„1930 წლის 16 ივნისს მე რომ ჩვეულებრივად არ დავბადებულყავ ქუთაისის მახლობლად, წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიში, ან პატარაობისას რომ დავკარგულიყავ, ტყეში გზა ამხნეოდა, მელას მოვეტყუებინე, ღამეები დათვის ბუნაგში გამეთია, ან მგლის ძუძუ მენოვა, ალბათ, სათავგადასავლო ფათერაკებით აღსავსე მოთხრობებსა და რომანებს დავნერდი... რას იზამ ახლა, რაც არ მოხდა, არ მოხდა. მე არაფერს არ ვიგონებ და ვწერ იმას, რაც მოხდა, რაც მტკენია და გამხარებია, რაც მძულდა და მიყვარს, რაც ძირმწარე ცრემლი მდენია და რითაც გამთენებია. ვწერ და ვწერ. ვაშენებ, ვთოხნი, ვამყნი ვაზს. გაზაფხულზე, ოციოდე წერგს, ჩემს ეზოში რომ ადგილი არ იქნეს, მეზობლისას დავრგავ, ბოლოს და ბოლოს, ქუჩაში დავრგავ, გზის პირზე. დავაქროლებ მანქანას. მე როგორი მწერალი ვარ, რა მოგახსენოთ და, როგორც შოფერი, ღმერთმა მოგცეთ! მოვიგდებ ნაბადს და ვმოგზაურობ ბარსა თუ მთაში. სახლიდან რომ გამოვდივარ, კარს ღიად ვტოვებ, დასაკარგავი არაფერი გამაჩნია. არც მინდა. ვკითხულობ და თვალის კაკლებში ვუყურებ ჩემს ხალხს - რა სტიკია, ან რა უხარია...“, - წერდა 1971 წელს „ავტობიოგრაფიულ ნოველაში“ ბატონი ოტია იოსელიანი, „დარის ზღაპრებისა“ და ჩვენთვის ძალიან საყვარელი მრავალი წიგნის ავტორი. იგი დღესაც ასე ცხოვრობს, - ნაღდი მწერლის ტკივილიანი, მაგრამ სისხლსავსე ცხოვრებით.

ოტია იოსელიანი

დედა-შვილის ზღაპარი

იყო ერთი ბიჭი დაჩი და არავინ ისე არ უყვარდა, როგორც დედიკო. ერთხელ დედა სადღაც წავიდა. დაჩის ძალიან, ძალიან მოენატრა, სულ ჭიშკრისაკენ ჰქონდა თვალუბი, ტირილიც კი უნდოდა, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭი იყო და ხომ ვერ იტირებდა! დედა სალამოსაც არ მოვიდა. დაჩი დაწვა,

მაგრამ დიდხანს არ დაეძინა. მეორე დღეს დედაც გამოჩნდა, უამრავი ტკბილეულობა და სათამაშო მოუტანა დაჩის. დაჩიმ არც ფოჩიან კანფეტებს ახლო ხელი, არც სათამაშოებს შეხედა. დედას კალთაში ჩაუჯდა და თქვა: - შენ ყველაზე კარგი ხარ, დედიკო! დედას ეს, ცოტა არ იყოს, ენყინა. - ყველაზე კარგი მე კი არაა, შენ ხარ! - არა, შენ ხარ... - იუარა დაჩიმ. დედამ თვალებში ჩახედა შვილს, შუბლზე თმა გადაუწია და მაინც თავისი არ დაიშალა: - არა, დაჩი, ამქვეყნად შენზე უკეთესი არავინაა! ბიჭს ახლაც ისე მოუნდა ტირილი, თითქოს დედა შინ არ ყოფილიყოს. - არა, ყველაზე უკეთესი შენ ხარ, დედა! - მე უფროსი ვარ და, როცა უფროსი გეუბნება, უნდა დაუჯერო. ბიჭს უნდოდა დაეჯერებინა, მაგრამ რა ექნა, როცა დედაზე უკეთესი არავინ ეგულებოდა? - არ დაგიჯერებ! - გაჯიუტდა დაჩი. - კარგი ბიჭები არ ჯიუტობენ. როცა დედა შინ არ იყო, ბიჭს არ უტირია, ახლა კი აქვითინდა. გაჯავრებულმა დედამ ძირს ჩამოსვა ატირებული დაჩი და უთხრა: - თუ არ გჯერა, ნადი მეზობლის ბიჭის დედასთან და ჰკითხე, დედა უფრო კარგია თუ შვილი. ბიჭი ტირილ-ტირილით წავიდა. მივიდა მეზობლის ქალთან. ქალს თეთრი კაბა ეცვა. დაჩიმ ჰკითხა: - დედა უკეთესია თუ შვილი? თეთრკაბიანი ქალი არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა: - რა თქმა უნდა, შვილი. ბიჭი კიდევ უფრო ატირდა და წავიდა მეორე მეზობელთან. იმ მეზობლის ქალს ნითელი კაბა ეცვა. დაჩიმ ჰკითხა: - დედა უფრო კარგია თუ შვილი? ნითელკაბიანმა ქალმაც მაშინვე უთხრა: - შვილისთანა არავინ არაა. აზლუქუნებულმა ბიჭმა მესამე მეზობელთან გასწია. იქ შავკაბიანი ქალი დახვდა. დაჩიმ ჰკითხა: - დედა უფრო კარგია თუ შვილი? - შვილებს შემოეფლოს ჩემი თავი, მათი ფასი რაა ამქვეყნად! დაჩის ახლა ამ ქალზეც მოუვიდა გული და წავიდა. იარა, იარა. მიადგა ერთ ტყეს: კურდღელს ჩამოუყრია უშველებელი ყურები. ტანზე ბენეს იგლეჯს და ტირის. - რა გატირებს? - ჰკითხა დაჩიმ. - როგორ თუ რა მატირებს, - თავში წაშინა თათი ცანცარამ, - ბაჭიები დამეკარგა და ვაითუ, მგელმა შემიჭამა; ნეტავ ერთი დამანახა, იმას ვუჩვენებ თვალის სერის! - მგელს?! - გაუკვირდა დაჩის, - შენც რომ შეგჭამოს? - ნეტავ მე შევეჭამე და ჩემი შვილები გადარჩენილიყვნენ! - ესეც იმ ქალებივით ლაპარაკობს, - იფიქრა დაჩიმ და კვლავ ატირდა. წავიდა, იარა, იარა და

ნახა: დამჯდარა მგელი ბუნაგთან, რაც ძალი და ღონე აქვს, ორივე თათს ირტყამს ცხვირ-პირში, ყმუის, კივის, წივის. - რა გატირებს? - ჰკითხა დაჩიმ. - შვილებისათვის საჭმლის საშოვნელად წავედი, დაებრუნდი და არც ერთი აღარ დამხვდა. ვაითუ, ღონმა შემიჭამა. ახლა ამ ცხელ გულზე რომ სადმე შემახვედრა, არ ვიცი, როგორ გადამირჩება! - მერე და, ღონს რას დააკლებ! - გაუკვირდა დაჩის, - შენც შენს შვილებს მიგაყოლებს... - ნეტავ მე შემხვედროდა და შევეჭამე, შვილები გადამირჩებოდნენ! ამასაც თავის თავს შვილები ურჩევნია. კიდევ უფრო მწარედ ატირდა დაჩი. იარა, იარა და ისეთი ღრიალი შემოესმა, რომ სულ დაავიწყდა თავისი სადარდებელი. ხედავს და რას ხედავს: ღონს სულ გაუსისხლიანებია სახე, მთლად დაუღუნია იქაურობა და დამხოზილა მინაზე. დაჩის არც კი გაუგონია, თუ ღონმა ტირილი იცოდა და ახლა კი ხედავ, როგორ მოთქვამს?! - შენ მართლა ღონი ხარ? - ჰკითხა დაჩიმ. - ღონი ვარ! - ამოიღრიალა ღონმა. - და ტირი! - ვტირი კი არა, თავს არ ვიკლავ?! - შენც შვილები ხომ არ დაგეკარგა? - ხომ არ გინახავს? მითხარი, თუ სადმე შეგხვდა და მთელი სიცოცხლე ძაღლივით შენი ერთგული ვიქნები! დაჩის ძალიან უნდოდა, სცოდნოდა, სად იყო ღონის ბოკვერები, მაგრამ არ იცოდა და ისედაც გამწარებულ დედას ხომ არ მოატყუებდა. - შენს ბოკვერებსაც ხომ არავინ შეჭამდა! - დაამშვიდა დაჩიმ. - არ შეჭამდა, მაგრამ ცოტაა ფათერაკი? ვაითუ, ჭამი ჩაცვივდნენ და დაიხრჩნენ. - სად არის აქ ჭა? - ჰკითხა დაჩიმ. - ჭა რომ ვიცოდე სადაა, აქ რა გამაჩერებს, შოგ არ გადავვარდებოდი?! - შენ გგონია, რაკი ღონი ხარ, არ დაიხრჩობი? - რა ჯანდაბად მინდა სიცოცხლე, თუ შვილები არ მეყოლება! დაჩი წავიდა. მიდის, მიდის, აღარ ტირის და ფიქრობს: დედას მართალი უთქვამს, მაგრამ თვითონაც რა ჰქნას, რომ დედა მაინც ყველაფერს ურჩევნია. იარა, იარა და ხედავს, აგერ, მდინარე ჩამოდის. გაღმა დამჯდარა ორი ოქროსფერი ბოკვერი; თათები თვალეზე აუფარებიათ და იმ თათების სიმსხო ცრემლები სცვივათ. - გზა ხომ არ აგებნათ? - გასძახა დაჩიმ. - ჰო, გზა აგებნა! - აღრილდნენ ბოკვერები.

- მერე და არ გრცხვენიათ, ღონები ხართ და გეშინიათ?! - გაიკვირვა დაჩიმ. - ჩვენ არ გვეშინია, ჩვენ დედის დარდი გვატირებს, ჩვენისთანა დედა არავის არა ჰყავს. - მართალია, - დემონმა დაჩი და ბოკვერებს გზა მიასწავლა. წავიდა ისევ, იარა, იარა და ხედავს, აგერ მგლის ლეკვები ყმუიან და შავი ცრემლით ტირიან. - ვიცი, რაც გატირებთ. - ტყეში დავიკარგეთ და დედა ჯავრს ვერ გადაურჩება. - ვიცი, - უთხრა დაჩიმ, - რა ვუყოთ, რომ თქვენი დედა მგელია, ალბათ, მაინც ყველაზე კარგია ამქვეყნად. - ჩვენი დედა ყველაზე კეთილი და ლამაზია. დაჩიმ ახლა ლეკვებს ასწავლა გზა, წავიდა და, ალბათ, პატარა ბაჭიებს ვერც კი დინახავდა, რომ მათი ხმა არ გაეგონა. - ვიცი, ვიცი, - უთხრა დაჩიმ, - რისთვისაც ჩაგისისხლიანებიათ თვალები, ყველაზე უკეთეს დედასთან გინდათ ხომ? მე მიგასწავლით. ბაჭიებს ენაც კი ჩაუფარდათ სიხარულით და მადლობის თქმაც დაავიწყდათ. დაჩი გამოვიდა ტყიდან, რაც კი იცოდა, საით წასულიყო. ვერ გაეგო, დედები ამბობდნენ მართალს, თუ შვილები და ისევ აღრილდა. კიდევ კარგი, საიდანღაც გრძელწვერა მოხუცი გამოჩნდა. - დედები, რა თქმა უნდა, მართალს ამბობენ, - დაიწყო მოხუცმა ისე, რომ ბიჭისთვის არც კი უკითხავს, რისთვის ტიროდა. დაჩიმ სულ ამოიგლიჯა გული. მოხუცმა სიმღერასავე განაგრძო: - არაფრით არ მეგონა, მაგრამ რომ ვუკვირდები, შვილებიც მართალს ამბობენ, - თქვა ეს, უშველებელი, მინამდე დაშვებული წვერი აკრიფა, სულ სამიოდე ნაბიჯი გადადგა და გაქრა.



მოგზაურობა ინდოეთში

გამომცემლობა "ოგი" მალე დასტამბავს ალექსანდრე მილნის წიგნს "ვეფხვები და ბაჭები", რომელშიც "ვინი პუხის" ავტორის ნაკლებად ცნობილი ტექსტებია თავმოყრილი. წიგნი ალექსანდრე შელმანოვის ნახატებით იქნება დასურათებული, ხოლო რუსულ ენაზე თარგმანი ოლგა მიაოეტს ეკუთვნის. მოკლედ, ამჯერად, ალექსანდრე მილნი აღარაფერს გვიყვება თაფლისმოყვარე დათუნიაზე, ბუშტიან გოჭუნაზე და ვირუკელაზე, რომელსაც კუდი ჰქონდა მიჭედებული, სამაგიეროდ, გვთავაზობს ზღაპრებს ინდოეთზე, შოკოლადზე და ვერცხლის თასზე და ესაა ნამდვილი საბავშვო ლიტერატურა ინგლისური ტრადიციებით.

ალექსანდრე მილნი

ასხამს და ასხამს გაუთავებლად! ოჰ, ღმერთო! ამას ეძახიან მცირე წვიმას?

ჯეინ ენმა თავი ხელში უნდა აიყვანოს და მოთმინება მოიკრიბოს. დღეს მას შინ დარჩენა მოუწევს, თავის ძვირფას სათამაშოებთან. ხვალ კი, არ არის გამოირიცხული, რომ გამოიდაროს. თანაც, ყველა გოგონას როდი აქვს ამ ქვეყანაზე სათამაშო ბაჭია, კიდევ ურიკაში შებმული ცხენი და რეზინის ბურთი. მოითმინე, ჯეინ ენ, მოითმინე!

ვერაფერსაც ვერ ხვდებით, არა?

სწორედ დღესაა აუცილებელი, ხვალ გვიან იქნება. თუ ეს ღრუბელი გაიფანტება, შეიძლება, დღესაც მოხერხდეს. მაგრამ, საკმარისია, ეს გაიფიქროს, იმ წუთში ახალი ღრუბელი ემატება ცას საიდან-ღაც.

გოგონა ცდილობს, დახუჭოს თვალები. დახუჭოს თვალები და თქვას: "ერთი, ორი, სამი, ოთხი... აი, ახლა დავითვლი ოცამდე, გავახელ თვალს და... უნდა შენყდე! უნდა შენყდე! ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ ხომ გესმით, რატომაც!"

და იგი ითვლის ოცამდე. ჯერ ძალიან სწრაფად ითვლის თორმეტამდე, შემდეგ უფრო ნელა - თხუთმეტამდე, შემდეგ - თექვსმეტამდე... ჩვიდმეტამდე... თვრამეტამდე... ცხრა...მეტამდე... შემდეგ - კიდევ

უფრო ნელა... მართალია, ასეთი საქციელი მთლად სწორი ვერაა, მაგრამ იგი ცდილობს, მიეხმაროს ღმერთს ამოცანის შესრულებაში: ოო... ოოო... ციიი! ოცი! მაგრამ წვიმა ოდნავაც არ იკლებს.

ჯეინ ენი ცდილობს, შეიკრას სუნთქვა. იგი თავის თავს ეუბნება: "თუ შევძლებ, იმდენი ხნით შევიკრა სუნთქვა, მსოფლიოში რომ არავის შეუკრავს, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, როცა ამოვისუნთქავ, წვიმა აღარ იქნება!" იქნებ, მართლა გამოვიდეს?

მაგრამ არაფერიც არ გამოდის!

გოგონა დგას ფანჯარასთან და უყურებს, როგორ მოცურავენ ქვემოთ დიდ-დიდი წვეთები მინაზე.

ჯეინ ენი ჩაუთქვამს, რადგანაც ესაა ყველაზე ნალდი ხერხი, რომ თუ აი, ეს, აი, ეს წვეთი სხვებს მოასწრებს ქვემოთ ჩამოცურებას, მაშინ... მაშინ უცებ შეწყდება წვიმა, თუ სხვა წვეთმა გაასწრო, მაშინ არაფერი არ გამოვა. წვეთები უკვე შუა გზაზე მივიდნენ და გოგონა უცებ ცვლის თავის გადაწყვეტილებას: "არა, არა, ყველაფერი უკუდგა უნდა იყოს - თუ ეს წვეთი სულ ბოლოს მივა რაფამდე, მაშინ შეწყდება წვიმა!"

მაგრამ წვიმა ასხამს და ასხამს გაუთავებლად.

თქვენ გესმით? დღეს ჯეინ ენი ინდოეთის გზას უნდა დადგომოდა. მისი დედა და მამა ცხოვრობენ ინდოეთში. თავიდან ჯეინ ენს ახსოვდა, რომ ისინი იყვნენ შავები, რადგანაც ყველა ინდოელი შავია. შემდეგ, როცა დეიდა მერიმ აუხსნა, რომ ისინი თეთრები არიან, გოგონამ ნელ-ნელა გაიხსენა, როგორი თეთრები იყვნენ.

სანამ მშობლები არ დაბრუნდებიან, ეს კი გაისამდე არ მოხდება, ჯეინ ენი დეიდა მერისთან ცხოვრობს, მაგრამ, ხანდახან, მას ძალიან, ძალიან სწყინდება ლოღინი.

- უცებ რომ მოხდეს და ხვალ ჩამოვიდნენ? - იკითხა ჯეინ ენმა.

- არავითარ შემთხვევაში, - გადაუწერა წყალი დეიდა მერიმ, - იმათ უამრავი საქმე აქვთ. ხვალ ნამდვილად ვერ ჩამოვლენ. მაგრამ ბევრი დროც აღარ დარჩა!

ჰოდა, მაშინ ჯეინ ენს დაებადა მშვენიერი იდეა: თუ მშობლები ისეთი დაკავებული არიან, რომ ვერ მოდიან მის სანახავად, მაშინ თვითონ გაემგზავრება მათთან.

გოგონამ გადათვალა თავისი დანაზოგი და დაასკვნა, რომ თუ ფეხით ივლის,



ფული ნამდვილად ეყოფა. მთელი კვირის განმავლობაში, როცა დეიდას სასიეროდ დაჰყავდა, ჯეინ ენი ყიდულობდა სხვადასხვანაირ საკვებს. მაგალითად: ნამცხვრებს და შოკოლადს. მერე ყველაფერს სპეციალურ ყუთში ათავსებდა. ყოველ საღამოს გოგონა ჩაიხედავდა ყუთში და დახუჭავდა თვალებს, ფიქრობდა დედაზე, ფიქრობდა მამაზე და არაფერს ჭამდა. პარასკევ საღამოს მან ნახა, რომ კოლოფი ბოლომდე გაივსო და მეორე დღისთვის გამგზავრებაც დაგეგმა.

ძილის წინ ჯეინ ენი დაემშვიდობა ბაჭიას. ყველა სათამაშოს უნდოდა მასთან ერთად გამგზავრება, მაგრამ ბაჭიას - განსაკუთრებით. ძალიან უნდოდა. თანაც, კისერზე მას ვარდისფერი ლენტ

ჰქონდა შებმული, რომლითაც მისი ტარება შეიძლებოდა. ბაჭია არასოდეს ყოფილა ინდოეთში და ძალიან ლელავდა. მაგრამ ჯეინ ენმა უთხრა: "არა, შენთვის არ შეიძლება ინდოეთში წასვლა, რადგან იქ უამრავი გარეული ვეფხვია. ვეფხვები, კიდევ, ბაჭიებს ჭამენ". ბაჭიას სულაც არ უნდოდა, რომ ვინმეს შეეჭამა, მაგრამ მას იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა მტაცებლებისაგან თავის დაღწევას. იგი ძალიან დადარდიანდა, როცა ჯეინ ენმა აუხსნა, რომ ინდოეთში ყველაზე სხარტი და მოხერხებული ბაჭიებიც კი ებმებიან ვერაგი ვეფხვის კლანჭებში. "ყველაზე სხარტები და მოხერხებულებიც?" - ჩაჰკითხა მან ნალვლიანად. "დიახ, ყველაზე სხარტებიც და მოხერხებულებიც!" - დაუდასტურა გოგონამ, მაგრამ ისე შეეცოდა თავისი ბაჭია, რომ მოაძრო მას ვარდისფერი ლენტი და მაგიდის უჯრაში დამალა იმ შემთხვევისათვის, თუ დილით, გამგზავრების წინ, იგრძნობდა, რომ არაფრით არ შეუძლია ბაჭიასთან განშორება.

ყველანი მოვიდნენ ჯეინ ენის გასაცილებლად. მან ჩამოსვა სათამაშოები ფანჯრის რაფაზე: ცხენი - ურიკით, უბრალო ცხენი, ბურთი და ბაჭია. ისეთნაირად ჩამოსვა, რომ, რაც შეიძლება, დიდხანს შეძლებოდა მათთვის ხელის დაქნევა. მართალია, როცა ეზოს გაივლი, მარჯვნივ უნდა მოუხვიო და მერე ველარც შეძლებს მათ დანახვას. აი, მაშინ გახსნის გოგონა თავის ყუთს პირველად, რადგან ძალიან მარტოსულად იგრძნობს თავს. ისე, რა საოცარია: რამდენად არამარტოსულად გრძნობ თავს, როცა ხელში გიჭირავს ერთი ფილა შოკოლადი!

მეორე დილით, თვალი რომ გაახილა და ფანჯარაში გაიხედა, ბაჭიამ დაინახა, რომ ძალიან მაგრად წვიმდა.

- შეიძლება, დღეს ვერც კი წავიდეს ჯეინ ენი ინდოეთში, - გაიფიქრა მან და გულზე მოეშვა.

საუზმის შემდეგ ჯეინ ენმაც გაიხედა ფანჯარაში.

- მალე გადაიღებს! - თქვა გოგონამ იმედიანად.

ჰოდა, დგას ახლა ფანჯარასთან და ელოდება...



ბავშვთა კონკურსი



მისტერ თეოფილუს ბენქსი დაფასებული კაცი გახლდათ. მეგობრები მას თეოს ეძახდნენ. არ მახსოვს, კონკრეტულად, რა საქმით იყო დაკავებული, მაგრამ, რაღაცას აკეთებდა ძალიან საჭიროს და დიდს... მოკლედ, მისტერ ბენქსი რომ არ ყოფილიყო, რა გვეშველებოდა, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია. ყველაფერი მისტერ ბენქსზე იყო დამოკიდებული.

მას სამი შვილი ჰყავდა. უფროსს, გოგონას, ეძახდნენ ჯესიკა ბენქსს, დედის პატივსაცემად. შემდეგ გაჩნდა ბიჭი და დაარქვეს თეოფილუს ბენქსი - მამის პატივსაცემად. ორი თეოფილუს ბენქსი - ერთ ოჯახში! ზოგიერთი ეჭვობდა, ეს ამბავი არეულობას გამოიწვევსო, მაგრამ მისტერ ბენქსი ასე არ ფიქრობდა: "კიდევ კარგა ხანს ბავშვი, უბრალოდ, მისტერ ბენქსი იქნება, თუ ძალიან გინდათ, კი ბატონო, უბრალოდ ფილი დაუძახეთ, მერე კი, ბიჭი

რომ გაიზრდება, მისი მამა უკვე მოსამართლე ბენქსი იქნება, ან - პროფესორი ბენქსი, ან - პოლკოვნიკი ბენქსი, ანდა - პრეზიდენტი ბენქსი, ჯერ არ გადაუწყვეტია, საბოლოოდ, რომელი უნდა გახდეს".

და ეძახდნენ პატარას ფილს.

შემდეგ დაიბადა მესამე ბავშვი და, რადგან მისტერ ბენქსი იმასაც ვეღარ დაარქმევდა თეოფილუსს, სახელის ნაწილი მაინც რომ შეენარჩუნებინა, პატარას თეოდორი დაარქვა, უბრალოდ კი - თოდი.

საერთოდ, რომ ვიცოდეთ, მისტერ ბენქსი გოლფს თამაშობდა. იგი ძალიან აქტიური ადამიანი იყო და საღამოობით კლუბის დანარჩენ წევრებზე გაცილებით დიდხანს თამაშობდა გოლფს. მისი მეგობრები სამოცდამეათეუთმეტე დარტყმის შემდეგ ჩაის დასალევად მიდიოდნენ, მისტერ ბენქსი კი მხოლოდ ასმეოცეზე ჩერდებოდა. აი, ასეთი კაცი იყო.

თქვენ, ნამდვილად, გაიფიქრეთ, რომ ასეთი გულმოდგინებისათვის იგი პრიზსაც დაიმსახურებდა. არ გეტყვით არაფერი! პრიზი ყოველთვის სხვებს რჩებოდა. კლუბის თითქმის ყველა წევრს ჰქონდა სახლში პატარა ვერცხლის თასი, მისტერ ბენქსს კი არა ჰქონდა. ეს ამბავი მას ძალიან სწყინდა. სადაც არ უნდა მისულიყვნენ სტუმრად მისტერ და მისის ბენქსები, ყოველ ოჯახში ხვდებოდათ მაგიდაზე შემოდგმული კოპონა ვერცხლის თასი. და ყოველთვის, რომელიღაც მისტერ ბენქსი იწყებდა მოყოლას, როგორ შეძლო გასულ შაბათს ამ თასის მოპოვება, მისის ბენქსი, კიდევ, მისის ბენქსს უყვებოდა იგივეს. და ამიტომაც ბრუნდებოდნენ შინ გუნებაშემოშაშულნი მისტერ და მისის ბენქსები.

ერთხელაც, მისის ბენქსმა წაიკითხა გაზეთში, რომ მათ ქალაქში აპირებენ ბავშვთა კონკურსის გამართვას. მან ეს ამბავი ჯესიკას უთხრა და გოგონამაც მაშინვე შესთავაზა: "მოდით, ჩავუშვათ ამ კონკურსში თოდი! რა მაგარი იქნება!"

- ჩავუშვათ, ჩავუშვათ თოდი! - აიტაცა ფილმა. მან წარმოიდგინა, რომ კონკურსი, ეს არის რაღაც, ტბისმაგვარი და თუ თოდს წყალში ჩაუშვებდნენ, იქ უფრო ლამაზი გამოჩნდებოდა.

- აუცილებლად ჩავუშვათ, - განაგრძობდა ჯესიკა, - და თუ გაიმარჯვებ, ჩვენს მამიკოსაც ექნება ვერცხლის თასი!

მისის ბენქსს კი გაახსენდა, რომ ერთ კვირაში მისი ქმრის დაბადების დღე უნდა აღენიშნათ. რა გაუხარდებოდა, დაბადების დღეზე ვერცხლის თასი რომ მიეღო საჩუქრად! მას ხომ ყველაფერი ჰქონდა, რასაც ინატრებდა, ვერცხლის თასის გარდა.

და აი, მისტერ თეოდორი ჩანერეს კონკურსის მონაწილეთა სიაში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მისტერ ბენქსისგან დაფარულად ხდებოდა. ყოველ დილით, როცა იგი მიდიოდა კანტორაში, სადაც ყველაფერი მისტერ ბენქსზე იყო დამოკიდებული, მისიანები მოიყრიდნენ თავს და მსჯელობდნენ, როგორ მოერთოთ და მოეკაზმათ თოდი, კონკურსში რომ უსიკვდილოდ გაემარჯვებინა.

მისის ბენქსი ფიქრობდა, რომ იგი ისედაც უნაკლო იყო.

ჯესიკა თვლიდა: უფრო მეტად ხუჭუჭა რომ ყოფილიყო თოდი, არ იქნებოდა ურიგო.

ფილი კი დარწმუნებული იყო, რომ მას

ტბაში ბანაობა გააკაჟებდა და გაალამაზებდა.

და ჯესიკა ყოველდღე უხვევდა ძმას კულულებს, ფილი კი ხელებში ჩაეჭიდებოდა ხოლმე და ბერტყავდა ხშირ-ხშირად, რაც შეიძლება ჩქარა რომ გაეკაჟებინა. მისის ბენქსი იძულებული იყო, განჯინაზე შემოესვა შვილიყო, რათა ჯესიკასაც მოხერხებულად დაეეარცხნა მისი თავი და ფილიც ვერ მიწვდენოდა.

- მე მჯერა, რომ იგი გაიმარჯვებს, - ჩუმიდ იმეორებდა თავისთვის მისის ბენქსი.

ყოველ საღამოს, როცა მისტერ ბენქსი შინ ბრუნდებოდა, ისინი ხელებში შესცქეროდნენ, შემთხვევით თასი ხომ არ მოუტანიო, მაგრამ არა, მას ძველებურად არ სწყალობდა ბედი.

მისტერ ბენქსს ნაკლებად აღელვებდა თავისი დაბადების დღე. მას ახსოვდა, რომ იმ კვირაში უნდა გამხდარიყო ან ოცდაათის, ანდა, ას შვიდი წლის. ამიტომ, ძალიან გაუკვირდა, როცა ხუთშაბათს, სადილზე რომ გამოვიდა, თავის თევშზე ბაფთით გაკვანძული ლამაზი შეკვრა აღმოაჩინა. ხომ შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ გაეხარდებოდა!

- კარგი ძალიან და, რა არის ამაში გახვეული? - ჩაიბურტყუნა ნასიამოვნებმა.

ფილმა იდაყვი გაჰკრა ჯესიკას. ჯესიკამ დედამის გაუღიმა. შემდეგ ფილი წამოხტა და დაიყვირა: "გახსენი რა, გახსენი!" და მისტერ ბენქსმა გახსნა.

- მდაა! - გაუკვირდა მას.

ეს იყო ვერცხლის თასი.

- კი მაგრამ, რისთვის? - იკითხა მისტერ ბენქსმა.

მან შემოაბრუნა თასი და მეორე მხარეზე წარწერა წაიკითხა:

"პირველი პრიზი (პირველი ხარისხის) გამარჯვებულ თეო ბენქსს".

- კი მაგრამ, რომელს? - მთლად დაიბნა მისტერ ბენქსი.

ახლა კი განუმარტეს მას, რომ თეოდორმა მოიგო პირველი პრიზი, მაგრამ, რადგანაც თასზე სახელი მთლიანად არ დაეცა, იძულებულნი გახდნენ, დაენერათ უბრალოდ, - თეო.

- მდაა! - გაიმეორა მისტერ ბენქსმა.

მას შემდეგ, როცა არ უნდა მოსულიყვნენ სტუმრები მისტერ და მისის ბენქსებთან, ყოველთვის ხვდებოდათ მაგიდაზე შემოდგმული კოპონა ვერცხლის თასი.

- ახლა კი ვიცხოვრებთ ბედნიერად, ხომ მართალია? - გადაუჩურჩულა ჯესიკამ დედას. და იგი მართალი იყო.

რუსულიდან თარგმნა

ელისო გუმბერიძე




სსტვრევა მართველთა

„იბარნი რიცხვით ალბანელს არ ჩამოუვარდებიან. გულაღმართაც სხვაზე უფრო მამაცნი იყვნენ და კალიან უნდოდათ მითრიდატესათვის ეგებინათ, ჟომავუსი უკუეპყინათ. იბარნი არც მიდიდებოდნენ, არც სპარსელებს ეძვემდებარებოდნენ და თავის დროზე გააკადონელთა მგრძნეველობა აიცვილეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა პირიქანიდან. მაგრამ ჟომავუსმა იბარებიც დაამარცხა დიდ ბრძოლაში ისე, რომ ცხრა ათასი კაცი მოკლეს, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელს ჩაუვარდათ ტყვედ. დაამარცხა თუ არა იბარები, ჟომავუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფაზისის სანაპიროზე მას შეეგება სპარსელითა თავისი ფლოტით, რომელთაც იგი პონტოს იცავდა“.

კლუტარძე



კველი ნელთაღრიცხვის 65 წლის გაზაფხულზე სომხეთ-ალბანეთის საზღვართან დაბანაკებული რომაული ლეგიონები ქართლისაკენ დაიძრა. ისინი რამდენიმე დღეში ქართლის დედაქალაქ მცხეთასთან აღმოჩნდნენ. ქართველები არ ელოდნენ რომაელების ასეთ სწრაფ შემოჭრას და მოუშვადგაველი დაუხვდნენ მტარს. ჟომავუსმა იერიში მცხეთის დედაციხეზე მიიტანა. მან კედლის სანგრები მანქანები მიუყვანა არმაზის ციხეს. არამარა რომაული კოჟორტებით გაივსო. ჯერ საბანაკოვად გათლილი ქვეები დაუშინეს გალავანს. შემდეგ ჟომავუსმა ქვეით ჯარს უბრძანა, იერიში მიეტანათ ციხეზე. არმაზის მეციხოვნეებმა მტრის პირველი შემოტევა მოიბერიეს. მეორე დღეს რომაელებმა კვლავ განაგრძეს ქალაქის იერიში. ამჯერად, ჟომავუსმა უფრო მეტი ძალები შეუსია არმაზის ციხეს.



ჟომავუსის მიერ მცხეთის გარემოცვისთანავე არტაგმა ერისთავების თათბირი მოიწვია. სამეფო დარბაზში შეიკრიბა ქართლის სამეფოს მოხელეთა დიდი ნაწილი. ამ იყო უპირველესი ერისთავი - ქართლის სპასხატი, სვამდასხვა კუთხის ერისთავები, ათასისთავები. გადაწყდა: არმაზის ციხე დაეცალათ და მტკვრის მარცხენა ნაპირი გაემაგრებინათ. ქართველებმა უთანასწორო ბრძოლას თავი აარიდეს, ხალხი დაეხივნეს, მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდნენ და მტკვარზე გადაებული ხიდი დაწვეს. ჟომავუსმა აღვილად აიღო არმაზის ციხედალი, ციხესა და ხეობის ვიწროებში მცველები ჩააყენა, თვითონ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აჯყვა და ქართლის ეს ნაწილი დაიმორჩილა.



ჟომავუსმა ლაშქრობით დალილი ჯარი ცოტა ხანს დაასვენა. მხოლოდ პატარ-პატარა მარბიელ რაზმებს აგზავნიდა ქართლის სვამდასხვა კუთხეში და რომაელებთან ერთგულებაზე აფიცებდა ხალხს.

რომაელებმა ცენტურიონებმა ქართლის ერთი ნაწილის დამორჩილების შემდეგ გადაწყვიტეს არტაგს დაევენებოდნენ და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადასასვლელად დაიწყეს მუშაობა. ამასობაში ჟომავუსს არტაგის ელჩები ეახლნენ და ზავი სთხოვეს. ქართველები რომაელებს ხიდის აღდგენასა და ჯარის სურსათით მომარაგებას დაპირდნენ. ქართლის მიჯნე პირობა შეასრულა. არტაგმა მტკვარზე ახალი ხიდი ააშენებინა და საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტა, მაგრამ რომაელებმა ისარგებლეს ამით და თავად გადავიდნენ შეტევაზე.





ახალი ხიდის აშენებისთანავე რომა-ულმა ლეგიონებმა მდინარეზე გადასვლა დაიწყეს. მტკვრის მარცხენა ნაპირზე რომაელების გამორჩენისთანავე საბრძოლო მოქმედებები კვლავ განაგრძა. ქართველებმა უკან დაიხიეს, არტაგმა მცხეთა მიიტოვა და არაგვის ხეობას შეაფარა თავი. მიუხედავად რომაული ლეგიონების ძლიერი შემოტვისა, ქართველებმა გზის შემოღობვას მტკვრის შემოტვას დროებით შეაჩერეს, რითაც ჯარის ძირითად ნაწილს უკან დახევის საშუალება მისცეს.



უმევესმა მცხეთა მთლიანად დაიპყრო. რომაელმა კოჰორტებმა არაგვის ხეობისაკენ გადაინაცვლეს და ქართველთა ჯარს დაეპყრნენ. მცხორად მიმავალ რომაული ლეგიონების შეტევას ქართველმა მეომრებმა ვერ გაუძლეს და არაგვის ხეობის სიღრმეში დაიხიეს. არტაგმა კი ახალითა და რამდენიმე ათასი მეომრით არაგვზე გადასვლა მოასწრო და ქართლის მთიანეთს შეაფარა თავი. ჯარის დარჩენილი ნაწილი, რომელიც მდინარეზე ვერ გადავიდა, კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. მათ ტყვეს შეაფარეს თავი და იქიდან უნებოდნენ წინააღმდეგობას მტერს.

რომაელთა კოჰორტები კვლავინდობურად მისდევდნენ ქართველებს. უმევესის არმიას უჭირდა მთებსა და გაუვალ ტყეებში ბრძოლა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქართველი გზისმგზავნი და მესურდულები რომაელებს ხეობიდან უზენდნენ ისარსა და ქვას. უმევესმა ამ რთული ვითარებიდან ერთი გამოსავალი გამოიგონა: მან თავის მეომრებს ტყე გააჩინა, ხოლო მიუვალ ადგილებს კი ცეცხლი დაუკიდა. ამ სამხედრო ხერხმა ქართველთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა. რომაელებთან ომმა დიდი ზიანი მიუყენა ქართლის სამეფოს. 9000 ქართველი ბრძოლის ველზე დაეცა, 10000 მეომარი კი ტყვედ ჩაგარდა, რომელთა შორის ძაღვებიც იყვნენ.




ქართლის მეფე არტაგი იძულებული გახდა, საზავო მოლაპარაკება განეხილათ და უმევესს ძვირფასი საჩუქრები გაუზავნა: ოქროს ტახტი, ოქროს სარკველი და ოქროს მანქანა. რომაელთა სარდალმა ქართლის მეფის ძვირფასი სიამოვნებით მიიღო, მაგრამ არტაგს შვილები მკვლად მინდოდა. არტაგი იძულებული იყო, მიეღო უმევესის წინააღმდეგ და საზავო ხელშეკრულება დაედო. ამ ხელშეკრულებით რომაელებმა არტაგს თავის მოსვლის რუმის პოლიტიკური „მეგობრობა“ და სამხედრო „მოკავშირეობა“.

იბერიის დამორჩილების შემდეგ უმევესი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და კოლხეთში შეიჭრა. რომაელებს ამ მითრიდატე VI ევპატორი ეგულებოდათ, მაგრამ უმევესი მეფე უკვე ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში, ზოსტოროს სამეფოში იყო გადასული. რომაელებმა ლეგიონებმა კოლხეთი დაიპყრეს და ფაზისამდე მიადგნენ, სადაც მათ რომაული ფლოტილია ელოდებოდა. ფაზისამდე უმევესი ზოსტოროს სამეფოში შეჭრა უმევესი გადაწყვიტა, მაგრამ კლიერი წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა, ლაშქრობა შეეჩერებინა. ამასობაში უმევესს ალბანელთა აჯანყების შესახებ აუწყეს, რის გამოც იგი საქართველოს გააძევა და ალბანეთში გადავიდა. ამის შემდეგ უმევესმა აზიის კიდეზე კარგახანს დაჰყო. რომში დაბრუნებულმა კლავდიუსმა სარდალმა მიღწეული წარმართების აღსანიშნავად უმევესური ტრიუმფი მოაწყო.



გაგრძელება იქნება



მუხის გობი და ოცდამეცხრეტიანი ომი

1249 წელს, როცა იტალიის დიდი ქალაქები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, ქალაქ ბოლონიის არმიის ერთი ჯარისკაცი ქალაქ მოდენას ჯარში გადავიდა და თან ცხენისათვის წყლის დასალევი ძველი მუხის გობი წაიღო. ბოლონიის ხელისუფალთ არ მოუთხოვიათ დეზერტირის მათთვის გადაცემა და დასჯა, მაგრამ მოითხოვეს, უკან დაებრუნებინათ გობი, რომელიც ქალაქის საკუთრება იყო. მოდენას ამაცმა მმართველებმა ამაზე უარი განაცხადეს და ქალაქებს შორის ატყდა ომი, რომელიც ოცდამეცხრეტიანი წლის მანძილზე გაგრძელდა და მრავალი ადამიანის სიკვდილი და მნიშვნელოვანი წგრევა გამოიწვია. ამ სისხლისმღვრელი ომის მიზეზი - ძველი მუხის გობი - დღემდე ინახება მოდენას ერთ-ერთ უძველეს კოშკში.

პალმა „სპილოს ძვალი“

სამხრეთ როდეზიასა და ჩანჩქერ ვიქტორიას (აფრიკა) რაიონში იზრდება პალმა - კიფენა, რომელიც სიმაღლით 20 მეტრამდე აღწევს. ხის ვიწრო ტოტი ბოლოვდება უზარმაზარი მარაოსებური ფოთლებით. კიფენას ყოველი მრგვალი ყავისფერი ნაყოფი არის მსხვილი თესლი, ძალზე მაგარი მოთეთრო-მოყვითალო გარსით, რომელიც „სპილოს ძვალს“ წაგავს, ამიტომ, თესლის მაგარ ნაჭურჭს მცენარეულ „სპილოს ძვალს“ უწოდებენ. კიფენას აქვს მეორე სახელწოდებაც - პალმა „სპილოს ძვალი“.

მცენარეული „სპილოს ძვლისაგან“ ამზადებენ სხვადასხვა ფიგურას, ლილვებს, სამკაულებს.

აფრიკის მკვიდრნი კიფენასაგან იღებენ ტკბილ წვენს და აყენებენ პალმის ღვინოს. ყოველი ხე იძლევა დაახლოებით 60 ლიტრ ტკბილ და გამაგრებელ სასმელს. ამის შემდეგ პალმა იღუპება, მაგრამ მის ადგილს სწრაფად იკავებს ახალი. ისევე, როგორც პალმის ნაყოფს, კიფენას ნაზ კენწეროსაც ხმარობენ საკვებად. ნაყოფის მშრალ, რბილ ნაწილს მცხოვრებლები ფქვავენ და შემდეგ მისგან ნამცხვარს აკეთებენ. ნაყოფი გამოსადეგია შავი საღებავის მისაღებადაც.

ყველაზე მაღალი ჰონორარი

იყო შემთხვევა, როცა ერთი წიგნის ჰონორარად ავტორმა მთელი სამეფო მიიღო. ასეთი არაჩვეულებრივი ჰონორარი მიეცა ნაკლებად ცნობილ პორტუგალიელ ისტორიკოსსა და მწერალს ჟუან დე ბარუშს. 1552 წელს მან დაწერა და პორტუგალიის მეფეს მიუძღვნა შრომა „იმპერატორ კლარიმუნდეს ქრონიკა“. აღფრთოვანებული მეფე არც კი დაფიქრებულა და მწერალს აჩუქა პროვინცია მარანიო (ბრაზილიის ნაწილი), რომლის ფართობი 177 ათას კვადრატულ მილს უდრიდა, ესე იგი, სიდიდით, თითქმის, საფრანგეთის ტოლი იყო.

საბავშვო ავტომობილი

აშშ-ში შექმნეს მინიატურული მსუბუქი ავტომანქანა. მისი გარეგნობა და მართვის ორგანოები ისეთივეა, როგორიც ნამდვილისა. უდგას მსუბუქი, სამცხენისძალიანი ბენზინის ძრავა, აქვს პალსტმასის ძარა, მაქსიმალური სიჩქარე საათში 20 კილომეტრია. ასეთი სათამაშო ავტომობილი სწრაფად გადაიქცა ძვირფას სასწავლო მანქანად მოზრდილთათვისაც კი. საწვავს მცირე ოდენობით წვავს, ფასიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. ბევრი მშობელი რწმუნდება, რომ ასეთი „სათამაშო“ ავტომობილი, სჯობს, ბავშვისათვის კი არა, თავისთვის იყიდოს.



მამაკა ტყველავილის და ირალი ბილავილის კოლაჟი

პრაგმატიზმი ფრანგები

ფრანგ მონტიორებს აცვიათ დამაგნიტებული ჟილეტები. იმის ნაცვლად, რომ ხელსაწყოები ჩანთაში ან კომბინეზონის ჯიბეში ჩაიდონ, საკმარისია მათი ჟილეტთან მიტანა და ისინი ზედ შერჩებიან.

გამოგონებას ამას ჰქვია

ბრიტანელმა სპეციალისტებმა ხომალდებისათვის დაამზადეს ავეჯისა და მაშველი ნაგებობის ახალი სახეობა. საჭიროების შემთხვევაში მათი ზოგიერთი ნაწილი მეზღვაურებსა და კატასტროფაში მოხვედრილ მგზავრებს გამოადგებათ საკვებად. ეს ავეჯი და მაშველი ნაგები დამზადებულია სიმინდის ფქვილისაგან, რძის ფხვნილის, დაღერლილი ბრინჯის, ჭვავის ფქვილისა და ბანანების ჩირის ნარჩენებისაგან. ზღვაზე კატასტროფის შემთხვევაში, ავეჯს აქუცმაცებენ და ასხურებენ ზღვის წყალს. 15 წუთის შემდეგ მიიღება გემრიელი და ნოყიერი კონცენტრატი.

თევზი - გამოცანა

ამ პატარა თევზს კამჩატკელი მეთევზეები იჭერენ ხოლმე. მას მიქსინას ეძახიან. მიქსინა ერთადერთი თევზია, რომელიც ცხვრით სუნთქავს, თვალები კი კანით აქვს დაფარული. ორიენტირებაში მას ეხმარება მთელ სხეულზე განლაგებული ზემგრძნობიარე უჯრედები. მიქსინას ოთხი გული აქვს, თითოეულს თავისი განსხვავებული რითმული ძეგრა ახასიათებს. ერთი გული განკუთვნილია კუდისათვის, მეორე - ღვიძლისათვის, მესამე - თავისა და - მეოთხე კუნთებისათვის.

მიქსინა ძალიან მოძრავი და სიცოცხლისუნარიანი თევზია: შეუძლია ექვსი თვე იარსებოს საკვების გარეშე.

მიქსინას მტერი საერთოდ არა ჰყავს. ამას ხელს უწყობს თავისებური „თავდაცვის სისტემა“: საფრთხის შემთხვევაში იგი დიდი რაოდენობით გამოყოფს ლორწოს, რის გამოც, მის ირგვლივ, წყალი ლაბისებრი ხდება. ამასთან, უაღრესად მოქნილი ხერხემლის წყალობით, მას შეუძლია ისე გამოინასკვოს, რომ შეუმჩნეველი დარჩეს.

ახირებული ქაცვის ანდერძი

მოხუც შვედ მილიონერ ორსტრემს, მემკვიდრეები რომ გაენვალეზინა, დიდი ხნის ფიქრი დასჭირდა და მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ თავისი ანდერძის ტექსტი სამეფო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნში შეენახა. მდიდარი ძია იმ ქვეყანაში რომ გაემგზავრა, ორივე მისი მემკვიდრე, აქამდე კითხვით დიდად რომ არ იწუხებდნენ თავს, სასურველი საბუთის საძებნელად წიგნსაცავში ჩასხდნენ. ზუმრობაა, მათ სამ მილიონზე მეტი წიგნის გადაფურცვლა მოუწევთ!

ჩიტი - თარძი

ეს პატარა, მახვილნისკარტიანი და გრძელბოლოებიანი ჭრელი ჩიტი ინდოეთის, ცეილონის და ბირმის ბინადარია. ბუდის უჩვეულო გაკეთებისათვის მას ჩიტი-თერძი შეარქვეს.

ფრინველი ნისკარტისა და ფეხების დახმარებით ფოთლის ნაპირებს ახლო მოიწევს, ერთიმეორეს დააგებს, ნისკარტით გახვრეტს, „გაკერავს“ ძაფით, რომელსაც აბლაბუდისაგან ან მცენარეულობისაგან „ართავს“.

ზოგჯერ ერთი დიდი ფოთოლი ყოფნის, მაგრამ შეგვდებით 12 ფოთლისაგან შეკერილ ბუდესაც, რომელიც კონვერტს წაგავს. ბუდეს ჩიტი ბამბისა და ბუმბულისაგან ახვევს.

ფრანსუა ალონე - ესპანელთა რისხვა



ჟაკ დავიდ ნაუ დაიბადა საფრანგეთში, პუატუს პროვინციაში. იგი მეკობრეობის ისტორიაში სხვა სახელით შევიდა: **ფრანსუა ალონე**, - ასე ეძახოდნენ ამ დაუნდობელ, ეშმაკივით მოხერხებულ კაცს.

ფორტუნაც თავიდანვე უღიმოდა ალონეს, - მას ყოველთვის მდიდარი ულუფა უვარდებოდა ხელში. მეკობრეობის დაწყებიდან ერთი წელიც არ იყო გასული და მისი სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა ყველა ესპანელს ამერიკაში. ალონეს გაბედულებაზე, შეუპოვრობასა და დაუნდობლობაზე ლეგენდები დადიოდა. შეარქვეს მეტსახელიც: „ესპანელთა ჯაჭვი“.

ერთხელ ალონეს გემი საშინელ შტორმში მოჰყვა **იუკატანის** ნახევარკუნძულთან ახლოს. ხომალდი ნაწილებად დაიშალა, მაგრამ მეკობრეებმა სასწაულებრივად მოახერხეს ნაპირზე გამოსვლა. ალონემ და მისმა მეზღვაურებმა მოსულიერებაც ვერ მოასწრეს, რომ ესპანელების შეიარაღებული რაზმი დაესხათ თავს. თითქმის ყველა ავაზაკი ადგილზევე იქნა მოკლული, ალონე კი მისმა მოხერხებულობამ და სიეშმაკემ აქაც გადაარჩინა: მან ტანი და სახე სისხლით მოისვარა და დახოცილ ამხანაგებს შორის დანვა. ასე იყო გატრუნული, სანამ ესპანელები თვალს არ მიეფარნენ. შემდეგ ერთ მოკლულ ესპანელს ტანსაცმელი გახადა, გადაიცვა და ქალაქს მიაშურა. მისთვის საბედნიეროდ, მეკობრეთა ბელადი ვერავინ იცნო, - წარმატებით აღტაცებული ესპანელები გამარჯვებას და დაუძინებელი მტრის,

ალონეს განადგურებას ზეიმობდნენ.

შემდეგ ალონემ ისიც კი მოახერხა, რომ ტყვედ აყვანილი თავისი თანამებრძოლების ადგილსამყოფელს მიაგნო და გაათავისუფლა ისინი. მეკობრეებმა მოიპარეს ნავი, შესცურეს ზღვაში და იმ ნავით **ტორტუგუდეს** კი მიაღწიეს, სადაც ყოველთვის შეეძლოთ თავის შეფარება.

სასწაულით გადარჩენილმა ალონემ ნელ-ნელა მოიკრიბა ძალები. მისი საქციელიც თანდათან უფრო მძვინვარე და დაუნდობელი ხდებოდა. რამდენიმე წელიწადში მან ესპანელთა რამდენიმე ხომალდიც მოინადირა და მის განკარგულებაში უკვე მთელი ფლოტი შედიოდა. მეკობრეთა გემებზე ზარბაზნებიც კი იყო დამონტაჟებული.

ზღვაზე ძარცვიდან მეკობრეები ქალაქების ანოიკებაზე გადავიდნენ. ალონე ისე მოძლიერდა, რომ თავისი ფლოტით ვენესუელის ქალაქ **მარაკაიბოზე** გალაშქრებაც გაზედა. მისი მეზღვაურები კარგად დაცული ციხე-სიმაგრის შორიანხლოს გადმოვიდნენ ნაპირზე, იქვე გაანადგურეს დამხედურთა მოზრდილი რაზმი და შემდეგ შტურმით შეუტყეს ციხე-სიმაგრესაც. შტურმი ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მეკობრეები უშიშრად და თავგანწირვით იბრძოდნენ, მათი მეთაური კი, პირდაპირ, გააფთრებულ მხეცს მოგაგონებდათ. ავაზაკებმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოახერხეს ციხე-სიმაგრეში შეჭრა. მათ დაუნდობლად ამოხოცეს ყველა ესპანელი, მოკრიბეს ყველანაირი ფასეულობა და დატოვეს აოხრებული მა-

რაკაიბო.

შემდეგი ლაშქრობისთვის ალონემ 700 მეკობრეს მოუყარა თავი. მას ისევ ნიკარაგუაში უნდოდა წასვლა, მაგრამ ქარიშხალმა ავაზაკთა ხომალდებს **გონდურასის** ყურეში აიძულა შესვლა. გზად მეკობრეები პატარ-პატარა ძარცვებით იყვნენ დაკავებულნი, თან სურსათ-სანოვარებსაც იმარაგებდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, მეკობრეებმა პორტ **პუერტო-კავალომდე** მიაღწიეს. აქ ჰქონდათ ესპანელებს თავიანთი საქონლის საწყობები, რომლებშიც დიდძალი სიმდიდრე ინახებოდა. ქალაქის მისადგომებს ორმოც ზარბაზნიანი ხომალდი იცავდა, მაგრამ მისი ეკიპაჟი თავდასხმას არ ელოდებოდა და მეკობრეებმა ისე ადვილად მოახერხეს გემის ხელში ჩაგდება, თვითონ გაუკვირდათ.

წარმატებით გულმოცემული ავაზაკები კალიბივით შეესივნენ ქალაქს. თავისი ჩვეულებისთვის აქაც არ უღალატია ალონეს: მან დაუნდობლად დააყრევინა ყველა ტყვეს თავები, დახოცა მოქალაქეები, გაძარცვა ყველა სახლი, ბოლოს კი ციხელი ნაუკიდა ქალაქ **სან-პედროს** სახლებს.

კარგა ხანს არ გამოუყვანია თავისი ხომალდები პუერტო-კავალოს ყურიდან ალონეს: იგი ელოდებოდა კიდევ ერთი ესპანური გემის გამოჩენას, რომელიც ყოველწლიურად დადიოდა ესპანეთიდან გვატემალაში და ყოველთვის საუკეთესო ევროპული საქონლით იყო დატვირთული. გემი რომ საიმედოდ ყოფილიყო დაცული,

„აღამიანზე მძვინვარე მხეცი დამიანზე არ მოიძებნება, თუ ეს აღამიანი თავის თავში ერთმანეთს უთავსებს ძალაუფლებას და გავნა მიდრეკილებას“.

ალუტარძე

ესპანელებმა იგი აღჭურვეს 56 ზარბაზნით და ურიცხვი ჯარისკაცით. ალონემ მაინც მოინადირა ეს ხომალდი და დიდი ხნის ნატვრაც აისრულა, მაგრამ მეკობრეებს იმედი გაუცრუვდათ: რომ ელოდნენ, იმის ნახევარი სიმდიდრეც კი არ აღმოჩნდა წვით და დაგვით დაპყრობილ გემზე.

ალონე თვითონ აწარმოებდა ტყვედ ჩაგდებულ ჯარისკაცთა დაკითხვას. ესპანელები დუმდნენ. მაშინ, გაცეცხლებულმა მეკობრემ ხმლით აკუნა ერთ-ერთი მათგანი, ამოაგლიჯა გული და კბილებით დაუწყო მას ჯიჯგნა. ამ სცენამ დამთრგუნველად იმოქმედა ტყვეებზე და ისინი იძულებულნი გახდნენ, ყველაფერი წვრილად მოეყოლათ ალონესათვის. მათგან მიღებული ინფორმაცია დაეხმარა მეკობრეებს, გაეუფნებლყოთ ესპანელების მიერ მონყობილი ორი ხაფანგი და სასტიკად გაენადგურებინათ ჩასაფრებული, კბილებამდე შეიარაღებული მტერი.

ბოლოს და ბოლოს, ფრანსუა ალონესაც ისეთივე სასტიკი აღსასრული მოუზადა ბედმა, სხვებისთვის რომ არ ენანებოდა.

მეკობრეები **კარტახენას** ნაპირებზე გადავიდნენ. მოულოდნელად, ალონეს რაზმს თავს დაესხნენ დარენელი ინდიელები. ფრანსუა ალონე ცოცხლად შეიპყრეს ინდიელებმა, ასო-ასო აქნეს, კოცონზე შეწვეს და შეჭამეს.

მისი ამხანაგები, რომლებიც ინდიელებს გადაურჩნენ, კუნძულ დე-ლას-პერლასზე დაბრუნდნენ და სცადეს, გაეგრძელებინათ თავიანთი საქმე, მაგრამ ალონეს გარეშე ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. მრავალი დაიღუპა ესპანელებთან ბრძოლაში, მრავალიც - ავადმყოფობისაგან.

მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს **ტორტუგუში** დაბრუნება.



სატკბილეთის ქვეყანა



დასაწყისი „საბავშვო“, № 5,6,7,8

ორმა ბავშვმა

მეგობრები ბზუილას ათავისუფლებენ

ჭიამაია ისე დაბრუნდა თავის სკაში, რომ ვერავინ შენიშნა. ოთახი მიაღწა, ჩაიცვა ნიღოლი, კოპლებიანი კაბა და თავის ქალბატონს ეახლა:

-ქალბატონო, უკვე გამოფხანმრთელდი. შეგიძლიათ მიმსახუროთ, - მოახსენა მან დედოფალს.

დედოფალი ზაზუ ისევ დამწუხრებული იყო და მოახლეს სთხოვა, ერთი ფინჯანი ცხელი კაკაო მომართეთო.

-არც მე ვიტყვოდი უარს! - ამოიბზუილა ნესტარ მეორემ, რომელსაც თავი სტკიოდა და გვირილის ფურცლებით ჰქონდა გაკრული.

ჭიამაია სამზარეულოში შევიდა, ალთესის მიქსტურა კაკაოში შეურია, ფინჯნებში ჩაასხა და მეფე-დედოფალს მიართვა. კაკაოს ისეთი სურნელი აუვიდა, ჭიამაიამ თავი ძლივს შეიკავა, თვითონ არ მოესვა.

-რა გემრიელია! - ამოიკვნესა დედოფალმა.

-ჰო, უჩვეულო გემო აქვს! - დაეთანხმა ნესტარი.

მიქსტურის მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ ვინც მას დალევა, უცებ კეთილი ხდებოდა და საუცხოო განწყობილებაზე დგებოდა. თვით ყველაზე ბოროტ და სასტიკ ადამიანსაც კი კეთილშობილ არსებად აქცევდა ხოლმე.

ნამალმა მოქმედება მოგვიანებით დაიწყო. ჭიამაია მოუთმენლობისაგან ადგილზე ცქმუტავდა. საჭიროების შემთხვევაში მას ნიშანი უნდა მიეცა სამეფო სკის შორიხლოს ჩასაფრებულ ნიგოსა და ლინოვისათვის.

დაახლებით ერთი საათის შემდეგ ჭიამაია მეფე-დედოფალს ისევ ეახლა და რას ხედავს: მეფე ნესტარი და დედოფალი ზაზუ ჩახუტებული ვალსს ცეკვავენ და ხმამალა იცინიან.

-არა, მაინც რამ მაფიქრებინა სატკბილეთის დაპყრობა... ასეთი მშვენიერი ქვეყნის, ჰა, ჰა, ჰა...

-კიდევ კარგი, დამარცხდი, თორემ წარმოიდგინე, რამხელა ცოდვას დაიდებდი, კარამელია რომ აგეოხრებინა... - კისკისებდა დედოფალი ზაზუ.

-ოო... ეს ვინ მოსულა... ჭიამაია. მე შენთვის საჩუქარი მაქვს - სულ დატკბა და დადნა ნესტარ მეორე. კარადა გამოალო

და მურაბით სავსე ქილა გადმოიღო.

-ეს შენ, ყელი ჩაიკოკლოზინე, თუ გინდა, მეგობრებიც დაპატიჟე, - გაუღიმა მან



შეშინებული გოგოს.

-დიდ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო უნესტარესობავ, მაგრამ მე ერთადერთი მეგობარი მყავს - ბზუილა, ის კი ციხეშია... იქნებ შეგეწყალებიანათ საბრალო ბიჭი - ეშმაკურად შეაპარა ჭიამაიამ, თან შიშით გული უსკდებოდა, უცებ წამლის მოქმედებამ არ გაუაროს და არ განრისხდესო. მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნიგო ვარაულობდა. ნესტარ მეორემ გაუღიმა ჭიამაიას და უთხრა:

-მართალი ხარ, საბრალო ბიჭი რატომ უნდა იჯდეს ციხეში, მას ხომ ცუდი არაფერი ჩაუდენია.

ჭიამაიამ სიხარულით ლამის შეჰკივლა, მაგრამ შეეშინდა, არ გამოგაფხიზლო გაბრუებული მეფე-დედოფალი და გაჩუმება არჩია.

ნესტარ მეორემ მცველს უხმო და ბზუილას განთავისუფლება უბძანა. მცველი ყურებს არ უჯერებდა, მეფეს რამდენჯერმე გაამეორებინა ბრძანება.

-არ გესმის, რა გიბრძანე?! ახლავე გამოუშვი ბზუილა დილეგიდან!

მცველმა მხრები აიჩეჩა და იარაღის ჟღარუნით საპყრობილისაკენ გასწია. ჭიამაია უჩუმრად უკან აედევნა. როგორც კი ბზუილა საპყრობილის კარებიდან გამოვი-

და, ჭიამაიამ მასთან მიიბრინა და გახარებული გადაეხვია მეგობარს. მეფე გოგონამ ბზუილა განზე გაიხმო და მოკლედ აუხსნა, რაში იყო საქმე.

-დროზე უნდა გავეცალათ აქაურობას, თორემ ერთ საათში წამლის მოქმედება გაივლის და ნესტარი ისევ შენს დაპატიმრებას მოინდომებს, - ჩასჩურჩულა მან ყურში.

ჭიამაია და ბზუილა იმ ბუჩქებისაკენ გაფრინდნენ, სადაც ლინოვი და ნიგო ელოდებოდნენ. ახლა მთავარი იყო, შეუმჩნევლად გასულიყვნენ მწერეთიდან. ამის მოხერხება კი იოლი როდი იყო: ბზუილას და ჭიამაიას ყველა იცნობდა.

ლინოვიმ ვიოლინოს ყუთი გახსნა და ბზუილა და ჭიამაია ვიოლინოში დამალა. ასე რომ, მეგობრებმა გზა არხეინად განაგრძეს და მალე მწერეთის საზღვარიც გადაკვეთეს.

მწერეთის მეფე გაქცეულებს დაეძებს

ნესტარ მეორე და დედოფალი ზაზუ ორიოდ საათის შემდეგ გამოფხიზლდნენ.

-რა დამემართა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დაფრინავდი და მიწაზე მხოლოდ ახლა დავეშვი, - თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა გაოგნებული ნესტარ მეორე.

-ჰო, მეც თავბრუ მესხმის, ნეტავ რა მოხდა? - ამბობდა გაოცებული დედოფალიც.

დასძინა მან და მცველი იხმო. როცა მცველმაც დაუდასტურა ბზუილას განთავისუფლების ამბავი, ნესტარი სიბრაზისაგან ისევ გაშავდა, ისევ გამწვანდა და გაიბერა.

დედოფალი ზაზუ გახარებულიც იყო, ასე რომ მოხდა, მაგრამ თავს იკატუნებდა, თითქოს ისიც განარისხა ბზუილას გამოშვებამ.

ნესტარმა მდევარი აფრინა. მთელი დღის განმავლობაში დაეძებდნენ ბზუილასა და ჭიამაიას, მაგრამ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად მიაგნეს.

-ეს იმ გომბიოს ნამოქმედარია, - ყვიროდა ნესტარი და ხელში ჭიამაიას ოთახში ნაპოვნ შუშის ბოთლს ატრიალებდა.

ჩვენი გმირები კი ამ დროს უკვე ნიგოს ქოხში მისულიყვნენ, ძია თხილოს გაქცევის ამბავს უყვებოდნენ და გულიანად ხარხარებდნენ.

სწორედ ამ დროს ნიგოს ქოხის კარზე კაკუნი გაისმა. ეს ახ-ოხი გახლდათ, რომელმაც თხილო და ნიგო სასახლეში, გამარჯვების აღსანიშნავად დანიშნულ მეჯლისზე დაპატიჟა. ახ-ოხმა ისიც აუწყა, რომ სასახლის მთავარი მკერავი გვირისტე უკვე ელოდა მათ შესაფერისი სამოსის შესაყერად. მეჯლისი მეორე დღეს იმართებოდა, ამიტომ უნდა ეჩქარათ, რომ ტანსაცმელის შეკერვა მკერავს დროულად დაეწყო.

-დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენც და მის უდიდებულესობასაც, მაგრამ, ალბათ, მეჯლისზე წამოსვლას ვერ მოვახერხებთ, იცით, მეგობრები გვეწვივნენ სტუმრად, - მოუბოდიშა ძია თხილომ.

-ამასაც მოვავარებთ - თქვა ახ-ოხმა და ჩანთიდან კიდევ რამდენიმე მოსანვევი ბარათი ამოაძვრინა.

მეჯლისი

და აი, მეჯლისის დღეც დადგა. რაფაელამ ამ დღისათვის განსაკუთრებულად ემზადებოდა. ხუმრობა ხომ არ იყო - მეჯლისზე მას საქმრო უნდა ამოერჩია. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დიდგვაროვანი ვაჟები რაფაელას გულის მოსანადირებლად, თითოეულ მათგანს თავი უნდა გამოეჩინა რაიმე განსაკუთრებით, რომ პრინცესას და მისი მშობლების ყურადღება დაემსახურებინა.

დიდი სარკეებით მორთულ დარბაზში, რომელსაც ძვირფასი ხალიჩები და მრავალსაღებოანი ჭალი ამშვენებდა, ძვირფას კაბებში გამოწყობილ ქალბატონებს და შავ ფრაკიან ბატონებს მოეყარათ თავი. სატკბილეთის ყველა წარჩინებული პირი აქ მოსულიყო და ვიდრე მეფე-დედოფალი მობრძანდებოდა, ტკბილი სასმელების სმით და მასლაათით იქცევდნენ თავს.

მეჯლისზე ვარდიაც გამოცხადებულიყო. მას ტანთ თავისი საუკეთესო, თეთრი



მაქმანებით განწყობილი კაბა ეცვა, თმაში კი სასახლის ბაღში მოწყვეტილი ვარდი ჩაებნია.

აბა, თუ გამოცნობთ, კიდევ ვინ მოვიდა მეჯლისზე? დიახ, დიახ, მისტერ კაქტუსო თავისი ოჯახით.

როცა მან ახალ კოსტიუმებში გამოწყობილი ძია თხილო და ნიგო დაინახა, შიშისაგან ეკლები აებურძგლა, ვაითუ, კარამელიუსთან დამასმინესო, მაგრამ წასვლაც ვერ გაბედა. მის ვაჟს, სუსხიას, გადანწყვეტილი ჰქონდა, ბედი ეცადა და პრინცესას გული მოენადირებინა.

აქვე იყვნენ ბზუილა, ლინოვო და ჭიამაიც. ლინოვოს შავი ფრაკი ეცვა და ყელზე შავი ბაბთა ეკეთა, ჭიამაიას კი ახალი, კოპლებიანი კაბა ემოსა.

სტუმრები კარგა ხნის შეკრებილნი იყვნენ, რომ ახ-ოხი ოდნავ შემალღებულ ადგილზე შედგა და ომახიანად გამოაცხადა:

- მისი უტკბილესობა, კარამელიუს პირველი და დედოფალი მარმელადინა!

ხალხი ორად გაიყო და გამოჩნდა მეფე-დედოფალი. დედოფალს ძვირფასი ქვებით მოოჭვილი კაბა ემოსა, თმებშიც ძვირფასი ქვები უბნყინავდა. მეფეს კი გრძელი მოსასხამი ეხურა და თავზე გვირგვინი ედგა.

დიდგვაროვნები თავდახრილნი ესალმებოდნენ მათ, ვიდრე სამეფო ტახტს არ მიუახლოვდნენ და სატუმრებისაკენ არ შემობრუნდნენ.

- ჩემო თანამემამულენო! - ხმამალა წარმოთქვა კარამელიუს პირველმა, - დღეს სატკბილეთში დიდი ზეიმია, მწერეთის ბოროტმა მეფემ ვერაფერი დააკლო ჩვენს მშვენიერ ქვეყანას. ჩვენ დღეს გამარჯვებას ვზეიმობთ.

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა.

- მე მსურს, მაღლობა გადავუხადო ადამიანებს, რომლებმაც სატკბილეთს ეს განსაცდელი თავიდან ააშორეს, - თქვა მეფემ და ხელი იქით გაიშვირა, სადაც ძია თხილო, ნიგო და ბზუილა იმყოფებოდნენ. მეფემ სამთავე თავისთან იხმო, ხელი მაგრად ჩამოართვა და საჩუქრები გადასცა. არვინგაგვიგოსი სიბრაზისაგან კინალამ გასკდა, მისტერ კაქტუსო კი ბოლმისაგან ეკლებს იწინკნდა.

- ახლა კი მსურს წარმოგიდგინოთ ჩემი მშვენიერი ასული, რაფაელა! - გამოაცხადა მეფემ.

ამის თქმა იყო და, დარბაზში შემოვიდა თოვლივით თეთრ და ჰაეროვან კაბაში გამოწყობილი რაფაელა. დარბაზმა მოულოდნელობისაგან ამოიგმინა, - პრინცესა ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ გაუსწორებდით. შავი თმა საგულდაგულოდ ჰქონდა დავარცხნილი და თავზე გვირილებისაგან მოქსოვილი გვირგვინი ედგა. ფეხზე ულამაზესი თეთრი ფეხსაცმელები ეცვა. იგი მსუბუქი, პატარა ნაბიჯებით მიუახლოვდა მეფე-დედოფალს, თაყვანი სცა და მათ გვერდით, პატარა სავარძელზე მოიკალათა.

ლინოვო გაოგნებული მისჩერებოდა პრინცესას და თვლებს არ უჯერებდა. "ეს



ხომ ის გოგონაა, მე რომ გავიცანი... არა, ეს შეუძლებელია.. ნუთუ, ის არის..." - ფიქრობდა იგი და სულ უფრო იღუშებოდა. აქამდე იმ იდუმალი გოგონას პოვნის იმედი აღარც კი ჰქონდა, ახლა კი, როცა იპოვა, კიდევ უფრო დაღონდა, ფიქრობდა, პრინცესა მე თავს როგორ გამიტოლებსო.

მეჯლისი დაიწყო. დარბაზის ერთ კუთხეში სპეციალურად აშენებულ პატარა სცენაზე ორკესტრი უკრავდა. დარბაზში კი ყველა ცეკვავდა. ლინოვო ისე მომხიბვლელად გამოიყურებოდა, მისტერ კაქტუსოს ქალიშვილის, ეკლინას ყურადღებაც კი მიიპყრო, რომელმაც გადაწყვიტა, გაცნო ყმანვილი და მასთან ეცეკვა.

ხომ გასსოვთ, არვინგაგვიგოსი რა გაიძვრა ვინმე იყო. მისტერ კაქტუსო რომ მეჯლისზე დაინახა, იფიქრა, მეფესთან არ დამასმინოს, გულში მისი ჩამოგდება რომ მქონდა ჩადებული და გადწყვიტა, თვითონ დაესწრო. იგი დაიხარა და მეფეს

ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. კარამელიუსი გაფითრდა, მაგრამ გადანყვიტა მეჯლისის დროს არაფერი ეთქვა კაქტუსოსათვის. მის უმეტეს, რომ ყველა კარგ განწყობაზე იყო. ნიგომ ვარდია მიიწვია საცეკვაოდ და მთელი საღამო ერთად გაატარეს. ბზუილა და ჭიამაიც თავდავინყებთ ცეკვავდნენ, ორთავეს უხაროდა, რომ ნესტარის მონობისაგან დაიხსნეს თავი და ახალ ცხოვრებას იწყებდნენ.

მხოლოდ სუსხია იყო გაბოროტებული, მეფის ასული მას ზედაც არ უყურებდა. რაფაელა არ ცეკვავდა, იგი ღიმილით ათვალიერებდა დარბაზში შეკრებილ ახალგაზრდებს, მაგრამ არც ერთი თვალი არ მოსდიოდა. ორკესტრმა ერთი მელოდიის დაკვრა დაამთავრა და ვიდრე მეორეს დაიწყებდა, ლინოვომ დრო იხელთა, ყუთიდან ვიოლინო ამოიღო და დაკვრა დაიწყო. დარბაზს ჯადოსნური ჰანგები მოეფინა. ყველა მონუსხულივით მიაჩერდა ახალ-

გაზრდა მევიოლინეს, რომელსაც აღარაფერი ახსოვდა და მხოლოდ პრინცესასთვის უკრავდა.

რაფაელაც დაინტერესდა და იქით დაიწყო ყურება, საითაც ლინოვო იდგა. მან მაშინვე იცნო ბიჭი, რომელმაც თავგასიებული ბიჭისაგან იხსნა. პრინცესა ისე მოიხიბლა მუსიკით, რომ ვერც გაიგო, როგორ ადგა და მიუახლოვდა ლინოვოს. მუსიკოსმა დაკვრა დაამთავრა და თავი მორჩილად დაუხარა პრინცესას. ირგვლივ მონონების შეძახილები და მქუხარე ტაში გაისმა. რაფაელამ ლინოვოს ხელი გაუწოდა, რომელიც მოკრძალებით ეამბორა პრინცესას ხელზე. პრინცესამ ორკესტს ანიშნა, დაუკარიტო და რამდენიმე წამის შემდეგ წყვილი დარბაზის შუაგულში ვალსს თავდავინყებთ ცეკვავდა. ყველა მიხვდა, რომ ეს ჭაბუკი იქნებოდა რაფაელას რჩეული. სუსხია და ეკლინა პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ და სიბრაზისაგან ფრუტუნებდნენ.

შვილის არჩევანით ვრცელად მდებარე მელიუსი და მარმელადინა კი სახეგაბდრულნი შეჰყურებდნენ მოცეკვავე წყვილს.

დასასრული

მეჯლისიდან რამდენიმე კვირის შემდეგ რაფაელამ და ლინოვომ ჯვარი დაიწერეს. კარამელიუსმა მათ უზარმაზარი ქორწილი გადაუხადა. ერთი წლის შემდეგ მათ ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინათ. გოგონას ვიოლეტა, ხოლო ვაჟს - რაფაელი დაარქვეს.

ძია თხილო სასახლის მეზაღეთუხუცესად დანიშნეს. ნიგოც სასახლეში გადაბარგდა და ბიძას მეზაღეთობაში ეხმარებოდა. თანაც, მიზეზი ჰქონდა, ყოველდღე შესვედროდა ვარდიას.

ბზუილამ და ჭიამაიამ სასახლის მახლობლად სკა აიშენეს და იქ დასახლდნენ.

კაქტუსოს ლალატმა ისე განარისხა კარამელიუსი, ბრძანება გასცა, კაქტუსობის ოჯახი კარამელიიდან გაეძევებინათ. არც არვინგაგვიგოსს დაადგა უკეთესი დღე. კაქტუსომ მეფეს წერილი მისწერა და არვინგაგვიგოსს სამაგიერო გადაუხადა - ორგულობაში დააბეზლა. მეფემ ისიც კაქტუსოს გზას გაუყენა.

ახლა ისინი მწერეთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობენ და ბოლმისაგან იღრჩობიან.

მწერეთის მეფეს მეორედ აღარ გაუბედავს სატკბილეთის დაპყრობა. რაც შეეხება ტყვეებს, კარამელიელებმა რომ აიყვანეს თავდასხმის დროს, კეთილმა ხელმწიფემ გაანთავისუფლა და მწერეთში დააბრუნა.

ასე რომ, სატკბილეთში ისევ გრძელდება მშვიდი და სასიამოვნო ცხოვრება. ისევ მოედინება ლიმონათის მდინარე. ისევ ანათებს ფორთოხლის მზე, ისევ მოდის ტკბილი წვიმა და ციდან ისევ შაქარყინული ცვივა.

თუ არ გჯერათ, თვითონ გაემგზავრეთ და თქვენი თვალთ ნახეთ, რომ ეს ასეა.



HARRY POTTER THE CHAMBER OF SECRETS

“ჰარი პოტერი და საიდუმლოებათა ოთახი” – ამ სახელით გამოვიდა ახალი თამაში ჰარი პოტერის მონაწილეობით. ეს სწორედ ის ჰარი პოტერია, რომელმაც თავი კინო-ეკრანიდან შეაყვარა თანატოლებს. ჰარის ამჯერად ახალი მისია აქვს: მან უნდა იპოვოს ბოროტი ძალის ფესვები, რომელიც მის საყვარელ სკოლას – ჰოგვორტს დაემუქრა განადგურებით.

ჰარის გვერდით ისევ დგანან ძველი მეგობრები – რონი და ჰერმიონა, რომლებიც ეხმარებიან მას გზის გაკვლევაში და აძლევენ საყურადღებო რჩევებს. რჩევები კი მართლაც სჭირდება ჰარის. მან უამრავი თავსატეხი უნდა ამოხსნას, უნდა გაერკვეს სკოლის დარბაზების მდებარეობასა და დანიშნულებაში, უნდა ისწავლოს მაგიური შელოცვები და, ყველაფერთან ერთად, უნდა გაამარჯვებინოს თავის ფაქულტეტს სკოლის შეჯიბრში.

თამაში საკმაოდ იოლია და არაა აუცილებელი უამრავი ლილაკის დანიშნულების დამახსოვრება და მათი დიდოსტატური ფლობა. ჰარი პოტერის მართვა ხდება მანიპულაციური თავის საშუალებებით და კიდევ რამდენიმე ლილაკის დახმარებით. საქმეს ისიც აადვილებს, რომ ყოველ მონიშნულმდგენთან საჭირო შელოცვა თავისით ირჩევა. დარბაზების გამოსაკვლევად დრო თავზე საყრელად გვაქვს, რადგანაც არავინ არსად გვაჩქარებს და ჩვენი მეგობარი ჰერმიონა მოთმინებით გველოდება, რომ მორიგ დავალებაზე მიმავალი გზა მიგვასწავლოს. როდესაც დავინყებთ ადგილმდებარეობის შესწავლას, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ფერადი კანფეტი და მონეტა მოვძებნოთ, ამისათვის კი მოგვინევს ყველა ზარდახშისა და სკივრის გახსნა მაგიის საშუალებით, ასევე ქანდაკებებისთვის შელოცვა და გარკვეული დაბრკოლებების გადალახვა.

დავალეები ორი სახისაა: შემსწავლელი, - რომელშიც ვსწავლობთ ახალ შელოცვებს და მათ გამოყენებას და საძიებელი: სადაც ვეძებთ მასალებს სხვადასხვა ჯადოსნური ნივთიერებისათვის და ვასრულებთ აუცილებელ დავალებებს. დავალებები მრავალფეროვანია და მათ შორისაა ისეთიც, სადაც მოგვინევთ ცოცხზე მჯდარს ფრენა და ბურთით თამაში. მარტო თამაშებით არ შემოიფარგლება დავალებები, - ჰარის მრავალგზის მოუწევს მონსტრების დამარცხებაც.

ჰოგვორტსში ზოგიერთი მონაფეი ვაჭრობასაც მისდევს: ყიდის სხვადასხვა საინტერესო ნივთებს, მათ შორის არის საფრენი ცოცხის ახალი მოდელიც - “ნიმბუს 2001”, რომელიც 700 კანფეტად არის შეფასებული და საერთოდ, ფულად ერთეულად სკოლაში კანფეტები ითვლება. ტკბილეული უყვართ მონსტრებსაც: შეხვედრისას ისინი კანფეტებს გვპარავენ და სანამ გავაძევეთ, საჭიროა მათი საფუძვლიანად დაფერთხვა.

თამაშის შენახვა ხდება ავტომატურად: როდესაც შევამჩნიეთ ჩვენს მეგობარს გადაშლილი ნივთი ხელში, მას უნდა მივუახლოვდეთ და თამაშიც შენახულია. “ჰარი პოტერი და საიდუმლოებათა ოთახი” გათვლილია ბავშვებზე 7 წლიდან და საკმაოდ სასიამოვნო გასართობია. საჭირო არ არის მძლავრი კომპიუტერიც და საკმარისია შემდეგი კონფიგურაცია: Pentium II 300 RAM128 HDD500MB 16 MB 3D videocard.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო მალაზია “კომპიუტერს” (მელიქიშვილის ქ. №13) ამ თამაშის განსახილველად მონოდებისათვის.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 7.4 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



LORD OF RINGS THE FELLOWSHIP OF RING

“ბეჭდების მბრძანებელი” ჯერ წიგნად გამოიცა, შემდეგ გამოვიდა ფილმი, მას მოჰყვა მეორე ფილმი და ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა თამაში ამ სიუჟეტზე. ვისაც არც წიგნი წაუკითხავს და არც ფილმები უნახავს, მათთვის მოყვები ამ თამაშის მოკლე შინაარსი.

ძალიან დიდი ხნის წინ, შორეული მიწების მესამე ეპოქის დასასრულს, დიდი ზღვის აღმოსავლეთით, პატარა სახელმწიფო შირაში ცხოვრობდა ჯუჯა ხალხი - ჰობიტები. ცხოვრობდნენ ჰობიტები თავისთვის მშვიდად, მათ არც მოგზაურობა იზიდავდათ და არც მეზობელი ქვეყნები, თუმცა მათ შორის აღმოჩნდა ერთი მამაცი ჰობიტი, ბილბო ბეგინსი, რომელმაც გაბედა და მოგზაურობაში წავიდა. დაბრუნებისას მან ჩამოიტანა უცნაური ბეჭედი, რომელიც თავის დროზე ეკუთვნოდა მიწისქვეშა ბოროტი ძალების მრძანებელ საურონს, რომელიც დამარცხდა მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში ადამიანების, გნომების და ელფების გაერთიანებულ ჯართან. მას შემდეგ იგი იქცა აჩრდილად და დაბრუნდა მიწისქვეშა იმპერიაში. რომ არა ბილბო ბეგინსი, იგი ასევე აჩრდილად დარჩებოდა, მაგრამ ერთხელ ჰობიტმა ბილბომ გადაწყვიტა, გაესინჯა ბეჭედი და იგი თითზე გაიკეთა, საურონმა მაშინვე გაიგო თავისი ბეჭდის ადგილსამყოფელი და შირაში გამოგზავნა ერთგული შაოსანი მხედრები ბეჭდის დასაბრუნებლად. ბილბომ შესანახად გადააბარა ბეჭედი თავის ძმისწულ ფროდოს და თვითონ მთებში წავიდა. იმ მომენტიდან, როდესაც ფროდოს გადააბარეს ბეჭედი, საჭიროა ამ ბეჭდის განადგურება. ორუდრუინის ვულკანურ ლავაში იწყება თამაში და ფროდოს გრძელი მოგზაურობა. მას ეხმარებიან კეთილი ჯადოქარი გენდალფი, მოხეტიალე ცხენოსანი არაგორნი, ელფი ლეგოლასი, გნომი გიმლი და სამი მეგობარი ჰობიტი: სემი, მერი და პიპინი.

მართალია, თამაშში გვხვდება ფილმში არარსებული პერსონაჟი ტომ ბომბადილი, მაგრამ დეკორაციები, სახლები და პერსონაჟები მაქსიმალურად მიმსგავსებულია კინოვარიანტში არსებულ სახეებთან და დეკორაციებთან. ჩვენ სამართავად დავითმეს სამი გმირი: ფროდა, არაგორნი და გენდალფი. თავიდან ფროდა შეიარაღებულია მხოლოდ ჯოხითა და ქვებით, მხოლოდ დროთა განმავლობაში მოიპოვებს უფრო ძლიერ იარაღებს – ხანჯალსა და მაგიურ ჯოხს. მას აქვს ჯადოსნური ბეჭედიც, მაგრამ მისი გამოყენება ძალზე სახიფათოა. არაგორნი ხმარობს ხმალსა და მშვილდისარს. ბერიკაცი გენდალფი კი ოსტატურად იყენებს ხმალსა და მაგიას. სხვა პერსონაჟებიც არ თვლებენ. მართალია, ჩვენ მათი მართვა არ შეგვიძლია, მაგრამ გამარჯვებაში ძალიან გვეხმარებიან. ელფი ბრწყინვალედ ისვრის მშვილდს, გნომი - ნაჯახს, ხოლო ჰობიტები კი ნაქცეულ მტერს ადგომას არ აცლიან. მტერი ძალზე აგრესიული და მრავალნაირია: ბოროტი და გონებაჩლუნგი ტროლები, უზარმაზარი მგლები და ობობები, მშვიდისრიანი ორკები და, რა თქმა უნდა, საურონის შაოსანი მხედრები.

რაც შეეხება თამაშის შესრულების დონეს, ვერ ვიტყვით, რომ იგი ბრწყინვალეა, მაგრამ მას ყოველთვის ინტერესით ითამაშებენ ამ ტიპის თამაშების მოყვარულები. კომპიუტერისადმი კი შემდეგი მოთხოვნები აქვს: Pentium III 600 RAM128 HDD800MB DirectX 8.1

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 7.8 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



AGE OF MYTHOLOGY

თავიდან გამოვიდა Warcraft, შემდეგ - Age of empires, ბოლოს ამ ორი თამაშის ახალი ვერსიები, ორიოდე თვის წინ კი - Warcraft 3, მაგრამ Age of empires 3-ის ნაცვლად გამოვიდა Age of mythology, რომელიც ისევ კონკურენციას უწევს Warcraft-ს, ოღონდ უკვე ახალი სახელით. სახელის შეცვლა კი, ძირითადად, გამოწვეულია თამაშში მითოლოგიური ელემენტების შეტანით. ჩვენ უნდა ვმართოთ სამი სხვადასხვა არმია: ძველბერძნული, ეგვიტური და სკანდინავიური. არმიის მართვის გარდა, რომელიც აღწერას არ ექვემდებარება მისი მრავალფეროვნების გამო, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ რესურსები, ავაშენოთ ქალაქები და განვეითარდეთ. რაც შეეხება რესურსებს, აქ დიდი ცვლილებები არ შეინიშნება: ისევ უნდა მოვიპოვოთ საკვები, ოქრო, ხე-ტყე, მაგრამ საჭოო აღარ არის ქვა. მისი ადგილი დაიჭირა რალაც ახალმა რესურსმა, რომლის სახელწოდებაცაა "favor". მისი მოპოვება არ ხდება, იგი თავისით მატულობს გარკვეულ პირობებში, მაგალითად: ბერძნები ლოცულობენ, ან ეგვიტელები აშენებენ პირამიდებს და ამის ხარჯზე მატულობს ეს რესურსი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ზოგიერთი ნაგებობის აშენება. თუ ჩვენ დაგვიგროვდება დიდი რაოდენობით "favor", მაშინვე მოგვემატება დაუპატიჟებელი სტუმრების ვიზიტები, გიგანტებისა და ტროლების შემოტევები, ასე რომ, საჭიროა არა მარტო შოვნა, არამედ ხარჯვაც. დანარჩენი საკითხები რესურსებთან დაკავშირებით სტანდარტულია და შეიძლება ორიოდე სიტყვით აღიწეროს: ზღვაში შეიძლება გემების ჩაშვება და თევზაობა, მუშას თუ მიფუთითებთ ტყეზე, დანარჩენს იგი თავისით მიხვდება და ხის მარაგს შეგვივსებს. საკვების მარაგი შეგვიძლია ბევრნაირად შევივსოთ: ნადირობით, ფერმებით, მინათმოქმედებით, თევზაობით. ყოველ ახალ ეპოქაში გადასვლის შემდეგ შეგვიძლია ავაშენოთ ახალი ნაგებობები და აღვზარდოთ ახალი ტიპის ჯარისკაცები.

თამაშის გრაფიკა ძალზე მაღალ დონეზეა შესრულებული: ხეები, სახლები, მეომრები ძალზე რეალურად არიან გადმოცემულნი, რომ არაფერი ვთქვათ ზღვაზე, საიდანაც ტალღების ხმა ისმის. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის Age of mythology არის ყველაზე ლამაზი რეალური დროის სტრატეგია.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს **8.7** ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



ანონსი

PROJECT I'M GOING IN COVERT STRIKE

ერთ თვეში გამოდის რეალისტური 3D Shooter-ების კლასს მიკუთვნებული თამაში Project IGI 2, რომელშიც იარაღიც რეალური იქნება და საბრძოლო სიტუაციაც, ანუ ერთი ტყვიაც საკმარისი იქნება მოწინააღმდეგის მოსაცელად და ჩვენც დიდი ოსტატობა გვმართებს, რომ ის ტყვია არ მივიღოთ. პირველ ვერსიას ბევრი აქებდა ამ რეალიზმის გამო, ზოგიც - აძაგებდა სირთულის გამო. წინა ვერსიაში, ეტაპიდან ეტაპამდე, ჩანერის საშუალებას მოკლებულნი ვიყავით და ეს ყველას აღიზიანებდა, ვინაიდან მისიები საკმაოდ რთული იყო და მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შემდეგ ხერხდებოდა მისი გავლა. მე მახსენდება ასეთი მისია: მარტოდმარტო უნდა შევსულიყავი მტრის ბაზაში, სადაც მხედებოდა რამდენიმე ჩასაფრებული სნაიპერი და უნდა გამომერთო გენერატორი, ამის შემდეგ მტრის ცხვირწინ უნდა ავსულიყავი მაღალი ძაბვის კოშკურაზე და დენის კაბელს უნდა გავყოლოდი მეორე ბაზის მისადგომებამდე, სადაც რამდენიმე მოწინააღმდეგე მელიოდა, ამის შემდეგ უნდა ამეფეთქებინა ცისტერნები მეორე ბაზაზე და მომეგერიებინა ათამდე მოწინააღმდეგე. და ეს ყველაფერი უნდა გამეკეთებინა შუალედური ჩანერის გარეშე!

როგორც იქნა, ჩანერის საშუალება მოგვცეს, მაგრამ ერთი შტრიხიც დაამატეს: ჩანერა ხდება ლილაკზე თითის დაჭერიდან 5 წამის გასვლის შემდეგ. ასე რომ, სანამ ჩანერას დააპირებთ, დარწმუნდით, რომ უახლოესი რამდენიმე წამის განმავლობაში არავითარი ფათერაკი არ გელოდებათ და მხოლოდ ამის შემდეგ დააჭირეთ თითი ჩანერის ლილაკს.

ხელოვნური ინტელექტი უფრო დახვეწილი იქნება. მტერთან ახლოს გავლა ფეხაკრეფით მოგიწევთ, რათა ხმაურმა მათი ყურადღება არ მიიქციოს, მტერი უფრო ორგანიზებული გახდება და ერთმანეთს უფრო ბეჯითად დააზღვევენ.

ახალ ვერსიაში 20 მისია იქნება, რომელებიც ჩინეთში, ლიბიასა და რუსეთში შესრულდება. მთავარი მიქმედი პირი ისევ ჩვენი კარგად ნაცნობი დევიდ ჯონსია. მას ექნება 20 სხვადასხვა ტიპის იარაღის და 10 სპეცინსტრუმენტის გამოყენების საშუალება.

გრაფიკაც უკეთესობისკენ შეიცვლება: დაემატება რამდენიმე ვიზუალური ეფექტი და მოძრაობებიც უფრო დახვეწილი გახდება.

და ბოლოს, როგორც იქნა, დაემატა თამაშს მრავალმომხმარებლიანი რეჟიმი, არამარტო Deathmatch, არამედ Cooperative-ც და მიზანიც რამდენიმე იქნება. ერთდროულად თამაშს შესძლებს 32 მომხმარებელი.



ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს **8.6** ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



HEROES IV WIND OF WAR

ყველაფერი მიდის ისე, როგორც მიღებულია თამაშების გამოცემის იმპერიაში: ცხვება რომელიმე კარგი თამაში, 2-3 წლის შემდეგ გამოდის მისი გაგრძელება, ხოლო დროის ამ მონაკვეთს ავსებენ დამატებებით, რათა შემდეგ ვერსიამდე ინტერესი არ გაიქცეს და თავყვანისმცემელთა რაოდენობა შეინარჩუნონ. გმირების თამაშიც არ მიეკუთვნება გამონაკლისს, ამიტომაც, ამ დღეებში გამოვა HEROES IV-ის უკვე მეორე დამატება, რომელშიც იქნება 5 რასა, 40 ახალი რუკა და მთლიანად ახალი მუსიკა. მეტოქეთა დავის მთავარი მიზეზი იქნება მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს - ჩანონის დედაქალაქი. ჩვენ შეგვეძლება ამ 5 რასიდან ავირჩიოთ ნებისმიერი და გავიაროთ მიზნისკენ მიმავალი 5 ერთმანეთისაგან განსხვავებული გზა. დამატებაში, ძირითადად, გამოყენებული იქნება ძველი ნაგებობები და მეტროლოები, მაგრამ რამდენიმე ახალი ნაგებობა და სამი ახალი გმირიც გამოჩნდება. გრაფიკა და ანიმაცია ორიგინალისაგან არ განსხვავდება, რის აუცილობლობას მეც ვერ ვხედავ.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს **7.5** ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



გვერდი მოამზადა ზურაბ ბოკერიამ

კროსვორდი-გამოსანებით



შვეულად: 1. ტყეში შემომხვდა უთაო გლეხი, მარტო ქუდი აქვს და ცალი ფეხი; 2. კრუტუნას და ალერსიანს კბილი თავგზე ნაღესი აქვს; 3. სავარცხელი აქვს, არ ხმარობს, ნეტავი რისთვის ატარებს? ერთი ჭრელკაბა ჩიტია, - გეცოდინებათ პატარებს; 5. მე ვიცი მუნჯი არსება, ბუნების ლალი შვილია, გასაოცარი სახლი აქვს - ცეცხლისა არ ეშინია; 6. ხან ტყიან ფერდს აივლის, ხან ჩაივლის ხევს. რა მოსვლია? - ზედ შუბლზე ამოსვლია ხე; 7. ბასრი დანით მოვადექ და ცხარე ცრემლით, მწარე ხვნეშით, ასი კაბა გავხადე და... არაფერი შემრჩა ხელში; 8. იქნებ მიცნო, ვინ ვარ, რა ვარ (მეგობრებსაც გაუნდე): მინა - ტყეში, ლოდი - ხეში მწვანედ მოვახვედრე; 10. გამოიარა ქალაქი არა ერთი და ორი და ნათესავების ამბავი ჩამომიტანა შორიდან; 12. ღამით ტბასა და გუბურას, სად იყო და სად არა, ვილაც უჩინმაჩინმა სარკე გადააფარა; 16. ღიპიანი დევია, მინაში ზის ყელამდის, ძლიერ უყვარს ღვინის სმა, თეთრისა თუ ფერადის; 17. ზღვაში ვიხილე უეცრად და გამოცა ძალიან - დაგკრავს ელექტროდენივით, წყალივით გამჭვირვალეა.



თარაზულად: 4. სულ შრომობს, გაგიკვირდება, რა მუშაობის თავი აქვს, ბადეს ქსოვს, თუმცა იმ ბადით არასდროს უთევზავია; 5. ნაყოფია ბუჩქისა, მის სიკეთეს რა მოსთვლის! შიგ ჯავშანი აცვია, გარეთ - მწვანე სამოსი; 9. ჭიუხებში მოვისმინე ჰანგი საგანთადო, ერთი სულიერი ვნახე, ამაყი და ზვიადი, არც სამეფო ტახტზე იჯდა, არც გვირგვინი ეხურა, ლაფვარდოვან სივრცეებში, ლივლივებდა მეფურად; 11. დამაცვივდა თავზე ვერცხლისფერი მძივი, შეეუშვირე პეშვი - სველია და ცივი; 13. იფიქრე და გამოიცან, რა ვარ, ანდა ვინა ვარ; გამტყორცნე და ჩავესობი მტრის გულს გასაგმირავად; 14. ბუჩქის ძირას განაბულა, არც ყაყაო, არც ვარდია, ნათელ ცაზე მონყვეტილი პანანინა ლაფვარდია; 15. ამ უცნაურ გამოცანას ტყის გრილ ნიავეს ვატან, დაფრინავს და ფრინველია! დახტება და - კატა! 18. ხეზე ცხოვრობს და ხანდახან დაფრინავს, როგორც ჩიტი. ფრთები არა აქვს, რითი? ტანზე ქათიბი აცვია, არა უბრალო ჩითი; 19. დაღამების ღოდინში გული გადამელია, ჩემი საკბილოები საქათმეში მელიან; 20. ფერდობზე ჩამოგრიალდა ერთი რამ დევი გრძნეული, ცასა და მინას მოარღვევს მისი ვეება სხეული, ხეობას ბღღვირი ადინა, არავის ინდობს წყეული; 21. ხელს და ფეხებს ურტყამენ, არვინ არ ეფერება, თუმც მართალიც არიან, აბა რას იბერება?

კროსვორდი მოამზადა ალექსანდრე გორგიშელმა

წინა თავსაბაზის პასუხები

კროსვორდი

თარაზულად: 4. მძიმე; 6. ობობა; 8. გზა; 9. უთო; 10. ციციანთელა; 12. ზარი; 13. თონე; 15. ელვა.
შვეულად: 1. დღე; 2. ზებრა; 3. რკო; 5. მაიმუნი; 7. ბუღბული; 11. ნიანგი; 14. ექო; 15. ენა.

მითოლოგიური
კროსვორდის
პასუხები:

1. ოლიმპო; 2. ზევსი; 3. ათენა; 4. აპოლონი; 5. პლუტონი; 6. არგო; 7. აგამემნონი; 8. იასონი; 9. გეა.